სპორტი

სპორტული გაზეთი | შაბათი 13 იანვარი 2001 №2 (1275) | ფასი 50 თეთრი

3 იბერია და შევარდენი: ვიცე-ჩემპიონი ვიცე-ჩემპიონის ფრთებქვეშ



სამტრედიის „იბერია“ თბილისის „შევარდენს“ უერთდება

4 ფედერაციის ულტიმატუმი: არ გადაიხდით, წააგებთ!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მევალეებს ჩემპიონატიდან მოკვეთით ემუქრება

5 მონანიება

კრისტოფ დაუმმა აღიარა: ნარკოტიკი ჩემთვის უცხო არ იყო

7 საჩუქარი ფიგუს

ხვალ „რეალის“ ქომაგები 80 ათასი ფერადი დაფით „ოქროს ბურთს“ გამოსახავენ



ვინ დაიწყებს ისტორიას

რომელიც ქართველებისთვის უკვე დამთავრდა

ანდრე აგასი

მარტინა ჰინგისი

თითქოს გუშინ იყო, ჩოგბურთელებმა წინა სეზონი რომ ჩაამთავრეს და დამსახურებულ შვებულებებში გაემგზავრნენ, თუმცა უქმობას ხანგრძლივი ნამდვილად არ ეთქმის: უკვე ზეგ მელბურნში 21-ე საუკუნის პირველი დიდი სლემის ტურნირი — ავსტრალიის ღია პირველობა დაიწყება. ჭეშმარიტად ისტორიული ტიტულების მფლობელთა ვინაობა ორი კვირის თავზე გაირკვევა. სამხრეთული ზაფხულის გაუსაძლის ხვატში 7 მატჩის მოგებას მართლაც რჩეულნი თუ მოახერხებენ.

ახალ ეპოქაში ფავორიტები ძველნი არიან — ვეტერანები ანდრე აგასი და პიტ სამპრასი, მსოფლიოს პირველი ჩოგნები გუსტავო კუერტენი და მარტინა ჰინგისი, ლინდსი დევენპორტისა და დები უილიამსების ჯანიანი ტრიო. ქართველებისთვის კი ერთეულებში ავსტრალიის ღია პირველობა უკვე დამთავრდა. შესარჩევი ტურნირის პირველივე წრეში ირაკლი ლაბაძემ სლოვაკ ლადისლავ შვარცთან 2:6, 4:6 წააგო.

იხილეთ მერვე გვერდი

გუსტავო კუერტენი

ვინუს უილიამსი

იბერკომპანი სამაგალითო და ვალდებულია

გუშინ „იბერკომპანი ჰოლდინგის“ ოფისში ქართულმა ბიზნესმა ქართულ სპორტს ათენის 2004 წლის ოლიმპიადისთვის ბენზინი ჩაუსხა: „დაენიშნოს გიორგი ასანიძეს, როგორც წლის საუკეთესო სპორტსმენს, სტიპენდია 300 ლარი. მიენიჭოს ცალკე პრემიები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე წარმატებით გამოსვლის შემთხვევაში“.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

„იბერკომპანი ჰოლდინგი“ და მისი პრეზიდენტი გოჩა ენუქიძე გიორგი ასანიძეს ათენის 2004 წლის ოლიმპიადისთვის ხელშეწყობას ჰპირდებიან და მისგან ოქროს ელიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო ფრუიძე



ნოდარ აკობია

გურამ დოლიძეაშვილის ფოტოები

ИБЕРИА ШЕВАРДЕНИС ФРТОБЕБЗЕ

ЧЕМПИОНИ ЧЕМПИОНИС САНАЦВЛОД?

САМТРЕДИИС „იბერია“ თბილისის „შევარდენს“ შეურთდა და ახალ საფეხბურთო სეზონს შემადგენლობა-განახლებული, სახელშეცვლილი, ახალი მთავარი მწვრთნელით, პრეზიდენტით და სტადიონით შეხვდება. ეს ამბავი გუშინ შევიტყეთ და გადასამწყმებლად პირველ რიგში კლუბის პრეზიდენტთან, ნუგზარ ნიკოლაიშვილთან დაკავშირება ვცადეთ.

რაკი ნიკოლაიშვილი ვერ მოვიხელთეთ, გუნდის თავკაც სოსო ფრუიძეს დავურეკეთ და მისგან ეს მოვისმინეთ:

— ნამდვილად ვიცი, რომ ნიკოლაიშვილი და „შევარდენის“ პრეზიდენტი მალხაზ გუგავა ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ, ნიკოლაიშვილი გაერთიანებას ვარაუდობდა, მაგრამ რა გადაწყდა, ვერ გეტყვით. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ გუნდს მე აღარ გავწვრთნი. ახალს ვინ დაეძებს, ძველი შემადგენლობიდანაც არავინ დარჩა და მუშაობის გაგრძელება უაზრობაა. როგორც ვიცი, „იბერია შევარდენს“ ნოდარ აკობია უხელმძღვანელობს. რომელი ქალაქის სახელით ითამაშებს გუნდი, ჩემთვის უცნობია.

ერთი სიტყვით, ჩანს „იბერიამ“ თავი „შევარდენის“ ფრთებს შეაფარა, რა გამოვა ამ საქმიდან ძნელი სავარაუდო არაა. თავის დროზე სწორედ ამ ხერხით გაქრა ქართული საფეხბურთო რუკიდან თსუ-ს შეერთებული „შევარდენი“.

შეგახსენებთ, რომ „იბერია“ სამტრედიას უამისოდაც დაცილებული იყო. საქართველოს ოდინდელი ვიცეჩემპიონის და მართლაც სახსოვარი გუნდის ქალაქმა ნუგზარ ნიკოლაიშვილი ვერ იგუა, მის გუნდს ჯიხაიშის ბაზაზე წვრთნა და „ეროსი მანჯგალაძეზე“ თამაში ოთუს ბირი დაუფასა. „იბერიაც“ ქვიშხეთში დასახლდა, ლიხთამერელ მეტოქეებს ხაშურში, ლიხთიქითელებს კი ზესტაფონში მასპინძლობდა.

ერთი პირობა საქმეს თითქოს შერიგების პირი გამოუჩნდა, მაგრამ სამტრედიის ახალი გამგებლისგან შინმიწვეულ „იბერიას“ ხომ ჯერ თავბედი ქომაგებმა აწყევლინეს, „დილასთან“ როგორ დამარცხდითო, მერე მოედანი არ მოუშზადეს და „ვიტ ჯორჯიასთან“ უთამაშებლად წააგებინეს.

— სოსო გიგიაძე სიმფეროპოლის „ტავრიაში“ გადავიდა, ბიწაძე, ოდიკაძე და ხმალაძე სუმის „სპარტაკში“, მუმლაძე და ნოხაძე კი „კოლხეთში“ არიან. მეკარეები ვარდანიძე და ჩომახიძეც აპირებენ გუნდიდან წასვლას. როგორც ვიცი, შემადგენლობა „შევარდენის“ საფეხბურთო სკოლის ახალგაზრდა მოთამაშეებით შეივსება — ესეც გვითხრა „იბერიას“ ყოფილმა თავკაცმა სოსო ფრუიძემ, რომელისთვისაც სხვა კლუბებს სამუშაო უკვე კი შეუთავაზებიათ, მაგრამ პირობები „იბერიაზე“ უკეთესი არცერთს ჰქონია და, ბუნებრივია, უარი მიუღიათ.

საინტერესო ისაა, რომ ყველაფრის მიზეზად ნუგზარ ნიკოლეიშვილს უსახსრობა დაუსახელებია. არადა, ჩემპიონატის დასაწყისში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მისგანაც მიიღო 200 000 დოლარიანი ბიუჯეტის გარანტია.

ესეც ერთი დასტური, რომ გარანტია ფარატინა ქაღალდია. უარესი კი ისაა, რომ „იბერია“ მესამე ვიცეჩემპიონია, ვისაც გაუქმება ემუქრება, წლეულს „შევარდენის“ ბედი ზესტაფონის „მარგვეთმა“ გაიზიარა.

ფედერაციას რომ თავიდანვე ეფხიზლა და „იბერიისთვის“ ლამის რიკოთის უღელტეხილზე თამაშის ნება არ დაერთო, ეგებ, სამტრედიელებსაც დროზე მოეკითხათ „იბერიის“ ბედი და ქართული ფეხბურთის ისტორია ასე ვაგლახად არ დაგვეკარგა.

იქნებ, გვიანაც არაა და ჯერ არ დაგვიკარგავს.

ГАХТАНГ ВЖИДАДЗЕ

ოთარ ხიზანეიშვილი

ალექსანდრ ფეიდერბეის ფოტო

ХИЗАНЕЙШВИЛИ ЧЕМПИОНТА ЛИГАШИ ИТАМАШМБС, МЕРЕ КИ...

РУСЕТИИС ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“ შესაძლოა, ცოტა ხანში, უქართველოდ დარჩეს. არადა, ორიოდ თვის წინ „სპარტაკში“ ერთბაშად ორი ჩვენებური იყო. მათგან ერთ-ერთი ირაკლი შენგელია რუსებმა, ალბათ მოგეხსენებათ, კლუბიდან ადრევე გაათავისულეს და შინ გამოისტუმრეს, მეორეს კი, ოთარ ხიზანეიშვილს, კარგა ხანია სათადარიგოთა სკამზე მიუჩინეს ადგილი. ხიზანეიშვილმა რუსთა უპირველეს გუნდში რამდენიმე მატჩი ჩაატარა და თავიდან ჟურნალისტ-სპეციალისტთა მოწონებაც დაიმსახურა, მაგრამ მერე... ჯერ იყო და ქართველმა მცველმა რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩისას კუნთი დაიზიანა და მას იძულებითმა დასვენებამ მოუწია, შემდეგ კი ვერა და ვერ აღიდგინა ჩვეული ფორმა.

ოთარ ხიზანეიშვილი, მართალია, დღესდღეობით მოსკოვის „სპარტაკთან“ ერთად ისრაელში ვარჯიშობს და თებერვალში გასაახლებელ ჩემპიონთა ლიგის მატჩებისთვის ემზადება, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, გუნდის მწვრთნელი ოლეგ რომანცევი ჩვენებურის ოთხწლიანი კონტრაქტის გასრულებამდე თავისთან დატოვებას არ აპირებს. ყველაზე მოსალოდნელი კი ის გახლავთ, რომ ოთარ ხიზანეიშვილი „სპარტაკში“ ჩემპიონთა ლიგის ერთ-ორ მატჩს ითამაშებს და რუსები მას შესაბამის კლუბს გამოუნახავენ.

ДЖОБА ИНАСАРИДЗЕ

ДИНАМОС ПРЕЗИДЕНТИ САПЧРОБИЛЕДАН САВАДМЧОФОШИ

ხუთ თვენახევრიანი პატიმრობის შემდეგ საპყრობილედან განთავისუფლებული თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ რატიანი ამჟამად საავადმყოფოშია და მკურნალობს. ექიმების თქმით, რატიანს, რომელსაც ბრონქები ადრეც აწუხებდა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჯანმრთელობა შეერყა და დაახლოებით ათ დღიანი მკურნალობა სჭირდება.

შეგახსენებთ, „დინამოს“ პრეზიდენტს ბრალი სხვისი ქონების მითვისებაში ედებოდა. უფრო კონკრეტულად კი მას გიორგი დემეტრაძის სანაცვლოდ ვლადიკავკაზის „ალანიადან“ მიღებულ თანხას ედავებოდნენ. საბოლოოდ კი მერაბ რატიანს კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ მძიმე ბრალდება მოუხსნა და ხუთ წლიანი პირობითი პატიმრობა შეუფარდა. გაახარა კიდეც, როცა საახალწოდ შინ გაუშვა, თუმც ახლა... ექიმებისვე თქმით, მკურნალობის კურსი გაურთულებლად მიმდინარეობს.

ДЖОБА ИНАСАРИДЗЕ

შესაძლოა, მერაბ კოჭლაშვილს რევაზ გოცირიძის შელევა მოუწიოს

ნუგზარ ბარდანიძის ფოტო

СТУДЕНТУРИ РЕВОЛУЦИА

ДИДИ ცვლილებებია სტუდენტურ გუნდში. თსუ 5 იანვარს შეიკრიბა და წვრთნასაც შეუდგა. მთავარ მწვრთნელ მერაბ კოჭლაშვილს ლამის განახლებულ, კიდევ უფრო გაახალგაზრდავებულ გუნდთან მოუწევს მუშაობა. მიზანი ერთია, ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

XX საუკუნის გუნდიდან კოჭლაშვილის განკარგულებაში ექვსი მოთამაშეღა დარჩა. კახა ებრალიძე, გურამ ხარებავა, ზვიად ლაბაძე, მიხეილ მესხი, კახა ახალაძე და ბექა ნოზაძე გაზაფხულზეც სტუდენტები იქნებიან.

ექვსეულს „ვიტ ჯორჯია 2“-ის 10 ფეხბურთელი დაემატება. ვეტერინარებმა პარტნიორ კლუბს 1981-82-83 წლებში დაბადებული ახალგაზრდები დიდსულოვნად დაუთმეს.

მოკლედ, გაზაფხულიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიებში სწავლასმოწყურებულ ათ ახალ სტუდენტს იხილავთ. ესენი არიან — გიორგი ბერიანიძე, ბესიკ ჭიღლაძე, ერეკლე ელყანიშვილი, პაატა დათუნაიშვილი, დავით სულავა, ილია ბეროშვილი, ერეკლე მერებაშვილი, კახა შოშიაშვილი, ლევან ჯობავა და აკაკი ლობჟანიძე.

გადაწვყეტილი ამბავია, „ვიტ ჯორჯიას“ მეკარე ზვიად სტურუაც სტუდენტი იქნება. ვეტერინარულ კლუბში ამჟამად სამი ძლიერი მეკარეა, მირზა მერლანი, სერგო ჭურაძე და დავით მამარდაშვილი. კონკურენცია ძალიან დიდია, ამიტომ სტურუას სათამაშო პრაქტიკა რომ არ მოაკლდეს, მისი თსუ-ში განათხოვრება გადაწყდა.

„ვიტ ჯორჯიამ“ გიორგი ადამია, კახა წუწუნავა და რევაზ გოცირიძე საიტალიო სიაში შეიყვანა, დანარჩენ, უკვე ყოფილ თსუ-ელებს კი ახალი კლუბების მოძებნა მოუწევთ.

15 იანვრამდე თსუ უბურთოდ, ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად ივარჯიშეს. მერე ბურთს შეეჩვევა და რამდენიმე საკონტროლო მაჩტსაც ითამაშებს.

22 იანვარს კოჭლაშვილი შეგირდებს ზღვისპირეთში წაიყვანს. თსუ მალთაყვაში ათდღიან შეკრებაზე გაემგზავრება. იქიდან დაბრუნებული თბილისში რამდენიმე დღეს დაჰყოფს და ისევ მალთაყვას დაუბრუნდება, ამჯერადაც 10 დღით.

ВАМУДА ДВАНТАЛИАНИ

იტალია

სერია B. XVIII ტური

ტერნანა 1:0 კალიარი

ინგლისი

II დივიზიონი. XXVII ტური

ლუთონი 1:2 უიკომბი

საფრანგეთი

XXIII ტური

ლანსი 0:0 ლიონი

პორტუგალია

XVII ტური

მარიტიმუ 0:2 სპორტინგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერაციის ულტიმატუმი: არ გადაისდით, წააგეთ!

ახალ წელს, მით უმეტეს ახალ საუკუნეს, ვალით რომელი ჭკუათმყოფელი ხვდება, თუ ამის საშუალება აქვს.

ჩვენს ფეხბურთში გაჭირვებულებს რა გამოლევს და სფფ-ს საგანგებო კომიტეტის ბოლო გადაწყვეტილებაც ამის დასტურია.

მას, ვისაც ბოლომდე არ ექნება გასტუმრებული ყველანაირი დავალიანება, ეროვნული ჩემპიონატის პირველივე საგაზაფხულო ტურში 0:3 წაგება ჩაეთვლება. ხოლო იმ კლუბს, ვინც ვალს მომდევნო ტურამდე არ დაფარავს, გათამაშებიდან ხელის აუკანკალებლად მოხსნიან.

ასეთი მტკიცე გადაწყვეტილება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას, გენმდივან ვალერი ჩოლარიას და ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძის შემადგენლობით მიიღო და უმაღლესი, პირველი თუ რეგიონული ლიგის კლუბებისთვის საყოველთაოა.

ეს ცნობა სფფ-ს პრესსამსახურის უფროსმა მამუკა კვარაცხელიამ მოგვაწოდა, რომელიც ივნისში ნიონში გასამართ უეფას წევრი ქვეყნების პრესატაშეთა შეკრებაზეა მიწვეული.

ვახტანგ ბზიკაძე

დიდი შენაძენი უმნიშვნელო დანაკარგით

ორკვირიანი შესვენების შემდეგ ვარჯიშს კვლავ შეუდგა გორის „დილა“. მეთორმეტე ეროვნულში გორელები მაინცდამაინც კარგი შედეგებით თავს ვერ მოიწონებენ, ის კი არა, ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევთ ბრძოლა.

„დილა“ საკუთარ ქალაქში ემზადება. გუნდი ჯერ შეკრებაზე არ გადასულა, უმეტ ჩემპიონატის განახლებამდე გორშივე ორკვირიან შეკრებას გაივლის.

ვაჟა ხაჩირაშვილმა თითქმის შეინარჩუნა შემადგენლობა. ერთადერთი დანაკლისი სათადარიგო მეკარე დავით მდივანია. კლუბის მესვეურთა მხრივ მას პრობლემები არ შექმნია და მეზობელ ხაშურში გადაბარგდა იქაურ „ივერიას“ დაეხმარებაო, გვითხრეს.

„დილამ“ დაიბრუნა ძმები ჩიტაიები. შეგახსენებთ, რომ გაგა და ბექა საშემოდგომო ეტაპზე ფოთის „კოლხეთის“ ფეხბურთელები იყვნენ. „ცხინვალიდან“ დაბრუნდა გამოცდილი მცველი რევაზ ხაჭაპურიძეც.

ყველაზე მეტად „დილას“ თავდამსხმაში უჭირდა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად კლუბის თავკაცობამ თსუ-დან არჩილ ბოკერია გადაიბირა. მას გორში დღე-დღეზე ელიან. ბოკერია ამჟამად თბილისშია და ნატკენ ფეხს იშუშებს.

საზარდულმა შეაწუხა გორელთა ძირითადი მეკარე რამაზ სოღოლაშვილი. მას სულ მალე საფუძვლიან გამოკვლევას ჩაუტარებენ და მერე უმკურნალებენ კიდეც.

კლუბის თავკაცებმა საახალწლო არდადეგებზე ერთი შენაძენითაც გაიხარეს. ამიერიდან „დილა“ გორში, ოღონდ „ქართლის“ სტადიონზე ივარჯიშებს. იქ, სადაც პირველლიგელი „ცხინვალი“ თამაშობდა და ითამაშებს კიდეც.

„ქართლის“ სტადიონზე ბაზა მოეწყობაო, თქვეს „დილას“ მესვეურებმა. სტადიონი შპს „დილამ“ სპორტსაზოგადოება „შევარდნისგან“ გამოისყიდა.

გუშინწინ გორელები თბილისს ესტუმრნენ და დიღმის საწვრთნელ ბაზაზე „დინამოს“ ამხანაგურად გაეჯიბრნენ. თამაში ათგზის ჩემპიონთა გამარჯვებით, 4:0 დამთავრდა.

მამუკა კვანტალიანი

„ცხინვალიდან“ დაბრუნებული „დილას“ ლიბერო რევაზ ხაჭაპურიძე

ბადრი ჯეთელაძის ფოტო

„ბათუმს“ ექვსი თვის უთამაშებელი ივანე მახარაძეც დაუბრუნდა

ბადრი ჯეთელაძის ფოტო

ბათუმს წმენდა სჭირდება

თითქმის ერთთვიანი დასვენების შემდეგ ჩემპიონატისთვის მზადებას „ბათუმიც“ შეუდგა. ზღვისპირელები 6 იანვარს შეიკრიბნენ, 17-მდე ბათუმშივე ივარჯიშებენ და, როგორც ჩანს, 28 თებერვალს განსაახლებელ ჩემპიონატს საკმაოდ მოღონიერებულნი შეხვდებიან.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ახალგაზრდულ „ბათუმს“ ოთხი გამოცდილი ფეხბურთელი დაემატება: მეკარე გრიგოლ ჭანტურია ასლან ბალაძის გუნდში ქუთაისის „ტორპედოდან“ გადავიდა, ყოფილი ბათუმელი ივანე მახარაძე ბოლო დროს თბილისის „ლოკომოტივთან“ ერთად კი ვარჯიშობდა, მაგრამ წლეულს არსად უთამაშია და ახლა კარიერას „ბათუმში“ გააგრძელებს; პაატა მაჭუტაძემ და თემურ ტულუშმა „ბათუმი“ ჯანი კარნევალის მწვრთნელობის დროს დატოვეს და ჩემპიონატის დაწყებიდან, მთელი 17 ტური, უსაქმოდ იყვნენ.

გუნდის ახალმა მწვრთნელმა ასლან ბალაძემ კი ვეტერანთა ფეხბურთში დაბრუნება მოიწადინა და აისრულა კიდეც. დღესდღეობით ოთხივე ეს ფეხბურთელი „ბათუმში“ ვარჯიშობს და სავსებით მოსალოდნელია, მათ ერთიორი გამოცდილი მოთამაშეც დაემატოთ.

— გუნდში ლიბეროს პრობლემა გვაქვს და საამისოდ რამდენიმე მცველს დავადგით თვალი. ჯერჯერობით სასურველ ფეხბურთელთა დასახელებისგან თავს შევიკავებ, თუმც ერთს გეტყვით — „სიონში“ მოთამაშე ვასილ მაისურაძის გადმობირება ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივდა, იგი ისევ „სიონში“ დარჩა — გვითხრა „ბათუმის“ მწვრთნელმა ასლან ბალაძემ, რომელსაც გუშინ შევეხმიანეთ.

ახლა გუნდიდან წასულებზე ვთქვათ. ასეთი ხუთია, ხუთივე ახალგაზრდა, რომელთა მომავალი კლუბებიც ჯერჯერობით უცნობია: მეკარე ბედიაშვილი, მცველები — სიხარულიძე, ჩოხელი და ნახევარმცველები — ქერაშვილი და სოხაძე ბათუმელებს დაემ-

ნუგზარ ბარდანიძის ფოტო

გია ჭანტურია

შვიდობნენ. მათ ნაცვლად კი ბალაძემ „ბათუმი 2“-დან დაიმატა რამდენიმე ახალგაზრდა, საკმაოდ პერსპექტიული ბიჭი:

— „ბათუმში“ დღეს 50-მდე ფეხბურთელი ვარჯიშობს. გუნდში დაბრუნებულ გამოცდილთ ახალგაზრდებიც ბლომად დახვდნენ, მათ ჩვენი ფარმკლუბიდანაც დავამატეთ ჭაბუკები და იმედი მაქვს, ჩემპიონატის განახლებას გუნდი შეთამაშებული და ნორმალურად მომზადებული შეხვდება. წლეულს „ბათუმის“ საშუალო ასაკი 23 წელია. მთავარი პრობლემა კი, ვფიქრობ, უკან დაგვრჩა — ახლა მეკარე ჭანტურიას დიდი იმედი მაქვს, ის გამოგვადგება. მეკარე ხომ ნახევარი გუნდია. და კიდევ, როგორც გითხარით, ლიბერო გვჭირდება. დანარჩენი ორივე რგოლი კი დაკომპლექტებულია — ნახევარდაცვაში საკმაოდ დიდი კონკურენციაა, თავდასხმაშიც არა ნაკლები — აფხაზავას, რომანაძესა და, რაღა თქმა უნდა, მაჭუტაძეს, ვფიქრობ, სხვა გუნდებიც სიამოვნებით ათამაშებდნენ — ესეც ასლან ბალაძემ განგვიცხადა.

პირველ ამხანაგურ მატჩს „ბათუმი“ 17 იანვარს გრიგოლეთში, ფოთის „კოლხეთთან“ გამართავს და იმავე დღეს გურიიდანვე ბაკურიანს გაემგზავრება 10-დღიან შეკრებაზე. მერე კი „ბათუმი“ დაახლოებით ორი კვირით ბულგარეთში, ანაც იტალიაში წავა.

კლუბის ვიცე-პრეზიდენტ მარკო კანისტრალის იტალიური შეკრებისთვის თითქმის ყველაფერი მოუგვარებია. იქამდე კი ასლან ბალაძე 50 ფეხბურთელიდან სასურველთ აარჩევს.

კობა ინასარიძე

სამი ათეული კოლხეთისთვის

საახალწლო არდადეგებიდან დაბრუნდა და 5 იანვარს მზადებას შეუდგა ფოთის „კოლხეთიც“. დღეიდან კოლხები ორჯერად ვარჯიშზე გადავლენ და ბულგარულ შეკრებაზე წასვლამდეც ასე გააგრძელებენ. გუნდი ფოთთან ახლოს, გრიგოლეთის ბაზაზე ემზადება.

როგორც „კოლხეთის“ მწვრთნელმა სოსო ფილიამ გუშინ გვითხრა, ისინი ორშაბათს ამხანაგურად ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოს“ გაეჯიბრებიან, ორი დღის მერე, 17 იანვარს, კი — „ბათუმს“. ორივე მატჩი გრიგოლეთში ჩატარდება.

— დღეს ჩემი მეთვალყურეობით გუნდში 30 ფეხბურთელი ვარჯიშობს. კვლავაც ვაკვირდები და საბოლოოდ იმ 24 ფეხბურთელს დავტოვებ, რომელთა იმედზეც იქნება „კოლხეთი“ გაზაფხულზე. სწორედ ამდენი მოთამაშე წამოვა ბულგარეთში.

რაც შეეხება ახალწვეულებს, იმათ გარდა, ვინც მანამდე მოვიწვიეთ (ქვაჩახია, ქობულაძე, წივწივაძე, მუმლაძე და გიორგი ნოზაძე) თსუ-დან კახა ვადაჭკორია შემოგვემატა, ხობის „კოლხეთიდან“ კი ლევან ვართაგავა. მათ, ალბათ, დავიტოვებთ კიდეც. ამასთანავე სინჯებზე ზესტაფონის „მეტალურგიდან“ ქურციკიძე, ცუცქირიძე და „თორიდან“ გლუნჩაძეც იყვნენ, მაგრამ გავუშვი, მათ ვერ დაკმაყოფილეს ჩემი მოთხოვნები. ძალიან მსურდა, ჯონი შალამბერიძე დაგვებრუნებინა, მაგრამ ეს საკითხი, ალბათ, ჩვენდა სასიკეთოდ არ გადაწყდება. შესაძლოა, შალამბერიძის სანაცვლოდ ორი ტორპედოელი მოვიწვიოთ. ყველაფერი 20 იანვრამდე გადაწყდება, უფრო სწორად ჩემპიონთან შეხვედრის შემდეგ.

რომან ახალკაცის ამბავი საბოლოოდ გავარკვიეთ. იგი „ტორპედოში“ ითამაშებს. გიორგი დვითნიძე კი, სიმართლე გითხრათ, სად იმყოფება, არ ვიცი. „ურალანთანაც“ არაფერი არ გადაწყვეტილა“ — გვითხრა ბოლოს ფილიამ.

გიორგი ვაუბაკიძე

სპარტაკ არჩვაძე

ბოლნისური „სიონი“ ეროვნული ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპისთვის შეძლებისდაგვარად ემზადება. შინაურ კიდლებში ორკვირიანი მზადების შემდეგ ქვემოქართლელებმა თბილისში გადმოინაცვლეს და ერთი კვირაა წვრთნას მანეჟში გადიან. გუნდში გარკვეული ცვლილებებია და სწორედ ამასთან დაკავშირებით გავესაუბრეთ „სიონის“ მთავარ მწვრთნელ სპარტაკ არჩვაძეს.

ბოლნისელები თბილისში

— ინტენსიურად, დიდი მონდომებით ვემზადებით, გუნდის ხელმძღვანელობისგან გარკვეულ თანადგომას ვგრძნობთ და ჩვენც ძალიან ვცდილობთ. წესით და რიგით, პირველი ეტაპის დარჩენილ მატჩებში თავი არ უნდა შევირცხვინოთ. თუ სასწაული მოხდა და ექვსეულში მოვხვდით, ამას რა აჯობებს, მაგრამ ალბათ აქცენტის გაკეთება რჩეულთა შორის დარჩენაზე მოგვიწევს და მჯერა, ამ პრობლემას წარმატებით გადავჭრით.

— მანეჟში რამდენ ხანს დარჩებით?

— გეგმის მიხედვით, ოთხ დღეს, შემდეგ კი შევხედავთ ამინდებს. თუ დარი იქნება, ალბათ, „ისნის“ ან „შევარდენის“ სტადიონს ვიქირავებთ და იქ გავგრძელებთ წვრთნას, თუ არა და ისევ დარბაზში დავრჩებით. არ არის გამორიცხული ქალაქგარეთაც მოვემზადოთ, მაგრამ მაინც თბილისში მიჯობს გუნდის შეკრება, რადგან საკონტროლო მატჩებისთვის დიდი არჩევანი გვაქვს.

— საამისოდ ალბათ შუგულებულიც გეყოლებათ მეტოქეები...

— 16 იანვარს „ვიტ ჯორჯიას“ ვხვდებით, ამ გუნდს ხუთი დღის მერეც გავეჯიბრებით, ვიტელებთან მატჩებს შორის კი „დინამოსთანაც“ გვაქვს დაგეგმილი ერთი შეხვედრა. მერეც ვითამაშებთ, საამისო პრობლემა არ არსებობს.

— ახლა ცვლილებებზეც გვითხარით. თუ დატოვა ვინმემ გუნდი?

— ჰამლეტ წივწივაძე და პაატა გამცემლიძე არ ჩანან. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, რაც შეეხება წივწივაძეს, გვითხრა, ისრაელში უნდა გამსინჯონ ერთ-ერთ გუნდში და გამიშვითო, ხელს როგორ შევუშლიდით. მერე კი, როგორც გავიგე, ფოთში აღმოჩენილა. მისი საქციელი ცოტა გაუგებარია ჩემთვის.

— არაფერი გითქვამთ ვასილ მაისურაძეზე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი „ბათუმში“ ემზადება...

— მსგავსი არაფერი მომხდარა. მაისურაძე კვლავაც სიონელია, გუნდთან კონტრაქტი აკავშირებს და, ბუნებრივია, დანარჩენებთან ერთად მანეჟში ემზადება. საერთოდ „სიონი“ წივწივაძის და გამცემლიძის გარდა არავის დაუტოვებია.

— ვიცით, რომ გუნდში რამდენიმე ახალწვეული გყავთ...

— ოფიციალურად ისინი ჯერ არ გადმოსულან, მაგრამ გუნდთან ერთად ვარჯიშობენ და დიდი სურვილი მაქვს, სრულფასოვანი სიონელები გახდნენ. ესენი ალექსანდრე ძაბირაძე, დავით ტარიელაშვილი, გიორგი მოსულიშვილი და ირაკლი თარგამაძე არიან. ეს ოთხეული თუ შევიერთეთ, ბუნებრივია, ერთიორად გაგვიოლდება მიზნის მიღწევა.

ასე რომ, იმედიანად დაგვემშვიდობა გუშინ „სიონის“ მთავარი მწვრთნელი. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ყოფილი თორელი ტარიელაშვილის გადაბირება არჩვაძეს შარშანაც სურდა, მაგრამ ამაში ფეხბურთელს ტრავმამ შეუშალა ხელი. ამჯერად ტარიელაშვილი სრულად გამოჯანმრთელდა და „სიონში“ მის გადასვლასაც ალბათ ხელს არაფერი შეუშლის. ძაბირაძე ჩვენში დარბაზის ფეხბურთის მოთამაშედაა ცნობილი და წლების მანძილზე საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრების ღირსებას იცავდა. მინი-ფეხბურთით მოაწონა არჩვაძეს თავი გიორგი მოსულიშვილმაც. ამას წინათ მან ბრწყინვალედ ითამაშა „ბენდელას თასის“ ტურნირში და ლამის მარტომ მოიგო გათამაშება. რაც შეეხება ირაკლი თარგამაძეს, ნიჭიერი ნახევარმცველი „არსენალიდან“ მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინ გადაბირა „ბათუმმა“, მაგრამ შარშან შვიდ ფეხბურთელთან ერთად გუნდიდან დაითხოვეს.

პაატა ძვანტალიანი

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეშიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

ტორპედოს მარშრუტი მარანი — მოსკოვი — სპა

ახალი წლის პირველ „სარბიელში“ იყო, ქვეყნის ჩემპიონ „ტორპედოში“ მომხდარ ცვლილებებზე და იანლეებზე, გუნდის უახლოეს გეგმებზე ვწერდით და ისიც აღვნიშნეთ, რომ ქუთაისურ კლუბში ბევრი რამ ჯერაც გასარკვევი და დასაზუსტებელია. გუშინვე დამატებითი ინფორმაციისათვის კლუბის ვიცე-პრეზიდენტს შედან ნანიკაშვილს მივმართეთ.

— მართალს ბრძანებთ, „ტორპედო“ საგრძნობლად გაახლებული შეხვდება ეროვნული ჩემპიონატის დარჩენილ პერიოდს. გუნდში ახლაც ბევრი ცვლილებაა და უახლოეს დროშიც უნდა ველოდოთ სიახლეებს. დღეს მე ოფიციალურად შემიძლია განვაცხადო, რომ რევაზ ძოძუაშვილი „ტორპედოში“ მოვიდა. იგი 18 იანვარს მოსკოვში თანამეგობრობის ქვეყნების თასის გათამაშების დაწყების წინ შეუერთდება გუნდს და გამოჯამრთელებულ დავით ყიფიანთან ერთად უხელმძღვანელებს „ტორპედოს“. კლუბის პრეზიდენტი ზურაბ ხინიკაძე და ჩვენც, ქუთაისში მყოფნი ვიმედოვნებთ, რომ ეროვნული ნაკრების თავკაცები „ტორპედოშიც“ შეხმატკბილებულად ითანამშრომლებენ და ყველაფერს გააკეთებენ, რათა გუნდმა დასახულ მიზანს მიაღწიოს. „ტორპედოს“ მიზანი კი მოგეხსენებათ, კლავაც ჩემპიონობა და თასის დაუფლებაა.

— გუნდი მოსკოვს როდის მიემგზავრება და რა შემადგენლობით?

— მოსკოვში 18 იანვარს გადავფრინდებით. რაც შეეხება შემადგენლობას, იგი სამ-ოთხ დღეში დაზუსტდება, 23-24 ფებბურთელს წავიყვანთ. საერთოდ კი ჩვენი დელეგაცია 30-კაციანი იქნება.

— გავიგეთ, რუსეთში გამგზავრებამდე „ტორპედო“ სამტრედიაში სოფელ მარნის მოედანს გამოიყენებს სავარჯიშოდ...

— გუნდის მწვრთნელებმა მოინახულეს მარნის მოედანი და სხვებთან შედარებით მოიწონეს. დარჩენილ დღეებში ტორპედოელები სავარჯიშოდ იქ ივლიან.

— მოსკოვიდან ისევ ქუთაისში დაბრუნდებით?

— არა, თანამეგობრობის ქვეყნების თასის გათამაშების შემდეგ გუნდი პირდაპირ მოსკოვიდან ბელგიაში გაემგზავრება ერთთვიან შეკრებაზე.

— გადაწყვეტილი ამბავია?

— ბუნებრივია, ორგანიზაციული საკითხები უკვე მოგვარებულია, „ტორპედო“ ლიეჟიდან 60 კილომეტრის მოშორებით ქალაქ სპაში ლა ფრენეზის ოლიმპიურ რეზიდენციაში დაბინავდება და იქვე მოეზადება. საწვრთნელ პროცესში რამდენიმე საკონტროლო თამაშიცაა დაგეგმილი. მიღწეულია წინასწარი შეთანხმება რამდენიმე ბელგიურ გუნდთან. „ტორპედო“ ჯერ იქაური პირველდივიზიონელი „სტანდარდის“ სათადარიგო და ძირითად გუნდებს შეხვდება. გაეჯიბრება აგრეთვე პირველდივიზიონელ „ლა ლოვიერს“, მეორედივიზიონელ „მოლენბეკს“, „ტურნჰაუტს“ და მეოთხედივიზიონელ „ვერდიეს“. უცხოეთში „ტორპედო“ 22 თებერვლამდე დაჰყოფს.

— ბოლო ორ წელიწადში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა „ტორპედოს“ საკეთილდღეოდ. რეკონსტრუქცია გაუკეთდა და გალამაზდა სტადიონი, უმაღლეს დონეზე კეთილმოეწყო გუნდის საწვრთნელი ბაზა. ერთიც და მეორეც საუკეთესოა ქვეყანაში. ვხედავთ, არც ამაზე აპირებთ გაჩერებას...

— თავშივე გეტყვით, ყველაფერს, რაც გაკეთდა, კლუბის პრეზიდენტს ზურაბ ხინიკაძეს უნდა ვუმადლოდეთ. ეს კაცი არაფერს იშურებს „ტორპედოსთვის“. რაღა თქმა უნდა, ადგილობრივი ხელისუფლებაც ჩვენს გვერდითაა, შესაძლებლობის ფარგლებში გვეხმარება.

საწვრთნელ ბაზაზე ახლახან დავასრულეთ კვების ბლოკის სარეკონსტრუქციო სამუშაოები და დავიწყეთ გამავჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა, რომელიც ორ თვეში უნდა დავასრულოთ. აქვე ბაზაზე ვაწყობთ მეორე სავარჯიშო მოედანს. საგაზაფხულოდ, ალბათ, ისიც მზად იქნება. გაგიმეორებთ, კლუბის პრეზიდენტი არაფერს იშურებს „ტორპედოსთვის“, ოღონდ გუნდმა ივარგოს და იმედები გაამართლოს.

— გეთანხმებით, რომ ყველაფერი პრეზიდენტის ნებაზე, ფინანსებზეა დამოკიდებული, მაგრამ ბატონი ზურაბი მოსკოვიდან ყველა საქმეს ვერ გაწვდება...

— ზოგი მიჩვეულია ქარაგმებით ლაპარაკს. ეს ჩემს ხასიათში არ არის. ვინ, რას და როგორ აკეთებს საზოგადოებისთვის ცნობილია და აფიშირებას არ საჭიროებს. მე პირადად თავს მოვალედ ვთვლი, კლუბის ირგვლივ ყველა საქმის კურსში ვიყო, კარგი და ცუდი გავარჩიო, გუნდს, ქალაქს პატიოსნად ვემსახურო.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

ქვლით ახალი მიზნისკენ

გუშინ რამდენიმე რუსულ, მანამდე კი ერთ-ერთ ქართულ გამოცემაში ინფორმაცია გაჩნდა იმის თაობაზე, რომ „გორდას“ ნახევარმცველი მამუკა მელაძე ვიტალი დარასელიას ყოფილ კლუბ კიევის ცსკა-ში გადაბარგდა.

მელაძის ცსკა-ში შესაძლო გადასვლაზე ამას წინათ უკრაინული გაზეთებიც წერდნენ, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. „გორდას“ პრეზიდენტმა თემურ ბუიღლიშვილმა გაოცებულმა გვითხრა, რას ამბობთ, ამის შესახებ თქვენგან მესმის პირველად, მელაძე გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მართალია, კონტრაქტი დაუსრულდა, მაგრამ სხვა გუნდში გადასვლაზე არაფერი უთქვამსო. თავად მამუკასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ იგივე დაადასტურეს მისმა თანაგუნდელებმაც. რამდენიმე საათის წინ ერთად დავამთავრეთ ვარჯიში, ეს ინფორმაცია ჩვენც წავიკითხეთ და ბევრიც ვიცინეთ, მამუკა ჯერჯერობით არსად წასულა და სავარაუდოდ, საგაზაფხულო ეტაპსაც „გორდას“ რიგებში შეხვდებაო, თქვეს რუსთაველებმა. და საერთოდ, „გორდა“ ჯერჯერობით უმაღლესი ლიგის ბინადართაგან ერთადერთი კლუბია, რომელიც ოფიციალურად არც ერთ ფეხბურთელს არ დაუტოვებია.

ნუკრი ბარდანიძის ფოტო

მამუკა მელაძე

გუნდი რუსთავში ვარჯიშობს ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად, ორშაბათიდან კი შეკრებაზეც გადავა (შინაურ პირობებში) და 16 იანვარს პირველ საკონტროლო მატჩსაც გამართავს დიღმის ბაზაზე, ათგზის ჩემპიონთან.

„დინამოსთან“ მატჩში რუსთაველებს ამირან კედელაშვილი, გრიგოლ ბედიაშვილი და თამაზ მეტრეველიც შეეშველებიან. ეს სამეული დღეისთვის გუნდთან ერთად ვარჯიშობს და სავარაუდოდ, ჩემპიონატის განახლებას „ფოლადზევე“ შეხვდება.

სამივე მათგანი რუსთაველია და სხვადასხვა დროს მშობლიურ გუნდში უთამაშიათ. თამაზ მეტრეველი ჯერ კიდევ პირველ ეროვნულ ჩემპიონატში ირიცხებოდა „გორდაში“, ბოლო დროს კი ფეხბურთს ჩამოშორებული იყო. ამირან კედელაშვილი „გორდადან“ გადავიდა ფოთის „კოლხეთში“ და ახალი გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც უმალ დაიმკვიდრა ადგილი, თუმც თითქმის ერთი წელია, ტრავმებმა გააწამა და გამოჯანმრთელებული ისევ რუსთავს დაუბრუნდა. გრიგოლ ბედიაშვილი კი მიმდინარე ჩემპიონატის წინ „ბათუმმა“ აიყვანა. ახალგაზრდა მეკარე საშემოდგომო ეტაპზე სტაბილურობით დიდად ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ მშობლიურ გუნდში დარჩენის შემთხვევაში „გორდას“ ყველაზე სუსტ რგოლს უთუოდ წაადგება.

— არ ვიცი, რას გადაწყვეტენ ეს ფეხბურთელები, მაგრამ „გორდას“ კარი მათთვის ღიაა — გვითხრა ამასთან დაკავშირებით თემურ ბუიღლიშვილმა. პრეზიდენტს იმის თქმაც არ დავიწყებია, რომ გუნდში სხვა ახალწვეულების გამოჩენას ნაკლებად უნდა ველოდეთ. აქცენტს ძველ ფეხბურთელებზე გავაკეთებთ და მათი დახმარებით შევეცდებით ახალი მიზნის მიღწევასო, ესეც ბუიღლიშვილის სიტყვებია.

მიზანი კი მართლაც რომ ახალი აქვს რუსთავულ გუნდს — ექვსეულში მოხვედრის მსურველმა „გორდამ“, რომელმაც ჩემპიონატი რიხით დაიწყო, გაზაფხულიდან უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე უნდა იზრუნოს.

პაატა ძვანტალიანი

REUTERS კიოლნიდან

კრისტოფ დაუმმა ცოდვები საჯაროდ აღიარა

კრისტოფ დაუმის აღსარება

ლევერკუზენის ყოფილი მთავარი მწვრთნელი ნარკომანი ყოფილა

კრისტოფ დაუმმა გუშინ კიდევ ერთხელ გააცა გერმანია, კიდევ ერთხელ გააკვირვა თანამემამულეები თავისი საქციელით, უფრო სწორად, ნათქვამით...

„კოკაინი მართლაც მომიხმარებია, თუმცა ეს ძალიან ადრე ხდებოდა, თანაც ყოველთვის განმარტოებით ვიღებდი“ —ეს სიტყვები სახალხოდ განაცხადა გუშინ დაუმმა კიოლნში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც წინ ისეთი ამბები უძღოდა, მსოფლიოში ვინც კი ფოტოგრაფი და ჟურნალისტი იყო, ლამის ყველა კიოლნის ერთ-ერთი პრესტიჟული სასტუმროს სპრესკონფერენციო დარბაზში შეჰყარა.

დაუმი ხუთშაბათს სამშობლოში დაბრუნდა. 82-დღიანი განშორების შემდეგ კვლავ დადგა ფეხი გერმანულ მიწაზე. მის დაბრუნებას დიდი ამბით ელოდნენ. დრო მოვა, ისევ ჩამოვალ გერმანიაში და ყველას თავისას მივუზღავ, ყველას გავუსწორდები — იმუქრებოდა „ლევერკუზენის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი. ჰოდა, ერთი სული ჰქონდათ გერმანელებს, როდის ჩავიდოდა დაუმი. იქაურმა გამოცემა „ბილდმა“ კრისტოფს ერთი კორესპონდენტიც კი მიუჩინა, რომელიც მწვრთნელის ყოველ მოქმედებას აკვირდებოდა და შემდეგ მკითხველს აწვდიდა, რომელსაც თქვენც გავაცნობთ:

„დაუმი მაიამი-ფრანკფურტის რეისით ეწვია გერმანიას. პირველი კლასის სალონით იმგზავრა. მისი ადვოკატები ბიზნეს-კლასის სალონში ისხდნენ. მგზავრობისას დაუმს ცოტა აღელვება ეტყობოდა. ბევრ წყალს სვამდა, სალათებს მიირთმევდა, დესერტიც დააყოლა და მერე ოთხი საათიც წაუძინა.

უამინდობის გამო ფრენა ჩვეულებრივზე დიდხანს გაგრძელდა, ბოინგი ფრანკფურტში 87 წუთის დაგვიანებით დაფრინდა. როცა აეროპორტის ადმინისტრაციულ შენობაში ფორმალობების მოსაგვარებლად თხელ, ღია ფერის კოსტიუმში გამოწყობილი, გარუჯული და ოდნავ თმამოშვებული მამაკაცი შევიდა, იქვე მდგომი ორი პოლიციელიდან ერთ-ერთმა იგი უმალ ამოიცნო და შეჰყვირა: „ჰერ დაუმ, რა კარგია, რომ ისევ აქ ხართ.“ იმის ნაცვლად, რომ დაუმისთვის პასპორტი შეემოწმებინათ, ავტოგრაფი გამოართვეს. კრისტოფი კარგ ხასიათზე ჩანდა, იცინოდა, თვალები უბრწყინავდა. მერე მანქანაში ჩავდა და კიოლნის გზას დაადგა. შავი ფერის „აუდი A8“-ით 79 წუთში თავის ვილას მიადგა, საიდანაც ხუთი თვის ფეხმძიმე მეგობარი გოგო ანჟელიკა კიმი გამოეგება. „მიხარია, რომ ისევ აქ ხარ“ — აღმოხდა ქალს.

„ბედნიერებაა, რომ ისევ შინ ვარ, კიოლნში, ქალაქში, რომელიც ჩვენი ცხოვრების ცენტრია. მე აქ დიდხანს დავრჩები“ — უთხრა დაუმმა რადიო WDR-ს. ისიც აღნიშნა, დანარჩენს პრესკონფერენციაზე ვიტყვი, მინდა, ყველაფერი დასრულდესო — წერს „ბილდი“.

ჰოდა, ამის მერე ყველა შურისძიებას ელოდა, შურისძიებას, რომლის შესაძლებლობაც დაუმს თითქოს ჰქონდა, თუ რატომ, ამისთვის გასულ წელს დატრიალებული დიდი სკანდალი გავიხსენოთ.

გასულ ზაფხულს დაუმი გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნა, თუმცა მოვალეობის შესრულებას 2001 წლის 1 ივნისიდან უნდა შედგომოდა. სექტემბრის ბოლოს მიუნხენის „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰოინესმა საჯაროდ განაცხადა, დაუმის დანიშვნა როგორ შეიძლება, მექალთანე და ნარკომანია, თანაც ქვეყანას შემოსავალს უმალავსო. მთავარი ბრალდება მაინც კოკაინისადმი მიდრეკილება იყო. „მეგობრებმაც“ ურჩიეს მწვრთნელს, მიდი, ანალიზები გაიკეთე და დაუმტკიცე ყველას, რომ სუფთა ხარო. დაუმმაც დაუჯერა და გამოსაკვლევად თავისი თმა ჩააბარა. ანალიზის შედეგებმა მთელი გერმანია გააოცა — დაუმი ნარკომანი აღმოჩნდა. მას ქვეყნიდან გაქცევის გარდა არაფერი დარჩენოდა. კრისტოფს სხვა ბრალდებებიც წაუყენეს და ლამის სისხლის სამართლის საქმეც აღძრეს მის წინააღმდეგ. ამერიკაში გაქცეულმა დაუმმა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კლინიკაში ხელახალი ანალიზი ჩაიტარა, რომელმაც დაადასტურა, რომ მწვრთნელის სისხლში ნარკოტიკის კვალი არ იყო. ცამდე მართალი ვარო, განაცხადა მაშინ დაუმმა და დადუმდა. დრო რომ მოვა, ყველაფერს მაშინ ვიტყვი და ყველას თავის ადგილს მივუჩენო, დაიმუქრა ბოლოს.

ის დრო, წესით და რიგით, გუშინ დადგა, როცა მწვრთნელყოფილმა პრესკონფერენცია მოიწვია.

„დღეს აქ იმიტომ მოვედი, რომ ყველაფერი გულახდილად გითხრათ. ვაღიარებ, ნარკოტიკებთან კავშირი მართლაც მქონდა, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო. ფეხბურთელობისას ბარძაყის ტრავმა მქონდა, ნარკოტიკებიც მაშინ მივიღე პირველად, რადგან აუტანელ ტკივილს მიამებდა. თუმცა კოკაინზე „შემჯდარი“ არასოდეს ვყოფილვარ, არც ნარკოტიკებით ავადმყოფი მეთქმის. ამ იარლიყის მოწებება ნამეტანია. შეიძლება გამამტყუნონ, მაგრამ შეცდომას თავადაც არ ვუარყოფ. ჩემს თავს ვადანაშაულებ, არ უნდა მიმეღო. თუმცა ეს ჩემი ცხოვრების წარსულია, გავლილი ეტაპი, რომელსაც წერტილი დავსვა“ — აღიარა დაუმმა, რომელმაც იმაზე საუბარს, თუ რამდენ ხანს იღებდა კოკაინს, თავი აარიდა. მერე კი მომავალ გეგმებზეც ისაუბრა: „ახლა გერმანიაში ვრჩები. მიმდინარე სეზონში მწვრთნელობას არ ვაპირებ, გაისიდან კი ჩემს საქმეს დავუბრუნდები, ოღონდ თავდაპირველად, ალბათ, უცხოურ გუნდებში ვიმუშავებ, მერე კი ეგებ შინაც დავბრუნდე. ახლა ბევრი წინადადება მაქვს, თუმცა უმეტესობას არც კი განვიხილავ. ახლა ჩემი მთავარი საზრუნავი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება და რეპუტაციის აღდგენაა.“

დაუმის მომავალზე პროკურორმაც ისაუბრა — „გამოძიება აღარ გაგრძელდება. დაუმს სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მივცემთ, თუმც საამისოდ ნარკოტიკების შენახვის ბრალდების აცილება და ჯარიმის სახით მილიონი გერმანული მარკის გადახდა მოუწევს.“

გუშინდელმა პრესკონფერენციამ კიდევ ბევრი რამ დატოვა გაურკვეველი. მაგალითად ის, რომ თუ დაუმი კოკაინს იღებდა, რატომ არ აღმოჩნდა მისი კვალი ამერიკაში გაკეთებულ ანალიზებში, ან კი საკითხავია, თუ დაუმი მართლაც ნარკომანი იყო, რატომ გააღვივა სკანდალი, რატომ გაიქცა ამერიკაში, რატომ ჩაიტარა ხელახალი ანალიზი და რატომ იმუქრებოდა. ან სამსახურის იმედი რომ აქვს, საინტერესოა, სიმართლის გარკვევის შემდეგ მოისურვებს კი ვინმე, მას გუნდი ჩააბაროს?

თუმც დაუმმა თავისი საქმისა თვითონ იცის, ჩვენ კი გუშინდელ პრესკონფერენციაზე ნათქვამი მისივე სიტყვებით დავასრულებთ — გერმანიის ნაკრების მწვრთნელობა ჩემი ოცნება იყო, მზად ვიყავი ამ მიზნის მისაღწევად ყველანაირ რისკზე წავსულიყავი. ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, ანალიზის გაკეთებას რომ დავთანხმდი.

ვანო ოქროპირიძე

კეიეროს მსაჯები

რეკლამა და ფეხბურთი რომ კარგა ხანია, დამშობილებულები არიან, რა მტკიცება უნდა. რეკლამამ დაიპყრო სტადიონები, ფეხბურთელთა მაისურები და აგერ ახლა მსაჯებსაც მიადგა.

პირველი მერცხლები ესპანელი არბიტრები არიან, რომელთა მაისურებსაც ამ უქმეებიდან მოყოლებული ესპანური ტელეკომპანია „კეიეროს“ სახელი დაამშვენებს. „კეიეროებიანები“ ქვეყნის პირველი და მეორე დივიზიონებისა და სამეფო თასის მატჩებს მოემსახურებიან.

ეს გადაწყვეტილება ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას დამოუკიდებლად არ მიუღია, ჯერ ფიფას დაეკითხა. ფიფაც დათანხმდა.

ფედერაციასა და ტელეკომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება ოთხწლიანია და მიღებული თანხა — 4.58 მილიონი დოლარი მსაჯთა მოსამზადებელ სკოლას მოხმარდება.

რომ არ გავვარდეთ...

მონაკომ პანუჩი და რადუჩოიუ ჩაიგდო

კრისტიან პანუჩი

ასე თუ გაგრძელდა, ვერაფერს გავხდებით, გავვარდებითო და საფრანგეთის ჩემპიონის, „მონაკოს“ პრეზიდენტი ჟან ლუი კამპორა დაფაცურდა და ნაახალწლევს სატრანსფერო ბაზარზე ორი ფეხბურთელი გადაიბირა. ერთ-ერთი იტალიელი მცველი, 30 წლის კრისტიან პანუჩია, რომელიც სათავადოს გუნდს ლონდონის „ჩელსისგან“ შეუერთდა. კლაუდიო რანიერიზე ნაწყენი ფეხბურთელი კლოდ პუელმა შეიკედლა, მეორე კი ასევე 30 წლის, ოღონდ რუმინელი ფორვარდი ფლორინ რადუჩოიუ გახლავთ. ხომ გახსოვთ რადუჩოიუ, აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე, 1994 წელს, მისი და გეორგე ჰაჯის ბრწყინვალე თამაშმა თვით არგენტინის ნაკრები რომ იმსხვერპლა მეოთხედფინალში. ახლა „ბრეშას“, „მილანის“ და „ვესტ ჰემის“ ყოფილი ფეხბურთელი მონაკოელებმა ბუქარესტის „სტიაუადან“ სეზონის ბოლომდე ინათხოვრეს. პუელს სჯერა, რადუჩოიუ და მარკო სიმონე თავდასხმაში კარგ დუეტს შექმნიანო. პანუჩის დარად, საფრანგეთის ჩემპიონები კიდევ ერთი ჩელსელის, თანამემამულე ფრანკ ლებეფის გადაბირებას ლამობენ. ბევრი გოლი გაგვაქვს, მაგრამ ბევრსაც ვუშვებთ. იმედია, პანუჩის დაცვაში ლებეფი მალე დაეხმარება და პრობლემაც მოიხსნებაო.

ასეა თუ ისე, მონტეკარლოელებმა ორი ფეხბურთელი უკვე გადაიბირეს, ჯერ მესამეზეა.

გიორგი ვაშაკიძე

ბრაზილია

ჩემპიონატის ფინალი

პირველი მატჩი

სან კაეტანო 1:1 ვასკუ და გამა

საპასუხო მატჩი

ვასკუ და გამა 0:0 სან კაეტანო

მატჩი 23-უ წუთზე შეწყდა არეულობების გამო

„ვასკუ და გამას“ პრეზიდენტმა ეურისიო მირანდამ ჟოაო აველანჟის თასის ზუსტი ასლი დაამზადებინა და კაბინეტში დაიდგა, აქაოდა, ვინც რა უნდა თქვას, ჩემპიონები ჩვენ ვართო. ამასობაში ბრაზილიის სპორტულმა ტრიბუნალმა გადათამაშება ბრძანა და თარიღიც დაადგინა, რასაც თავის მხრივ „სან კაეტანოც“ აპროტესტებს. მოკლედ, ყველაფერი ისეა, როგორც ბრაზილიური ფეხბურთის დღევანდელ ყოფას შეესაბამება — სრული ქაოსი.

პირველი ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ სანკაეტანოელები რიო დე ჟანეიროს ესტუმრნენ და 35-ათასიან „სან ჟანუარიოზე“ „ვასკუს“ პირისპირ წარდგნენ.

ფინალმა რიოში დიდი ინტერესი გამოიწვია და ორგანიზატორთა შეცდომაც აშკარა გახდა — ტრიბუნებმა ყველა მსურველი ვერ დაიტია, დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ უბილეთოებმა იძალეს და სტადიონზე შეიჭრნენ, რამაც შემდგომ არეულობები გამოიწვია. პატარ-პატარა შეტაკებები მატჩის დაწყებისთანავე დაიწყო და პიკს 23-ე წუთისთვის მიაღწია. ამ დროისთვის ას კაცზე მეტი საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა და შეხვედრაც შეწყდა.

ფაქტები ასეთია, ახლა კი თავში მოყვანილი სამი განსხვავებული შეფასება გავარჩიოთ.

სპორტულმა ტრიბუნალმა ჩაშლილი მატჩის ვიდეოჩანაწერი ნახა და დაასკვნა, არეულობათა მიზეზი ორგანიზატორთა უსუსურობა გახდაო. ორგანიზატორი ანუ მასპინძელი კი „ვასკუ და გამა“ გახლდათ. ამ შემთხვევაში, წესით, „ვასკუ“ უნდა დაესაჯათ, მაგრამ ზემოთ ქაოსი ვახსენეთ და რა გასაკვირია, რომ ქაოსმა სპორტულ ტრიბუნალშიც შეაღწია. შედეგად ტრიბუნალი ოდენ ფინალის გადათამაშებით დაკმაყოფილდა და გუნდები 18 იანვარს „მარაკანაზე“ მიიწვია. აქვე დავუმატოთ, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას კიდევ ერთი მოდავე მხარის გამოჩენა მოჰყვა. ეს „მარაკანას“ ადმინისტრაციაა, ახალი ბალახის საფარის დაგებას ვაპირებთ და მაგისთვის არ გვცხელაო.

ახლა მირანდა. ამ კაცის თავხედობას საზღვარი არა აქვს და ამბობს, მსაჯმა რომელ წუთზე შეწყვიტა მატჩი, სულაც არ მაინტერესებსო. თამაში 0:0 დასრულდა და რაკი პირველი მატჩის შედეგი 1:1 იყო, სტუმრად გატანილი მეტი გოლის გამო ჩემპიონები ჩვენ ვართო. უკვე ვთქვით, ამის დასტურად „ვასკუს“ პრეზიდენტმა თასიხ ასლიც დაიმზადა.

„სან კაეტანო“ გადათამაშების წინააღმდეგი არაა, მაგრამ თარიღი არ აკმაყოფილებს. საქმე ისაა, რომ ჩაშლილი მატჩი 30 დეკემბერს გაიმართა, 31 დეკემბერს კი კლუბის ფეხბურთელთა დიდ ნაწილს კონტრაქტი დაუმთავრდა. ამიტომ ახლა „სან კაეტანოს“ სულ სხვა პრობლემები აქვს, რომელთა მოგვარებაც 18 იანვრამდე არ ესწრება.

ჰოდა, სრული განუკითხაობა სუფევს ბრაზილიურ ფეხბურთში.

სპორტშგალია

XVII ტური

ბელენენსეში 2:0 სალგეირუში

1:0 ფილგუერა (53), 2:0 გერსონი (82)

ესპანეთი

სამეფო თასი

მერვედფინალი. I მატჩი

ატლეტიკო (ი) 2:2 რაიო ვალეკანო

თურქეთი

თასის მეოთხედფინალის ფილისარა

30 იანვარს: ტრაპზონსფორი — გალათასარაი

31 იანვარს: გენლერბირლიგი — ქოჯაელისფორი; ისთანბულსფორი — ბეშიქთაში

1 თებერვალს: ანკარაგუჯიუ — ფენერბაჰჩე

ოთხთა ტურნირი

ლევერკუზენი 1:0 რუსენბორგი

1:0 ბ. შნაიდერი (65)

ფინალში დღეს სტამბოლის „გალათასარაი“ და „ლევერკუზენი“ შეხვდებიან

რონალდო უარყოფს ეჭვები რჩება



რონალდო გაცოცხლდა და ჩვენებებს იძლევა

ახალი წელი ბრაზილიაშიც ახალი წელია. იქაურმა კონგრესმენებმა დაისვენეს, ალბათ გვარიანადაც მოილხინეს, ენერგია აღიდგინეს და ჩვეული საქმიანობა განაგრძეს. მათი ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა ბრაზილიურ ფეხბურთში გაბატონებული დანაშაულებების გამოძიებაა. ეს ფრიად საჭირბოროტო საკითხი მარტო ბრაზილიაში როდი აინტერესებთ, იგი მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს.

ნაახალწლევს კონგრესის სპეციალური კომისიის წინაშე „მარად დამტვრეული" რონალდო წარდგა.

საქმის არსი გავიხსენოთ: ერთ-ერთი უმთავრესი ბრალდება, რომელიც კონგრესმა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას წაუყენა, კომპანია „ნაიკთან" კაბალური სასპონსორო ხელშეკრულების გაფორმებაა. ამტკიცებენ, რომ „ნაიკი" უხეშად ერევა ეროვნული გუნდის საქმეებში და ბრაზილიელებს ულტიმატუმს უყენებს, რომელ მატჩში რომელმა ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ. ყველაზე გახმაურებული შემთხვევაა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი, რომლის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე რონალდოს კრუნჩხვა დაემართა და ის მაინც ათამაშეს. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში „ნაიკის" მაისურიანი რონალდო კომპანიისთვის საუკეთესო რეკლამა იყო და ფეხბურთელის ჯანმრთელობას და ბრაზილიის ნაკრების ინტერესებს არად აგდებდნენო, აცხადებენ კონგრესმენები და ამ მოსაზრებას ნაკრების წევრებიც ეთანხმებიან. ფეხბურთელთაგან ამის თაობაზე ყველაზე მკვეთრი განცხადება ედმუნდომ გააკეთა. ერთ-ერთ ინტერვიუში რობერტო კარლოსმაც თქვა, რონალდოს ოთახში რომ შევედი, მეგონა, სიკვდილის პირას იყო. ისევ გავიმეოროთ, ეს ყველაფერი ფინალურ მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე მოხდა. ისიც გავიხსენოთ, რომ იმ შეხვედრაში რონალდოსგან აჩრდილიღა დარჩენილიყო და მინდორზე სახეირო მას არაფერი გაუკეთებია.

ჰოდა, რონალდო კომისიის წინაშე წარდგა. რა „ნაიკი", რის „ნაიკი", შემეძლო და ვითამაშეო — ასეთია რონალდოს ოფიციალური განცხადების მთავარი აზრი.

„დღისით გადავწყვიტე, კარგად გამომეძინა — თქვა რონალდომ — როცა გავიღვიძე, დავინახე, რომ თავზე თანაგუნდელები და ექიმები მადგნენ. ყველას რატომღაც უაღრესად შეშფოთებული სახე ჰქონდა. ექიმებმა მითხრეს, რომ კრუნჩხვები მქონდა. ბიჭები მამშვიდებდნენ, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება და ფინალსაც აუცილებლად მოვიგებთო — დარწმუნებული იყვნენ, რომ თამაშს ვერ შევძლებდი. სიმართლე გითხრათ, გავოცდი, თავს კარგად ვგრძნობდი და ვერ გავიგე, რა უნდოდათ. ექიმებს ვკითხე, რით დაგიმტკიცოთ, რომ სრულიად ჯანმრთელი ვარ-მეთქი. სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება შემომთავაზეს".

ამის შემდეგ რონალდოს ნათქვამი სრულად ეთხვევა ჯერ კიდევ წინა წელს ნაკრების მაშინდელი მწვრთნელის, მარიო ზაგალოს ჩვენებას. ფეხბურთელი საავადმყოფოში წაიყვანეს, გასინჯეს და ნაკრებში დასკვნაც აფრინეს, ჯანმრთელიაო.

ამ განცხადების შემდეგ კომისიის წევრებმა რონალდოს ჯიქურ ჰკითხეს, გააჩნია თუ არა თუნდაც იოტისოდენი საფუძველი მოსაზრებას, რომ „ნაიკმა" თამაში გაიძულათო. ფეხბურთელმა ამგვარი ზეწოლა კატეგორიულად უარყო.

რა გამოდის, რონალდოს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში თამაშის გამო ატეხილი ამხელა აჟიოტაჟი ყალბი იყო? აკი ამას ამტკიცებენ მწვრთნელიც და ფეხბურთელიც. თითქოს ამით ყველაფერი გაირკვა და საკითხიც ამოწურულად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ...

რა ვუყოთ ედმუნდოს, რობერტო კარლოსისა და სხვათა მტკიცებებს? რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ რონალდომ ფინალში საშუალო დონის ფეხბურთიც ვერ ითამაშა, რაც მილიონობით მაყურებელმა ნახა? და მთავარი, რონალდომ კონგრესმენებს კატეგორიული უარი უთხრა პირადად მასსა და „ნაიკს" შორის არსებული კონტრაქტის ჩვენებაზე, კომერციული საიდუმლოებაო.

მწვრთნელისა და ფეხბურთელის მტკიცებების მიუხედავად, ფაქტები კონგრესმენებს მოსვენებას არ აძლევს. ამის თაობაზე კომისიის თავმჯდომარე ალდუ რებელუმ განაცხადა, რონალდოს უფლება არ აქვს, „ნაიკთან" მისი ურთიერთობის დეტალები დაუმალოს გამოძიებასო. ამ საკითხთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში კომისია სპეციალურ დახურულ სხდომას გამართავს.

გიორგი დარჯანია

აბა, პასპორტი ჩანაა!

ფრანგულ ფეხბურთში ლევიცკის რევოლუცია იწყება

მაქსიმ ლევიცკი დაკითხვაზე

უკრაინელმა მეკარემ, მაქსიმ ლევიცკიმ ხუთშაბათ საღამოს კვლავ იგემა თავისუფლების სიტკბო. 48-საათიანი პატიმრობის შემდეგ საფრანგეთის პოლიციამ იგი გაათავისუფლა, თანაც ქვეყნიდან გასვლის ნებაც დართო. ეს მოსალოდნელი იყო, რადგან ფრანგული კანონების მიხედვით სამართალდამცავები ფეხბურთელს 48 საათზე მეტხანს ვერ დაკავებდნენ. ვარაუდობდნენ, რომ ლევიცკის საფრანგეთის დატოვების უფლებას სიმართლის საბოლოო დადგენამდე არ მისცემდნენ. ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. ფეხბურთელის მიერ მიცემულმა ჩვენებებმა პოლიციელებს ასეთი გადაწყვეტილება მიაღებინა — სრული თავისუფლება ლევიცკის. ასე რომ, უკრაინელს, რომელმაც ცოტა ხნის წინ მოსკოვის „სპარტაკთან" გააფორმა ხელშეკრულება და ამ კლუბის სრულუფლებიანი წევრი გახდა, საშუალება მიეცა, ოლეგ რომანცევის გუნდს შეერთებოდა და ვარჯიშიც დაეწყო. შეგახსენებთ, იგი საბუთების გაყალბებისთვის დაიჭირეს.

ლევიცკისგან განსხვავებით, ალბათ, მკაცრად დაისჯებიან „სენტ ეტიენის" ხელმძღვანელები. გუშინწინ მათ წინაღმდეგ ჩვენება სანკტ პეტერბურგის „ზენიტის" წარმომადგენელმაც მისცა. სენტეტიენელებმა ამას წინათ „ზენიტის" მეკარე რომან ბერეზოვსკის შეძენა მოისურვეს, თუმცა ერთგვარი ულტიმატუმი წაუყენეს, თუ სასწრაფოდ მოქალაქეობას არ შეიცვლი და ევროკავშირელი არ გახდები, ტრანსფერი ჩაიშლებაო. როგორც ირკვევა, ფრანგებმა ლევიცკისაც იგივე პირობა წაუყენეს და აიძულეს, ევროკავშირის რომელიმე წევრი ქვეყნის მოქალაქეობა მიეღო. როცა ფეხბურთელი დაიყოლიეს, ბერძნული პასპორტიც მიართვეს. ლევიცკიმ ყალბი დოკუმენტებით რამდენიმე თვე ითამაშა, კოკა კი 2 დეკემბერს გაუტყდა, როცა „ტულუზმა" „სენტ ეტიენთან" წააგო და პროტესტი განაცხადა, მეტოქემ დაშვებულზე ერთით მეტი, ოთხი არაევროკავშირელი ათამაშაო.

ისეთი პირი უჩანს, ლევიცკიდან დაწყებული სკანდალი ფართო მასშტაბებს მიიღებს და გვარიანად გაჭიანურდება. ჯერ ისევ უკრაინელ მეკარეზე ვთქვათ. მართალია, ახლანდელი ვითარებიდან გამომდინარე, მას პასუხისგებაში მიცემა არ ემუქრება, მაგრამ ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია რომ არ ასცდება, ფაქტია. საკითხავი ისაა, მას მხოლოდ საფრანგეთში აეკრძალება თამაში თუ საერთოდ მოიკვეთება ფეხბურთიდან. ამაზე ცოტა ხნის შემდეგ ფიფა და უეფა იმსჯელებენ და გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

გუშინდელი „სარბიელიდანაც" გეცოდინებათ, ყალბი პასპორტი კიდევ ერთ სენტეტიენელს, ბრაზილიელ ფორვარდ ალექსს აღმოუჩინეს. მან პორტუგალიელობა დაიბრალა, თუმცა რომ შეატყო, სიმართლე მალე გაირკვეოდა, სამშობლოში დაბრუნდა და ახლა იქიდან საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის იურიდიულ კომისიას დეპეშებს უგზავნის, ბოდიშით, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო ვერ ჩამოვდივარო.

ამასობაში საფრანგეთის მეორე დივიზიონის კლუბ „ნანსის" ხელმძღვანელები ადგნენ და ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში, საკონსტიტუციო საბჭოში სარჩელი შეიტანეს, პირველ დივიზიონში დაგვაბრუნეთო. ეს გუნდი შარშანდელ ჩემპიონატში გავარდა, თუმცა ახლა „სტრასბურის" ადგილს ითხოვს, მაგ გუნდმა გასულ სეზონში 22 მატჩი ოთხი არაევროკავშირელით ჩაატარა, არგენტინელ დიეგო გარაის ყალბი იტალიური პასპორტი ჰქონდაო. „ნანასი" მარტო ამას არ დასჯერდა და საკონსტიტუციო საბჭოს მეორე საჩივრის წერილიც აახლა, სადაც ახლანდელი ჩემპიონატის ანულირება მოითხოვა, იგი მთლიანად ფარსია, ზოგი გუნდი ერთდროულად 6-7 არაევროკავშირელს ათამაშებს და სხვების თვალების ასახვევად ყალბი პასპორტებიც გაუკეთებიათო. მართლაც, პსჟ-ს „ლილს", „ლიონს", „მეცს", „ტულუზს", „რენს" და „ნანტს" თურმე რამდენიმე ფეხბურთელისთვის საბუთები გაუყალბებიათ, თუმცა კონკრეტული გვარების დასახელებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. აი, „მონაკოს" ჩილელ მცველ პაბლო კონტრერასს კი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ უკვე ოფიციალურად დაადო ხელი, ამ ქვეყნის საზღვრებს ჩილელი თურმე იტალიური პასპორტით კვეთდა, რომელიც, ცხადია, ასევე ყალბი იყო.

ასე რომ, ფრანგულ ფეხბურთში საპასპორტო ციებცხელება ლევიცკისთან დაკავშირებული თითქოსდა პატარა სკანდალით გვარიანად აგორდა და შეიძლება დიდ ტალღად იქცეს, ტალღად, რომელიც ფრანგულ ფეხბურთს დიდ შავ ლაქას მოსცხებს იქაური ფეხბურთის მამები უკვე ალაპარაკდნენ არაევროკავშირელთა ლიმიტის სასწრაფო გაუქმებაზე.

ვანო ოგრობირიძე

პეტი მკვლელი არ არის

სულ მალე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ფრანგი ემანუელ პეტი „ბარსელონას" დატოვებს. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ფრანგმა ნახევარმცველმა კატალონიური კლუბის მთავარი მწვრთნელის, ლორენს სერა ფერერის წინააღმდეგ ბოლო ორ თვეში მესამედ გაილაშქრა და იგი საქვეყნოდ გააკრიტიკა. ამჯერად პეტის თანამემამულე მეკარემ, რიშარ დუტრუელმაც აუბა მხარი. ორივე სათადარიგოთა სკამზე ჯდომით არის განაწყენებული, თანაც თურმე ვერც უთამაშებლობის მიზეზი შეუტყვიათ.

პეტი „ბარსელონაში" ამ ზაფხულს ლონდონის „არსენალიდან" გადავიდა და ამ ტრანსფერით ფრიად კმაყოფილიც გახლდათ, თუმცა...

ნოემბერში ფრანგ ფეხბურთელს მოომინების ფიალა აევსო და სახალხოდ თქვა, უკმაყოფილო ვარ „ბარსელონაში" ჩემი ყოფნით, აქ თავის გამოჩენის საშუალება არ მეძლევა, თუ მწვრთნელს არ ვუნდივარ, ბარემ მითხრას და ჩემს გზას ვეწევიო. ამის თქმა იყო და პეტი „ბარსელონას" ძირითადში გამოჩნდა, თუმცა რამდენიმე მატჩი ითამაშა და...

„ჩემი ადგილი დაცვაში არ არის, თუ ფერერს უნდა, ჩემგან სარგებელი ნახოს, მაშინ მინდვრის ცენტრში უნდა გამამწესოს" — გააკრიტიკა პეტიმ „ბარსას" თავკაცი.

ემანუელ პეტი

მას შემდეგ საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა რამდენიმე მატჩი გამოტოვა და ამასწინანდელ სათასო მატჩში კვლავ გამოჩნდა მოედანზე, თანაც რა პოზიციაზე — მინდვრის ცენტრში, თავის ადგილას. იმ შეხვედრაში პეტი ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავისი გუნდის შემადგენლობაში, მაგრამ მომდევნო მატჩში ფერერმა კვლავ სათადარიგოთა სკამზე გაამწესა. გაამწესა და...

„მე პროფესიონალი ვარ და მწვრთნელის გადაწყვეტილებას ვერ დავეთანხმები. ვიცი, რატომ მამჯობინებს სხვა ფეხბურთელებს. ერთი რამ ჩემთვის ნათელია — იმიტომ არ მათამაშებს, რომ, მისი აზრით, სხვები უკეთესად გამოიყურებიან, მაგრამ რატომ? მიზეზს არ მეუბნება. რა შემიძლია გავაკეთო? იარაღს ნამდვილად ვერ ავიღებ და კონკურენტებს ვერ მოვკლავ" — ამბობს პეტი.

უთამაშებლობამ აღაშფოთა დუტრუელიც. მას ტრავმა აწუხებს და ამის გამო ძირითადში ადგილიც დაკარგა, თუმცა ახლა რომ ჰკითხოთ, ჩვეულ ფორმაშია და მზადაა, „ბარსელონას" კარი ისევ დაიცვას. ფერერი კი ამ ამბავს ყურადღებას აღარ აქცევს. „იმედი მქონდა, რომ თავის გამოჩენის შანსი მომეცემოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მოვიდეს მაინც ფერერი და მითხრას, რა უნდა გავაკეთო საიმისოდ, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიბრუნო" — აცხადებს ფრანგი მეკარე.

ემანუელ პეტის უკვე მსურველიც გამოუჩნდა. მილანის „ინტერმა" ხუთშაბათს უკე მოლაპარაკებებიც წამოიწყო „ბარსელონასთან", ეს ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე მათხოვეო. აზრი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა მდგომარეობის გათვალისწინებით, ალბათ, უარს არ იტყვიან. „ინტერსაც" ამ სიტუაციის გამოყენება სურს და ფეხბურთელის ოჯარა განუზრახავს, ოღონდ ივნისში საბოლოო შესყიდვის უფლებით.

ვანო ოგრობირიძე

UNO, DUE, TRE...

ძაკერონისაც უშვებენ?

საფუძველშერყეული ალბერტო ძაკერონი

იტალიის სერია A-ს ბოლო ტურმა ბობოლა გუნდების მწვრთნელთა ცვლა გამოიწვია. ჩემპიონ „ლაციოს“ სვენ გორან ერიკსონის მაგივრად დინო ძოფი დაუნიშნეს, „პარმამ“ კი ალბერტო მალეზანის სამსახურს არიგო საკისა არჩია. როგორც ჩვენი აპენინელი კოლეგები იუწყებიან, სავარაუდოდ ეს ბოლო არ იქნება. წამყვანი იტალიური კლუბებიდან გულდამშვიდებული სერია A-ს ახლანდელი ლიდერი „რომა“, ფაბიო კაპელოს გუნდი რა რიხითაც თამაშობს, ყველას მოეხსენება...

გასულ კვირას, როდესაც 247-ე მილანური დერბი დასრულდა, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი ოფისში დაიბარა, უნდა ვილაპარაკოთო. ძნელი მისახვედრი ალბათ არ უნდა იყოს, სილვიო ბერლუსკონის („მილანის“ მეპატრონეა) ძაკერონი თურმე თვალში არ მოსდის, გუნდს იმ ფეხბურთს ვერ ათამაშებს, მე და ტიფოზებს რომ გვსურსო. ჰოდა, ძაკერონის გალიანი ელაპარაკა. საქმიანმა საუბარმა თითქმის ორ საათს გასტანა, თუმც ვერ შეთანხმდნენ, ორივე თავისაზე იდგა. ერთი კი ფაქტია, ფულზე, ანუ ხელფასზე ლაპარაკი არ ყოფილა. გალიანი პრეზიდენტის დავალებას ასრულებდა, მწვრთნელი კი... „ხელფასზე საუბარი არც გვქონია. ჯერჯერობით რამდენიმე პრინციპულ საკითხში ვერ შევთანხმდით, თუმცა იმედი მაქვს, ყველაფერი დადებითად გადაწყდება“ — განაცხადა ძაკერონიმ.

„ჯერჯერობით მოლაპარაკებები არ დასრულებულა. არაა გამორიცხული, ალბერტოს შეველიოთ, შესაძლებელია, პირიქითაც მოხდეს და „მილანი“ კვლავაც მან გაწვრთნას“ — უთხრა გალიანიმ ჟურნალისტებს.

როგორც ჩანს, გალიანისაც და ძაკერონისაც დიპლომატია არ დაეწუნებათ, მაგრამ არის კი ეს მოლაპარაკების ძირითადი არსი? „მილანის“ უფროსობას, როგორც უკვე გითხარით, გუნდის უსუსური თამაში და... ძაკერონის არასწორი სატრანსფერო პოლიტიკა აღელვებს, თავად მწვრთნელი კი დროს ითხოვს, მაცალეთ, ვნახოთ, რა იქნებაო.

ერთი კია, უკვე თვეზე მეტია, აპენინებზე და მით უფრო მილანელოში სერიოზულად ლაპარაკობენ, ბერლუსკონის ფავორიტი თურქი ფათიჰ თერიმია, „მილანის“ გაწვრთნას სწორედ მას ანდობენო.

გიორგი ვაფაკიძე

რივალდო ფედოტოვის კლუბში

ესპანეთის თასის მერვედფინალში „ბარსელონამ“ ტორელავეგაში მესამედივიზიონელი „ხიმნასტიკა“ დაამარცხა. ერთადერთი გოლი 74-ე წუთზე რივალდომ გაიტანა და სტატისტიკოსები აალაპარაკა. დაითვალეს, ეს რივალდოს მეასე ბარსელონული გოლი აღმოჩნდა.

ასი გოლის გასატანად ბრაზილიელს კატალონიურ გრანდში სამნახევარი სეზონი ეყო, ხოლო ამ სეზონში უკვე ოცი შეაგდო — თერთმეტი პრიმერადივიზიონში, რვა ჩემპიონთა ლიგაში და აგერ თასზეც.

ბიუროკრატიული ამბები

ევროკომისიამ დაადასტურა, რომ ფიფასგან ფეხბურთელთა სატრანსფერო სისტემის მოდერნიზაციის ახალი წინადადებები მიიღო და ახლა მათ სწავლობს. ამასთან დაკავშირებით, კომისიის, ფიფასა და უეფას წარმომადგენლები გუშინ ბრიუსელში უნდა შეკრებილიყვნენ, მაგრამ მსოფლიო ფეხბურთის ჩინოსნებმა თათბირის გადადება ითხოვეს. მიზეზი ის გახლავთ, რომ წინადადებათა საბოლოო ვარიანტს მეტი გააზრება და დაზუსტება სჭირდება.

ფიფამ განაცხადა, რომ ახალი დოკუმენტები ევროკომისიის გარდა უეფას და ფეხბურთელთა პროფესიულ კავშირს გაუგზავნა.

ევროკომისიის პრეს-მდივანი ამელა ტორესი: „ჩვენ ფიფას ახალი დოკუმენტები მართლაც მივიღეთ და ახლა მას ექსპერტები სწავლობენ“.

ამის გარდა ქალბატონ ტორესს არაფერი უთქვამს — კომენტარისგან თავი შეიკავა, ხოლო ფიფას პრეზიდენტმა, ზეპ ბლატერმა BBC-ს რადიოს განუცხადა, რომ ბრიუსელში თათბირი, ალბათ, მომავალ სამშაბათს შედგება.

პრობლემა კი ის გახლავთ, რომ ევროკომისიის ექსპერტთა მტკიცებით, სატრანსფერო სისტემის საერთოდ არსებობა ევროკავშირის კანონებს ეწინააღმდეგება.

შეგახსენებთ, რომ დეკემბერში კომისიამ უარყო ფიფასა და უეფას ერთობლივი წინადადებანი. მაშინ ექსპერტებმა დაიწუნეს მუხლი, რომელშიც საუბარი ფეხბურთელსა და კლუბს შორის კონტრაქტს ეხებოდა.

G14 თუ 15?

ბელგიის ჩემპიონის, „ანდერლეხტის“ პრეს-ატაშეს განცხადებით კლუბმა ეგრეთწოდებული G14-სგან მათ კავშირში შესვლის წინადადება მიიღო.

შეგახსენებთ, რომ G14 ევროპის 14 სუპერკლუბის გაერთიანებაა, რომელიც კონტინენტზე ერთიანი ლიგის დაფუძნებას აპირებს. მასში შედიან: „რეალი“, „ბარსელონა“, „ბაიერნი“, „დორტმუნდი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლივერპული“, „აიაქსი“, „პსვ ეინდჰოვენი“, „ინტერი“, „მილანი“, „იუვენტუსი“, „პორტუ“, „პარი სენ ჟერმენი“ და „მარსელი“.

თავის მხრივ, „ანდერლეხტი“ ერთ-ერთი იმ 11 გუნდს შორისაა, რომლებიც ალტერნატიული „ევროლიგის“ წამოწყებას გეგმავენ. ამ 11 გუნდს საერთო ის აქვთ, რომ ისინი შედარებით მცირე გაქანებისანი გახლავან. აქ საუბარი ჰოლანდიის, ბელგიის, პორტუგალიის, შოტლანდიის და დანიის წარმომადგენლებზეა.

და აი, ახლა „ანდერლეხტი“ თვით უმდიდრესთა გაერთიანებას, G14-ს მიუწვევია.

„ჩვენ, ოფიციალურად, არავისთვის გვითხოვია G14-ში მიღება“ — ხაზგასმით აცხადებს კლუბის საინტერნეტო გვერდში მენეჯერი მიშელ ვერშურენი — „წლების მანძილზე ევროპულ ფეხბურთს უეფა მართავდა, რის გამოც დღეს გარკვეულ გუნდებს ერთმანეთთან უშუალო და უფრო მჭიდრო კავშირი მოუნდათ, რაც სავსებით ბუნებრივია. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ „ანდერლეხტი“ უეფასადმი ერთგულებაზე უარს ამბობს“.

ოქროს ბურთის ფერები

„რეალისგან“ რეალელებს: დი სტეფანოს, კოპას, ფიგუს

კვირას, „რეალი“ — „ოვიედოს“ პრიმერადივიზიონული მატჩის წინ „სამეფო კლუბის“ მესვეურნი ლუიშ ფიგუს საპატივცემულოდ ლამაზ სანახაობას მოაწყობენ. მიზეზი აქვთ: „ფრანს ფუტბოლმა“ პორტუგალიელი წლის საუკეთესო ფეხბურთელად სცნო და „ოქროს ბურთით“ დააჯილდოვა. სწორედ 80 ათასი ფერადი დაფით გამოსახული „ოქროს ბურთი“ გახდება ფიგუს საჩუქარი ქომაგთაგან. და განა მხოლოდ ფიგუსთვის: იქვე იქნებიან ალფრედო დი სტეფანო და რაიმონ კოპა — ლეგენდარული ფეხბურთელები და „რეალის“ ოდინდელი გმირები, „ოქროს ბურთის“ მფლობელები. მიწვეულ სტუმართა შორის კი ბობი ჩარლტონი და ზეპ ბლატერი იქნებიან.

რა მეთქმის, უკეთეს საჩუქარს ვერც ვინატრებო — უთქვამს ფიგუს.

ყველაზე ძვირი ჩეხია

ტომაშ როსიცკი

დორტმუნდის „ბორუსიამ“ მუნხენის „ბაიერნს“ დუელი მოუგო... ვაჭრობაში. ნაახალწლევს რურის ოლქის ბინადრებმა პრაღის „სპარტასგან“ 20 წლის პერსპექტიული ჩეხი ნახევარმცველი ტომაშ როსიცკი 12 მილიონ დოლარად შეიძინეს. რა შუაშია აქ „ბაიერნი“? რაში და როსიცკის თავისთან გადაყვანა სწორედ მუნხენურ კლუბს სურდა.

ბავარიელთა პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი და მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი არც მალავდნენ თავიანთ სურვილს და პრაღელებთან გამალებულ მოლაპარაკებებსაც აწარმოებდნენ. როგორც ჩანს, ოანხაზე ვერ შეთანხმდნენ. ამასობაში კი მათიას ზამერმა „ბორუსიას“ პრეზიდენტი გერდ ნიბაუმი დაიყოლია, ზემოხსენებული თანხა გადაეხადა და ტომაშ როსიცკიც ოფიციალურად გახდა დორტმუნდელი. ჩეხმა თავისი მომავალი „ბორუსიას“ 5 წლით დაუკავშირა. ამით როსიცკი ბუნდესლიგის ყველაზე ძვირადღირებულ ლეგიონერად იქცა. აქამდე ასეთი თანხა ჯერ არც ერთ კლუბს გადაეხადა. როსიცკიმდე რეკორდსმენად ბელგიელი ემილ მპენზა ითვლებოდა. მპენზა გელზენკირხენის „შალკეში“ თამაშობს, გუნდში, რომლის ხელმძღვანელობამაც ლიეჟის „სტანდარდს“ მის სანაცვლოდ 8 მილიონ 170 ათასი დოლარი ჩაუთვალა.

ტომაშ როსიცკიმ ყურადღება ჩემპიონთა ლიგაში „სპარტას“ რიგებში ჩინებული თამაშით მიიპყრო. მის გარდა პრაღელებმა მანამდე ლოკვენცი და ფუკალიც გაყიდეს.

„ასე თუ გავაგრძელეთ, ჩეხეთში ფეხბურთელი არ დარჩება. მაგათ („სპარტას“ ხელმძღვანელობა) მხოლოდ ფული აინტერესებთ, როგორმე სარფიანად გაყიდონ ფეხბურთელები, გუნდი კი არა — აღშფოთებას ვერ მალავს ჩეხთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი მიროსლავ კადლეცი, რომელსაც ბუნდესლიგაში არაერთი წელი უთამაშია „კაიზერსლაუტერნის“ შემადგენლობაში — თავად ვიცი, რა სიძნელეებთანაც არის დაკავშირებული ბუნდესლიგაში თამაში. ძალიან არ მინდა, რაც ლოკვენცს დაემართა, იგივე როსიცკისაც მოუვიდეს. ისინი ჯერ ახალგაზრდები არიან, დაღვინება აკლიათ, უმჯობესი იქნებოდა, ერთიორი წელი მოეცადათ და მერე წასულიყვნენ, თუმცა ამას ხომ მე ვერ გადავწყვეტ. ფული — აი, ეს გახლავთ მათთვის უმთავრესი საზრუნავი“.

კადლეცის აზრს ჩეხეთში ბევრი იზიარებს, თუმცა ახლა ეს, ალბათ, უკვე ნაკლებმნიშვნელოვანია. ტომაშ როსიცკი ამიერიდან დორტმუნდის „ბორუსიაში“ ითამაშებს.

გიორგი ვაფაკიძე

რატომ იცინის ევროპა?

„ნიკოს გუმასის“ სტადიონი ათენშია და იქაურ კლუბს, აეკ-ს ეკუთვნის. იმ სტადიონზე ოთხშაბათს მასპინძლებსა და პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ შორის სათასო შეხვედრა ჩაიშალა, რადგან მოედანზე ათასგვარი საგნითა და მაშხალით შეიარაღებული ასეულობით გულშემატკივარი შეიჭრა.

მიზეზი: საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე მსაჯმა ორი აეკელი წითელი ბარათით დასაჯა.

„დღეს მთელი ევროპა დაგვცინის“ — დამწუხრებით განუცხადა ჟურნალისტებს „ოლიმპიაკოსის“ თავდამსხმელმა ალეკოს ალექსანდრისმა.

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციიდან გამოსულ ხმათა თანახმად, მოსალოდნელია, რომ აეკ-ს ჩემპიონატში სამ ქულას ჩამოაკლებენ და ფულსაც გადაახდევინებენ. ამასთან, შესაძლოა გუნდმა „ნიკოს გუმასზე“ ხუთი მატჩის მანძილზე ვეღარ გასწიოს მასპინძლობა.

ოთხი მატჩის გამოტოვება მოუწევს აეკ-ის თავდამსხმელ დემის ნიკოლაიდისს, რომელიც წითელი ბარათით მსაჯთან კამათის გამო დაისაჯა.

რაც შეეხება ჩაშლილ მატჩს, იგი გადათამაშდება თუ გამარჯვების პირდაპირ „ოლიმპიაკოსს“ მიანიჭებენ, ჯერ უცნობია.

და მაინც აეკ-ის დირექტორმა, პეტროს სტატისმა, ყველაფერი არბიტრს გადააბრალა: „საბერძნეთში სატირლად გვაქვს საქმე. დახეთ, ჩვენს ფეხბურთს რა დღეში აგდებენ“.

პოლიციამ დაახლოებით 100 გულშემატკივარი დაიჭირა, მაგრამ საქმე მხოლოდ 40-ის წინააღმდეგ აღიძრა.

ლიტმანენი წავიდა

მომსვლელი კი არაფინაა

ლორენს სერა ფერერი იარი ლიტმანენს არ სწყალობდა. ჭირს გახსენება, ბოლოს როდის ითამაშა ფინელმა. ამაზე „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან გასპარმა თქვა, დიდი სისულელეა გუნდში ისეთი ფეხბურთელი გყავდეს, რომელსაც არ იყენებ და სოლიდურ ხელფასს კი უხდიო. კლუბის საინტერნეტო ვებ-გვერდში გაკეთებულ ამ განცხადებას კონკრეტული საქმეც მოჰყვა და იარი ლიტმანენი დღეს უკვე აღარ არის ბარსელონელი, ის „ლივერპულმა“ წაიყვანა.

ჩვენც კმაყოფილები ვართ და ლიტმანენიც, თქვა გარიგების დასრულების შემდეგ გასპარმა, რა ხანია, მას ინგლისისკენ ეჭირა თვალიო.

ამასობაში „ბარსას“ მეორე მწვრთნელმა კარლოს რექსაჩმა დიდი ხმაური ატეხა, ბრაზილიურ „კრუზეიროში“ დიდებული მცველი კრისტიანო მარკეშ გომეში მეგულება და თუ გადმოვიბირებთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო. ამის თქმა იყო და რივალდო წამოხტა, მე და კრისი ძველი ძმაკაცები ვართ, მართლაც ბრწყინვალე მცველია, გოლების გატანაც ეხერხება და მის გადმოყვანაზე უკეთეს საქმეს ვერ გავაკეთებთო.

მაგრამ ამათ განწყობას არ იზიარებს პრეზიდენტი. არადა, გასპარის სურვილი თუ არ იქნა, ვინც რა უნდა ამტკიცოს, არაფერი გამოვა. გასპარი კი ამბობს, სეზონის ბოლომდე არავის ყიდვას ვგეგმავ და მერე ვნახოთო. სირცხვილია, „ბარსას“ ასეთი უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდეს და ახალ ხალხზე ვიფიქროთო.

გიო ახვლედიანის

სვეტი

ერთი ფეხი იქა

ერთი ძველი ანეკდოტია, არცთუ ზრდილობიანი. კინტოური ანეკდოტები საერთოდაც უწმაწურია და ერთი კინტო მატარებელით მოდის ქუთაისიდან თბილისში. კუპეში წინ ერთი დროული ქალი უზის, დიდძალი ბარგით, სანოვაგით გამოტენილი ჩანთებით.

ეჰო, ამბობს ქალი, დავიქანცე ამგვარი ჯაფითო, ერთი შვილი თბილისში მყავს, მეორე — ქუთაისში, ერთი ფეხი რომ იქა მაქვს, მეორე — აქაო. კინტო უყურებს და ამბობს, ეჰ, ქალბატონო, ხაშურში რა კარგი სანახავი იქნებოდითო...

ასგზისი ბოდიშის შემდეგ ფეხბურთს უნდა დავუბრუნდეთ და უნდა აღვნიშნოთ, რომ შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა ვერ შეძლო ერთი ფეხით რომში ყოფილიყო და მეორე ფეხით ლონდონი მოესინჯა. სადღაც შუაში, ერიკსონი მძიმე სანახავი შეიქნა.

ის, რაც ამ კვირაში მოხდა „ლაციოს“ კლუბში, ორთვიანი ტანჯვის დასასრულია. მას შემდეგ, რაც „ლაციოს“ მწვრთნელი ინგლისის ნაკრების მენეჯერად დაინიშნა, „ლაციოს“ ხეირიანად აღარ უთამაშია, ინგლისის ნაკრებს კი დროებითი მენეჯერი პიტერ ტეილორი დაუნიშნეს.

ერიკსონმა ზაფხულამდე ვერ მოითმინა. თურმე იერით მშვიდი და ლაპარაკით ინტელიგენტური, გაყინულსახიანი კაცის გულშიც ცეცხლი გიზგიზებს და მასაც ნერვები ჰქონია. არადა, ხშირად უთქვამს, მწვრთნელი არ უნდა ავარდეს, მწვრთნელმა უნდა მოითმინოსო. აქ ისიც გაგვახსენდება, ჯეკი ჩარლტონმა რომ თქვა, ეგ თქვენი შვედი იმგვარი კაცია, რომ საქმეზე გულის აყრა იცისო.

ასეც გამოვიდა.

„ლაციოს“ უფროსობამ დიდი მადლობებით გაუშვა ერიკსონი, არადა, ორი თვის წინათ მხცოვანი კრანი ამბობდა, შვედი ჩვენთან რჩება, წლეულს ჩემპიონთა თასი მოგვაპოვებინოს და მერე წავიდესო. ეჰ, მოხუცმაც დაატყო, რომ ერიკსონის იქ გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა. როცა გინდა, დაბრუნდიო, უთხრეს ერიკსონს. დაბრუნდები, როგორც მსოფლიოს ჩემპიონიო, მიუგო მან.

ახლა საფიქრალი ის არის, ხუთწლიანი ინგლისური კონტრაქტის თავზე, ერიკსონს რაიმე ახალი თანამდებობა არ შესთავაზონ და კვლავ არ აუჩქროლდეს გული. კი ამბობს, ინგლისის მენეჯერობა მსოფლიოში ყველაზე რთული და საპატიო თანამდებობაა, მაგრამ ხომ გამოჩნდა, რომ რთული „ლაციოს“ მესაჭეობაზეც აიყრის კაცი გულს?

AUSTRALIAN OPEN 2001
რეზინის რაინდები

კაცების ბადე





ავსტრალიაის ღია პირველობა დიდი სლემის სხვა ტურნირებთან შედარებით ახალგაზრდაა — მისი ისტორია „მხოლოდ“ 1905 წლიდან იწყება. ამ ხნის მანძილზე მას ხან ავსტრალიის ჩემპიონატი ერქვა, ხან ავსტრალაზიის პირველობა, ახლანდელი სახელი კი 1969-დან ეწოდა, მას შემდეგ, რაც ჩოგბურთი პროფესიული გახდა.

კარგა ხნის განმავლობაში ტურნირმა ერთ ადგილზე დამკვიდრებაც ვერ მოახერხა: ორგანიზატორები მას ავსტრალიის სხვადასხვა ქალაქებში — პერტში, ადელაიდაში, სიდნეიში, ბრისბენში დაატარებდნენ, რამდენჯერმე კი ახალ ზელანდიაშიც უკრეს თავი. ბოლოს და ბოლოს, პირველობის ჩატარების პატივი ყველაზე მეტი მაყურებლის შემკრებმა მელბურნმა 1972 წელს მოიპოვა.

ძნელი სათქმელია, მასპინძელთა უგერგილობის ბრალი იყო, მწვანე კონტინენტის მეტისმეტი სიშორის თუ სეზონის დასაწყისში ჩოგბურთელთა სიზარმაცის, მაგრამ ბევრი ვარსკვლავი ავსტრალიის ღია პირველობას არ წყალობდა — ბორონ ბორგი, ჯონ მაკინროი და კარიერის დასაწყისში ანდრე აგასიც ოზების სტუმრობას თავს არიდებდნენ, პრესტიჟითაც ტურნირი სხვა სამ „მეიჯორს“ გაცილებით ჩამორჩებოდა.

ავსტრალიელებმა საქმის გამოსასწორებლად თავი და ფული არ დაზოგეს. ძველი, ჰატარა და მოუხერხებელი „კუიონგის“ ცენტრის ნაცვლად 1988 წელს მწყობრში ნახევარ მილიარდდოლარიანი „ფლინდერს პარკი“ ჩადგა, რომელსაც 1996 წლის 29 იანვარს „მელბურნპარკი“ დაერქვა. ულტრათანამედროვე სპორტული კომპლექსი 15-ათასიანი ცენტრალური და 23 სხვა კორტით, ალბათ, საუკეთესოა მსოფლიოში. წლეულს 65-მილიონიანი პირველი კორტის გახსნის შემდეგ კი ტურნირს უკვე ორი მოძრავსახურავიანი სტადიონი ეწნება, მაშინ, როდესაც სხვები ერთითაც ვერ დაიტრაბახებენ.

ორიგინალურია ავსტრალიის ღია პირველობის საფარიც. 80-იანების ბოლოს ჩვეული ბალახის ნაცვლად ორგანიზატორებმა კორტებზე ე. წ. „რიბაუნდ ეისი“ დააგეს. ეს იგივე ჰარდია, ოღონდ ზევიდან რეზინის თხელი ფენით. საღამოს სიგრილეში ახალ საფარზე თამაში უდიდესი სიამოვნებაა, სამაგიეროდ, მეტისმეტ სიცხეში რეზინი ერთი დიდი წებოვანი მასა ხდება ხოლმე, მოთამაშეებს ფეხები შიგ ეფლობათ და ჩქაროსნული სპორტის წამოწყება ძალიან უჭირთ.

შედეგად სეზონის პირველი „მეიჯორი“ გამძლეობის უმძიმეს გამოცდად იქცევა ხოლმე, დახარჯულ ენერგიასთან ერთად კი ჩოგბურთელთა ფეხებზე კოჟრების რაოდენობაც კატასტროფულად მატულობს. ამ რამდენიმე წლის წინ ტოდ მარტინმა ოზურ პირობებს უბრალოდ „სისასტიკე“ უწოდა.

როგორც წესი, მელბურნში უკანა ხაზიდან თამაშის ოსტატები უფრო ხეირობენ, ვიდრე შემტევი, ბადესთან რეიდების მოყვარული ჩოგბურთელები. თუმცა შარშან თავისიანის ჩემპიონობას დახარბებულმა ორგანიზატორებმა პატრიკ რაფტერისა და მარკ ფილიპუსისის სახეიროდ კორტები და ბურთები ისე დააჩქარეს, „რიბაუნდ ეისი“ უიმბლდონის ბალახს გაეჯიბრებოდა. ავსტრალიელთა ჯილებმა ამით მაინც ვერ ისარგებლეს (რაფტერს ტრავმა ჰქონდა, ფილიპუსისი მერვედფინალში გავარდა), მოთამაშეებმა კი მასპინძელთა ხრიკების გამო ერთხმად აღშფოთება გამოთქვეს და ჩვეული, ჰარდზე ოდნავ ნელი პირობების აღდგენა მოითხოვეს.

ფავორიტები

ბოლო 10 წლის კაცი ჩემპიონები

1991 ბორის ბეკერი (გერმანია)
1992 ჯიმ კურიე (აშშ)
1993 კურიე
1994 პეტ სამპრასი (აშშ)
1995 ანდრე აგასი (აშშ)
1996 ბეკერი
1997 სამპრასი
1998 პეტერ კორდა (ჩეხეთი)
1999 ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)
2000 აგასი — კაფელნიკოვი 4:6, 6:3, 6:2, 6:4

თუ ბოლო 10 წლის ჩემპიონ კაცთა ნუსხას თვალს გადაავლებთ, იოლად დარწმუნდებით, რომ ავსტრალიის ღია პირველობას შემთხვევითი გამარჯვებული ერთხელაც არ ჰყოლია. პეტერ კორდას გარდა, რომელიც მსოფლიოს მეორე ჩოგანი გახლდათ, თითოეულ ტრიუმფატორს კლასიფიკაციის პირველი ადგილიც დაუკავებია სხვადასხვა დროს.

ამ მარტივი ლოგიკიდან გამომდინარე, ფავორიტთა ჩამოთვლაც ყოფილი თუ ახლანდელი პირველი ჩოგნებიდან უნდა დავიწყოთ. ის, რომ ამერიკელი ვეტერანები — ანდრე აგასი და პიტ სამპრასი ტიტულის მოპოვების კანდიდატები არიან, ახალი არ არის. ვინც შარშანდელ ნახევარფინალში ამ ტიტანთა ხუთსეტიანი, დაუვიწყარი შერკინება იხილა, წლეულსაც არ იტყოდა უარს მსგავსი სანახაობის თუნდაც ფინალში განმეორებაზე (თუმცა კენჭისყრის მიხედვით ისინი უკვე მეოთხედფინალში იბრძოლებენ).

ახალი თაობის წარმომადგენლებიდან უპირველესად მსოფლიოს ახლანდელი პირველ-მეორე ჩოგნები — გუსტავო კუერტენი და მარატ საფინი უნდა დავასახელოთ. მსოფლიოს ჩემპიონ „გუგას“ ახალ სეზონში ჯერჯერობით არსად უასპარეზია, აი, 20 წლის რუსს კი „ჰოპმანის თასზე“ თამაში არ აეწყო, ამ კვირაში კი იდაყვის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და, შესაძლოა, მელბურნში თავის გამოჩენის შანსიც არ მიეცეს. „უმჯობესია, დროზე დავისვენო, ვიდრე ტრავმა გავირთულო და ნახევარი წელი ვერსად ვითამაშო. პატარა სისულელემ შეიძლება მთელი ცხოვრება შეცვალოს“ — განაცხადა რუსმა, როდესაც „კუიონგის“ საჩვენებელ ტურნირში თამაშზე უარის თქმა მოუხდა.

დიდი ამბიციებით ხვდებიან წლევანდელ ტურნირს ევგენი კაფელნიკოვი და პატრიკ რაფტერიც. „რიბაუნდ ეისი“ სოჭელი ჟენიას საყვარელი საფარია, რაზედაც შარშან ოლიმპიური ოქროც მოიპოვა. რაფტერისთვის კი, რომელიც წლის ბოლოს სპორტიდან წასვლას გეგმავს, ეს, ალბათ, მშობლიური დიდი სლემის ტიტულის მოპოვების უკანასკნელი შანსია, რამაც ენერგია და სტიმული უნდა გაუორმაგოს.

„ოუფენზე“ წლეულს კიდევ ორი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ორივე ტურნირის ყოფილი ფინალისტი, მარსელო რიოსი (98) და კარლოს მოია (97) ითამაშებენ, თუმცა ამათგან ერთს პირველივე წრეში მოუხდება მელბურნიდან აბარგება — ისინი ერთმანეთს ხვდებიან.

სხვა ფავორიტები და მათი სავარაუდო გამამწარებლები: მაგნუს ნორმანი, ლეიტონ ჰიუტი, ტომი ჰაასი, ტომას იოჰანსონი, სხენგ შალკენი.

ბოლო 10 წლის ქალი ჩემპიონები

1991 მონიკა სელეში (აშშ)
1992 სელეში
1993 სელეში
1994 შტეფი გრაფი (გერმანია)
1995 მარი პირსი (საფრანგეთი)
1996 სელეში
1997 მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)
1998 ჰინგისი
1999 ჰინგისი
2000 ლინდსი დევენპორტი (აშშ) — ჰინგისი 6:1, 7:5

რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ ქალთა ჩოგბურთში სულ უფრო მზარდ კონკურენციაზე, ფაქტი ფაქტად რჩება: კაცებისგან განსხვავებით, დიდი სლემის ტურნირის მოგების რეალური შანსი ისევ მხოლოდ 3-4 ჩოგბურთელს თუ აქვს. სასწაული უნდა მოხდეს, დღეიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ მთავარი ჯილდო მარტინა ჰინგისის, ლინდსი დევენპორტის ან დები უილამსებიდან ერთ-ერთის ხელში რომ ვერ ვიხილოთ.

სხვა შემთხვევაში პრეტენდენტებად როლან გაროსის გამარჯვებულს, მარი პირსსა და ოთხგზის ყოფილ ჩემპიონ მონიკა სელეშს მივიჩნევდით, მაგრამ ფრანგი ლამაზმანი მხრის მძიმე ტრავმის შემდეგ ჯერაც ვერ არის ჯანზე, სელეშს კი ბოლო ხანებში ელიტის წარმომადგენლებისთვის გასაღები ვერაფრით მოურგია.

წლევანდელი კენჭისყრის შედეგად ყველაზე მეტად მსოფლიოს პირველი ჩოგანი ჰინგისი დაზარალდა. 20 წლის შვეიცარიელს ფინალში გასაღწევად შეიძლება ორივე უილიამსთან მოუხდეს ჩოგნების გადაჭდობა — სერენასთან მეოთხედფინალში და ვინუსთან ნახევარფინალში. „ჰო, წლეულს თუ ჩემპიონი გავხდი, ნამდვილად ვერავინ იტყვის, რომ არ დავიმსახურე, საშინელი ბადე მაქვს. თუმცა უილიამსების არ მეშინია, ბოლოს და ბოლოს, პირველი ჩოგანი ვარ. ეს სხვა გოგონები ფრთხებიან მათი ერთი შეხედვითაც კი“ — განაცხადა მარტინამ ორიოდ დღის წინ, როდესაც სიდნეის ტურნირის მეოთხედფინალში სერენა დაამარცხა.

სხვა ფავორიტები და მათი სავარაუდო გამამწარებლები: ამელი მორესმო, ელენა დემენტიევა, კიმ კლაისტერსი, ჟუსტინ ენენი, დაია ბედანოვა, სანდრინ ტესტიუ.

ავთანდილ სვანიძე

ქალების ბადე





შიშს და მონიკას დიდი თვალები აქვთ

მაყურებლებს მოულოდნელად კაცი გამოეყო, დაცვის სამსახურის უყურადღებობით ისარგებლა, პირდაპირ კორტზე გადაალავკა და სკამზე მჯდომი მონიკა სელეშის ზურგისკენ წაიღო ხელი... სცენარი, რომელიც 1993 წელს გერმანიაში მავანი შერეკილის მიერ ჩოგბურთელისთვის დანის ჩარტყმით დასრულდა, ერთი კვირის წინ ავსტრალიურ პერტში განმეორდა, ოღონდ, საბედნიეროდ, უცნობს ხელში იარაღი კი არა, კალამი ეჭირა და მხოლოდ ავტოგრაფის მიღება სურდა.

„ჰომანის თასზე" თანამემამულე ჟანმაიკლ გემბილთან ერთად შერეული წყვილების მატჩის მოგების შემდეგ სელეში იქვე სკამზე ისვენებდა, როდესაც უკნიდან ორმოციოდე წლის მამაკაცი მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო. მონიკა მოულოდნელობისგან შეხტა და გაოცებული თვალებით მიუბრუნდა უცნობს: „არ მიყვარს, როდესაც ხალხი ზურგზე მეხება, მაგრამ მაშინვე შევატყვე, რომ მას ცუდი განზრახვა არ ჰქონდა. ერთი ათჯერ მაინც მომიხადა ბოდიში და წასვლის წინ ავტოგრაფიც მივეცი."

სელეში განსაკუთრებით მაშინ გაოცდა, როცა მეორე დილით პრესას გაეცნო. გაზეთებში ეს ამბავი ისე შეალამაზეს, თითქოს ჩოგბურთელი პანიკაში ჩავარდა და კორტიდან ცრემლის ღვრით გავარდა: „კინაღამ გავგიჟდი ასეთი სისულელეები რომ წავიკითხე, ეს ოხრობაა-მეთქი ვიფიქრე, მაგრამ რას იზამ, მსგავს რამეებს დაჩვეული ვარ. სიმართლე გითხრათ, მომენტში მაინცდამაინც არც გავნერვიულდი, ქომაგებთან ურთიერთობის უკვე კარგა ხანია, აღარ მეშინია".

უცნობი ავტოგრაფის მთხოვნელი დაცვამ სასწრაფოდ გარეთ გააქანა, ორგანიზატორებმა კი უსაფრთხოების ზომები ერთიორად გააძლიერეს. რა იცი, ეშმაკს არ ძინავს.

მონიკა სელეში

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ჯერ რუისი, მერე ლუისი

ევანდერ ჰოლიფილდი, დონ კინგი და ჯო რუისი

ევანდერ ჰოლიფილდი 2001 წელს თავისად აცხადებს. მისი გეგმა ასეთია: სამი ბრძოლა და სამი გამარჯვება. მათგან ერთი ლენოქს ლუისთან იქნება, ხოლო წლის ბოლოს ის რინგიდან სამუდამოდ წავა.

ჯერ 3 მარტს, ლას ვეგასში ჯონ რუისთან ბრძოლაა დანიშნული. ჰოლიფილდს სწამს, რომ ამ დღეს WBA-ს ქამარს შეინარჩუნებს და უკვდავებასთან შეთამაშებას ამით დაიწყებს. გასული წლის აგვისტოში მათი თანაბარი ჩხუბი ჰოლიფილდის რიხიანი ფინიშით დაამახსოვრდა ხალხს, თუმცა რუისმა დაიჩემა — სინამდვილეში მე მოვიგეო და, ასე განსაჯეთ, მიმომხილველთა ნაწილმა კვერიც დაუკრა. ერთი სიტყვით, გამარჯვებულს აშკარად არ გაუმარჯვია, რის გამოც ასოციაციამ რემატჩი ბრძანა.

„ჰოლიფილდი ღირსეულ მეტოქედ არ მთვლის, ის ლუისთან ბრძოლაზე ფიქრობს. პირველად რომ ვეჩხუბე, მაშინაც ასე იყო და, როგორც ვატყობ, ახლაც იგივეს აპირებს, მაგრამ არ იცის, რომ სიურპრიზს ვუმზადებ. მის რინგიდან წასვლას გაცილებით ადრე ნახავთ, ვიდრე თავად ჰგონია" — ამბობს რუისი.

მაგრამ ჰოლიფილდი საპირისპიროს ამტკიცებს:

„ხალხს ზემოდან არასდროს ვუყურებ, უბრალოდ მიზანი დავისახე. ჩემი მიზანი კი მძიმე წონაში აბსოლუტური ჩემპიონობა გახლავთ და მოხდა ისე, რომ რუისთან ბრძოლა ამ გზაზე პირველ საფეხურად მერგო".

ხუთშაბათს რუისი, ჰოლიფილდი და პრომოუტერი დონ კინგი ბოსტონში შეიკრიბნენ, რათა რემატჩის თაობაზე საბოლოო სიტყვა ეთქვათ. შემდეგ პრესკონფერენციაც გაიმართა, სადაც უჩვეულო არაფერი მომხდარა. ორივე მოკრივემ განაცხადა, რომ გაიმარჯვებს, თანაც ნოკაუტით.

ობიექტურად ბრძოლა ისეთია, ერთმაც და მეორემაც აუცილებლად რომ უნდა მოიგოს. ეს, ცხადია, შეუძლებელია, რაც თავად მებრძოლებსაც კარგად მოეხსენებათ და ამიტომ დაფურალუელნი არიან წინა ბრძოლაში [illegible] შეცდომები რომ არ გაიმეორონ.

რუისი 29 წლისაა. ჰოლიფილდთან პირველი ბრძოლის წინ, მიუხედავად იმისა, რომ ტიტულის მთავარი კონკურენტი იყო, აშკარა აუტსაიდერად ითვლებოდა, თუმცა ბევრს 38 წლის ჰოლიფილდისაც ეეჭვებოდა, რადგან ძველებური სიყინწე დაკარგვოდა.

დღეს, მძიმე წონის ოთხგზის ჩემპიონი, ჰოლიფილდი იმ აგვისტოს ბრძოლის ვიდეოჩანაწერს უცქერს და როგორც თავად ამბობს, გაოცებულია, რამდენჯერ მისცა მოწინააღმდეგეს დარტყმის საშუალება:

„ისე ვეჩხუბე, გეგონება ჩემს წინ ძალიან გამოცდილი მოკრივე იდგა. ვიცდიდი, ძალიან დიდხანს ვაკვირდებოდი, მაშინ, როდესაც უბრალოდ უნდა შემეტია და მისი წინააღმდეგობა ზეწოლით გამეტეხა".

რუისი კი ამბობს, რომ მაშინ თავისსავე არჩეულ ტაქტიკას უღალატა და რინგზე დაუსრულებელი მოძრაობისა და კომბინაციების ნაცვლად სულ სხვა რაღაც აკეთა.

„აგვისტოში, როგორც ხალხი ამბობს, ჰოლიფილდმა უთოფოდ გამძარცვა, მოგებულ ბრძოლაში წაგება ჩამითვალეს. ამიტომაც ჩემთვის სულერთია როდის და სად შევხვდები მას. თუ უნდა სადმე ქუჩაში გადამეყაროს. მე დავამარცხებ და მან ეს ძალიან კარგად იცის" — იქადნება პრეტენდენტი.

ტუტა სიხარულიძე

მადა ოქროში მოდის

ჯონათან ედვარდსი

34 წლის მძლეოსანი ჯონათან ედვარდსი ამბობს, რომ სიდნეის ოლიმპიადაზე სამხტომში ოქროს მედლის მოგებამ მადაზე მოიყვანა და ახლა 2004 წელს, ათენში აპირებს იგივეს გამეორებას.

„ამიერიდან ჩემი კარიერა ცარიელ ფურცელს ჰგავს. შევხედავ, თუ შევატყობ, რომ ძველებურად კარგ ფორმაში ვარ, შეჯიბრებებში მონაწილეობასაც გავაგრძელებ და 2004 წელს ათენში გამოვალ. სპორტიდან წასასვლელად მიზეზს ვერ ვხედავ" — განაცხადა ბრიტანელმა პრესკონფერენციაზე.

18 თებერვალს ედვარდსი, ბირმინგემში, „ნორვიჩ იუნიონის" გრან პრიზე აპირებს გამოსვლას, ხოლო 18 მარტს გლაზგოს საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობას ფიქრობს.

ამჯერად იგი დარბაზში აპირებს ბრიტანეთის თავისივე რეკორდის, 17,64 მეტრის გაუმჯობესებას. ეს რეკორდი ედვარდსმა 1988 წელს დაამყარა, თუმცა მის გეგმებში, ბუნებრივია, მხოლოდ ბრიტანეთის საუკეთესო შედეგის გაუმჯობესება არ შედის. დარბაზში მსოფლიო რეკორდი კუბელი ალისერ ურუტიას ეკუთვნის — 17,83 მეტრი.

ერთი სიტყვით, ჯონათან ედვარდსს ცხოვრების მთავარი მიზანი, ოლიმპიური ოქროს მოგება მიღწეული აქვს და ასე ამბობს:

„სიდნეის შემდეგ ვგრძნობ, რომ დიდი ტვირთი მომეხსნა. დღეს, რის მოგებაზეც ვოცნებობდი ყველაფერი მოგებული მაქვს და ვგონებ, ამიერიდან, ყველა შეჯიბრებაში განსაკუთრებული ნერვიულობის გარეშე მივიღებ მონაწილეობას. ერთი სიტყვით, უცნაურია, მაგრამ ახლა, როგორც სპორტსმენი ერთობ მოსვენებული ვარ".

დღეს ედვარდსი იგონებს 1995 წელს, როდესაც გეტებორგში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ღია ცის ქვეშ რეკორდი — 18,29 მეტრი — დაამყარა.

„დღეს რომ ვიხსენებ მანამდე როგორ ვემზადებოდი, გაოცებული ვრჩები. ახლა ხომ ჩემი ვარჯიშები გაცილებით დაუგეგმავი და მარტივია" — ამბობს ის.

წლეულს, მარტში ჭერქვეშა მსოფლიო ჩემპიონატი პორტუგალიაში ჩატარდება და ბრიტანელს 1993 წლის შედეგის, მეექვსე ადგილის გაუმჯობესების შანსი მიეცემა, თუმცა ჯერჯერობით ყველაფერი ინგლისელ ინსპექტორებზეა დამოკიდებული. მათ ლისაბონში სარბიელი უნდა შეამოწმონ და ნახონ არის თუ არა ის მკვრივი ანუ ისეთი, როგორიც ჯონათან ედვარდსს უყვარს.

მამის ტვირთი

ფორმალა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონი, „ფერარის" პილოტი, გერმანელი მიხაელ შუმახერი სულაც არ იმედოვნებს, რომ მის უმთავრეს კონკურენტს, ფინელ მიკა ჰაკინენს, რომელიც „მაკლარენის" ბოლიდით დაქრის, მამობა ბრძოლისუნარიანობას დაუკარგავს.

საქმე ის გახლავთ, რომ ბევრის აზრით, როგორც კი სპორტსმენებს კისერზე შვილების წინაშე პასუხისმგებლობა ანუ მშობლობის ტვირთი დააწვებათ, მათი შედეგები მნიშვნელოვნად უარესდება. შუმახერი კი, რომელიც, სხვათა შორის, თავად ორი შვილის მამაა, საპირისპიროს ამტკიცებს. იგი ამბობს, მოწესრიგებული ოჯახური ცხოვრება მრბოლებს შეჯიბრებებისგან მიღებულ სტრესებს უხსნისო.

ერთი სიტყვით, ჰაკინენის მეუღლემ, ერიამ დეკემბერში ვაჟი შვა და თემაც ამის გამო წარმოიშვა.

„იმის თქმა არ მინდა, რომ მამობა რამენაირად ტრასაზე აისახება, მაგრამ ფაქტია, რომ ოჯახის ფაქტორი კრიტიკულ მომენტებში მასზე დადებით გავლენას იქონიებს" — განაცხადა შუმახერმა.

როგორც მოგახსენეთ, მას თავად ორი შვილი ჰყავს: სამი წლის გოგონა, ჯინა მარია და ერთი წლის ვაჟი მიკი. ამასთან აღსანიშნავია, რომ გერმანელს სულაც არ სურს ისინი მამის კვალს გაჰყვნენ.

„ჩემი შვილები თავისუფალ ადამიანებად იზრდებიან და გააკეთებენ იმას, რაც მოეწონებათ. მე, მართალია, მათ მეგოლფეობას მეტი სიამოვნებით შევიტყობდი, ვიდრე ავტომრბოლობას, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მათი გადასაწყვეტია" — ამბობს ჩემპიონი.

საერთოდ შუმახერი ერთობ კეთილი ადამიანი ჩანს. მაგალითად, გასულ სეზონში მან მთავარ კონკურენტს გამხნევების სიტყვები უძღვნა, რაც, ვთქვათ, ძალიან განსხვავდება „იაგუარის" პილოტის ჯონი ჰერბერტის საქციელისგან, როდესაც ამ უკანასკნელმა შუმის ფორმულა 1-ის ლაყე კვერცხი უწოდა. სხვათა შორის, ჰერბერტის სიტყვების კომენტარი რომ თხოვეს, შუმახერმა უპასუხა:

„თავად განსაჯეთ. დედამიწაზე უამრავი ადამიანი ცხოვრობს და თითოეულთან მეგობრობა შეუძლებელია. ზოგი ცუდი თვალით შეგხედავს, ეს არის და ეს".

შუმახერმავე უარყო ჭორები, თითქოს, „ფერარიში" ყოფილ თანაგუნდელ ედი ირვინთან ურთიერთობა გაუფუჭდა:

„ედისგან ბევრი კრიტიკა სულაც არ მსმენია. ის მეტწილად ჩემზე კარგად ლაპარაკობს. ასე განსაჯეთ, პრესაგენტადაც კი ავიყვანდი". ედი ირვინი „იაგუარის" გუნდიდან გახლავთ.

სერზე მიდის სამი მგელი

მანამ სარბიელელებსა და მსოფლიოს სხვა მრავალი გამოცემის თანამშრომლებს საშობაოსაახალწლო არდადეგები გვქონდა, ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა და ბევრი საზეიმოდ ვერ იცლიდა, მათ შორის შორეულ ჰიმალაიზე, მაკალუზე კშიშტოფ ვიელიცკის მეთაურობით პოლონელ მთამსვლელთა ათკაცანი ჯგუფის წევრები, რომელთა შორის თბილისელი გია თორთლაძეცაა.

შეგახსენებთ, რომ მათ მიერ მოწოდებული ბოლო ინფორმაციის მიხედვით, მაკალუს ფერდობებზე შობამდე რამდენიმე დღით ადრე ძლიერი ქარი ამოვარდა. ამის გამო მეორე ბანაკში (6800 მ.) მყოფი მთამსვლელები საბაზოში დაბრუნდნენ, ექსპედიციის ზოგი წევრის კარავი განადგურდა და მათ აღდგენას 25 დეკემბრისთვის გეგმავდნენ.

მას მერე მთამსვლელებს კიდევ ჰქონდათ თავგადასავლები. მათ მიერ გუშინ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მთამსვლელებს მეორე ბანაკი 6900 მეტრის სიმაღლეზე აღუდგენიათ, 7400 მეტრზე კი მესამეც დაუდგიათ და მარშრუტიც დაუმუშავებიათ. იმავე ინფორმაციის მიხედვით, გუშინწინ ექსპედიციის სამ წევრს — ვიელიცკის, ჟურავსკისა და ზალესკის მესამე ბანაკში ღამე გაუთევიათ და საკარაულოდ ამ კვირის ბოლომდე აპირებენ უშუალოდ მწვერვალზე ასვლას. თუმცა, ახლა, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, შესაძლოა, მათ მიზანს მიაღწიეს კიდეც და გახდნენ პირველნი, რომლებმაც ეს ბუმბერაზი ზამთარში დალაშქრეს.

მომდევნო დღეებში ექსპედიციის დანარჩენი წევრებიც ეცდებიან თუ არა მწვერვალზე გადამწყვეტი იერიშის მიტანას, ამაზე ჯერ არაფერს იუწყებიან.

ავთანდილ ბყვიშელი

სუპროლიგა

A ჯგუფი

IX ტური. 3-4 იანვარი

ლიეტუვოს რიტასი 79:97 ულქერი

ლიეტუვოს რიტასი: ელიოტი (13), გედრაიტისი (13), იარუტისი (3), ა. იავტოკასი, რ. იავტოკასი (6), კაზლაუსკასი (5), მასიიაუსკასი (19), შესტოკასი, შიშკაუსკასი (11), სლეზასი (4)

ულქერი: აჩიკი, ერდენაი (12), ერდოგანი (12), გოლიოვიჩი (12), გონლუმი (11), გიულერი, ჰენდლოგტენი (24), ლოლისი (18), ფაჩულია (2), სარიჯა (3), ილდირიმი (3)

ცეპტერი 95:68 რაანანა

ცეპტერი: ადომაიტისი (10), ავლიაში (3), ბაიერი (2), ციელებაკი (8), ჯემისონი (6), კოსციუკი (6), მიგლინიეკსი (6), ტომჩიკი (9), ვოიციკი (15), ზიელინსკი (30), ზვოლაკი

რაანანა: კოენი (9), გუდესი (11), გრინი (1), იცხაკი (7), კანტორი (10), მაკარტი (3), სელტერსი (11), სავანოვიჩი, სტანოევიჩი (16)

პანათინაიკოსი 86:82 ვილერბანი

პანათინაიკოსი: ალვერტისი (21), ბალოიანისი (2), ბოდიროგა (19), ბერკი, ფოციისი (2), ჯენტილე (4), კალაიძისი (2), კოხი (3), დ. მიდლტონი (11), რებრაჩა (18), როჯერსი (4)

ვილერბანი: ბილბა (13), ბლომი (7), ედვარდსი (13), ფრიგუ (5), ჰოფმანი (12), ლონგი (8), პაშუტინი (6), პლუვი (8), სკიარა (6), სი (4)

სიენა 93:83 ალბა

სიენა: ბუსკა (6), კიაჩიგი (16), ბ. ევანსი (20), გორენცი (16), გრეი (8), პესინა (2), როუენი (10), სავიო (3), სკარონე (12)

ალბა: ალექსისი (19), კოტურროვიჩი (18), ლუტკე (8), ოზთურქი (3), პაპიჩი, პეშიჩი (18), ფელსი (12), როდლი (3), შულცე (2)

ცსკა 66:57 სპლიტი

ცსკა: ალანოვიჩი (14), დომანი (1), ეინიკისი (10), ფეტისოვი (17), კირილენკო (3), კუდელინი (7), ლარუ (3), მორგუნოვი (3), პეტრენკო (8)

სპლიტი: ბადეგმი (8), გრეგოვი (9), გრგურევიჩი (11), ლენდი (3), პოლიაკი (1), რენჩერი (3), სუბოტიჩი (2), ვუიჩიჩი (15), ეიეიჩი (5)

X ტური. 10-11 იანვარი

სიენა 82:67 რაანანა

სიენა: ალბერტი (10), კიაჩიგი (8), ბ. ევანსი (8), გორენცი (15), გრეი (14), მეისი (8), პესინა (2), როუენი (15), სავიო (5), სკარონე (2)

რაანანა: კოენი, გუდესი (11), გრინი (8), იცხაკი (6), კანტორი (4), მაკარტი (10), სელტერსი (8), სავანოვიჩი (6), სტანოევიჩი (14)

ლიეტუვოს რიტასი 71:80 ალბა

ლიეტუვოს რიტასი: ელიოტი (20), გედრაიტისი (14), გრანტი (4), იარუტისი (2), ა. იავტოკასი, რ. იავტოკასი (2), კაზლაუსკასი (1), მასიიაუსკასი (11), შესტოკასი, შიშკაუსკასი (9), სლეზასი (8)

ალბა: ალექსისი (14), გარისი, კოტურროვიჩი (19), ლუტკე, ოზთურქი (4), პაპიჩი, პეშიჩი (25), ფელსი (12), როდლი (6)

ცეპტერი 89:79 ვილერბანი

ცეპტერი: ადომაიტისი (17), ავლიაში (5), ციელებაკი, ჯემისონი (4), კოსციუკი (2), მიგლინიეკსი (12), ტომჩიკი (14), ვოიციკი (21), ზიელინსკი (14)

ვილერბანი: ბილბა (3), ბლომი (8), ედვარდსი (18), ფრიგუ (2), ჰოფმანი (11), ლონგი (21), პაშუტინი (4), პლუვი (12), სკიარა

პანათინაიკოსი 89:81 ცსკა

პანათინაიკოსი: ალვერტისი (21), ბალოიანისი, ბოდიროგა (18), ფოციისი (18), ჯენტილე (2), კალაიძისი (8), დ. მიდლტონი (10), რებრაჩა (12), როჯერსი

ცსკა: ალანოვიჩი (6), დომანი (7), ეინიკისი (13), ფეტისოვი, კირილენკო (13), კუდელინი (20), ლარუ (5), მორგუნოვი (13), პეტრენკო (4)

სპლიტი 76:70 ულქერი

სპლიტი: ბადეგმი (12), გრეგოვი (18), გრგურევიჩი (9), ლენდი (6), პოლიაკი (6), რენჩერი (10), სუბოტიჩი (7), ვუიჩიჩი (6), ეიეიჩი (2)

ულქერი: აჩიკი, ერდენაი (14), ერდოგანი (14), გოლიოვიჩი (17), გონლუმი (4), გიულერი, ჰენდლოგტენი (17), ლოლისი (4), ჰერსეკო, ილდირიმი

პანათინაიკოსი	10	7	3	830:757	17
ცსკა	10	7	3	787:740	17
ულქერი	10	6	4	803:764	16
ცეპტერი	10	6	4	831:793	16
სპლიტი	10	6	4	756:742	16
ალბა	10	5	5	804:790	15
ვილერბანი	10	5	5	759:763	15
სიენა	10	3	7	751:811	13
რაანანა	10	3	7	721:800	13
ლიეტ. რიტასი	10	2	8	809:891	12

B ჯგუფი

IX ტური. 3-4 იანვარი

პუ ორტეზი 76:74 ირაკლისი

პო ორტეზი: დიავი (8), დიუბო, ესტელერი (12), ფოტუ (7), დ. გადუ (2), ლოუსონი (9), მაზინგი, მაკკალოფი (11), მურეშანი (18), ფ. პიეტრუსი (7), მ. პიეტრუსი (2)

ირაკლისი: ხაძივრეტასი (29), ხრიზანტოპულოსი (3), ჰუპმანი (5), კარაგუტისი (7), კარასიოვი (6), მარკოპულოსი (3), ნაკიჩი (16), პაპადოპულოსი (5), პაპაიოაკეიმი

მაკაბი 89:53 პარტიზანი

მაკაბი: ბრისკერი (3), ბურშტეინი (14), ჩურჩიჩი (4), ჰენფელდი (12), ჰაფმანი (20), მაკდონალდი (2), პარკერი (12), რადოვიჩი (7), შარფი (3), შელეფი (12)

პარტიზანი: ბერიჩი (11), ბულატოვიჩი (8), ჩანაკი (4), გაიჩი (4), გლინტიჩი, კოვაჩი (2), მარკოვიჩი, მილისავლიევიჩი (6), პეტროვიჩი (14), ვარდა (4)

ოსტენდე 63:72 კრკა

ოსტენდე: ბეგინი, ბიგსი (11), დოილი (14), ჰოლდენი (10), კულამი, პეპკა (3), პრაშკევიჩუსი (15), ვან დენ შპიგელი (10)

კრკა: ანზულოვიჩი (22), არაპოვიჩი (3), ჩაპინი, კორტნი (8), დევისონი (8), დონჩიჩი (2), დ. დრობნიაკი (17), გრუმი (12), იევტოვიჩი

ეფესი 104:75 პლანია

ეფესი: არსლანი (3), ბეშოქი (19), ბიბო (11), ბ. დრობნიაკი (19), მულაომეროვიჩი (15), ოქური (11), ონანი (8), პეკერი (10), შრეპანოვიჩი (3), ილმაზი (5)

პლანია: აულანდერი (16), ფრედრიკსონი, ლუნდალი (8), ნიკოლასი (13), ბარნი (5), პატიეიუნასი (2), პეტერსონი (17), რონდალი (3), ტომასი (11)

ბაიერი 78:82 სკავოლინი

ბაიერი: ბესტი (20), ჩ. ევანსი (14), გაიბი, გისეკი, გნადი (2), ჰანსენი (19), ჰენიაკი (5), ჰაჩისონი (6), ლოხმანჩუკი (12), ვებერი

სკავოლინი: ბუკერი (21), გიგენა (6), ჯონსონი (17), მაჯოლი (2), მანიფიკო, ლ. მიდლტონი (15), პეჩილე, ტრაინა, ტუშეკი (17), ძანელი (4)

X ტური. 10-11 იანვარი

კრკა 65:85 ირაკლისი

კრკა: ანზულოვიჩი (3), არაპოვიჩი (6), კორტნი (16), დევისონი (17), დონჩიჩი (2), დ. დრობნიაკი (5), გრუმი (6), იევტოვიჩი, მიჰაილოვიჩი (2), პეტროვი (8)

ირაკლისი: ხაძივრეტასი (17), კარაგუტისი (10), კარასიოვი (10), ნაკიჩი (17), პაპადოპულოსი (31)

ეფესი 89:80 ოსტენდე

ეფესი: ბეშოქი (10), ბიბო, ბ. დრობნიაკი (25), მულაომეროვიჩი (30), ოქური (5), ონანი (12), პეკერი, შრეპანოვიჩი (4), ილმაზი (3)

ოსტენდე: ბეგინი (4), ბიგსი (12), დე ბელი (2), დოილი (9), ჰოლდენი (12), კულამი (18), პეპკა (3), პრაშკევიჩუსი (12), ვან დე კეერ, ვან დენ შპიგელი (8)

პუ ორტეზი 92:81 პარტიზანი

პო ორტეზი: დიავი, დროზდოვი, დიუბო (6), ესტელერი (15), ფოტუ (8), დ. გადუ (4), ლოუსონი (13), მაკკალოფი (24), მურეშანი (11), ფ. პიეტრუსი (11), მ. პიეტრუსი

პარტიზანი: ბერიჩი (30), ბულატოვიჩი (7), ჩანაკი (4), გლინტიჩი, მარკოვიჩი (3), მილისავლიევიჩი (14), პეტროვიჩი (11), ვარდა (12)

ბაიერი 89:72 პლანია

ბაიერი: ბესტი (24), ჩ. ევანსი (14), გაიბი (2), გისეკი, გნადი (6), ჰანსენი (13), ჰენიაკი (2), ჰაჩისონი (6), ლოხმანჩუკი (19), ვერვიმპი, ვებერი (3)

პლანია: აულანდერი (16), ფრედრიკსონი, ლუნდალი (4), ნიკოლასი (10), პანაიოტოპულოსი, ბარნი (4), პატიეიუნასი (6), პეტერსონი (4), რონდალი (2), ტომასი (26)

მაკაბი 80:78 სკავოლინი

მაკაბი: ბრისკერი (8), ბურშტეინი (2), ჩურჩიჩი (1), ჰენფელდი (10), ჰაფმანი (20), მაკდონალდი (11), პარკერი (5), შარფი (9), შელეფი (14)

სკავოლინი: ბუკერი (20), გიგენა (2), ჯონსონი (24), მაჯოლი (8), მანიფიკო (3), ლ. მიდლტონი (14), ტრაინა (2), ტუშეკი (2), ძანელი (3)

მაკაბი	10	8	2	875:766	18
ეფესი	10	7	3	834:767	17
პარტიზანი	10	6	4	807:834	16
სკავოლინი	10	5	5	821:782	15
ირაკლისი	10	5	5	833:822	15
ოსტენდე	10	5	5	820:826	15
პო ორტეზი	10	5	5	787:795	15
კრკა	10	4	6	738:769	14
ბაიერი	10	3	7	877:906	13
პლანია	10	2	8	747:872	12

ანგარიში ფაჩულიასაც აქვს თურქჯანი გააგდეს

სუპროლიგის არდადეგები შარშან, კათოლიკური შობის წინ დაიწყო და წლეულს, მართლმადიდებლური შობის წინ დასრულდა. 2001 წელს ორი ტური გაიმართა, რომელთაგან პირველში ქართველთათვის საინტერესო ამბავი მოხდა. სტამბოლის „ულქერის“ 16 წლის ფორვარდ-ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ ვილნიუსის „ლიეტუვოს რიტასს“ ორი ქულა ჩაუგდო და პირადი სასუპროლიგო ანგარიში გახსნა. ეს 4 იანვარს, მეცხრე ტურში მოხდა ლიტვის დედაქალაქში: ზაზამ სამი წუთი ითამაშა, ორი სროლიდან ერთი გამოიყენა და ერთი მოხსნაც გააკეთა. ფაჩულია მეორე ქართველია, ვისაც ევროპის უმთავრეს საკლუბო შეჯიბრებაში (ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, ევროლიგა, სუპროლიგა) ბურთი ჩაუგდია. პირველი კი ვლადიმერ სტეფანია გახლდათ, ევროპაში თამაშისას ლიუბლიანის „ოლიმპიას“, ხოლო ამჟამად ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის „ნიუ ჯერსი ნეთსის“ ცენტრი.

„ულქერმა“ იოლად სძლია „ლიეტუვოს რიტასს“, სამაგიეროდ მომდევნო ტურში სტუმრად დამარცხდა „სპლიტთან“ და ცხრილში მესამე ადგილზე ჩაქვეითდა. სპლიტში ფაჩულიას არ უთამაშია, თუმცა განაცხადეს იყო. ლიდერობა კი ათენის „პანათინაიკოსმა“ იგდო ხელთ, რომელმაც მეათე ტურში შინ აჯობა მოსკოვის ცსკა-ს. აღსანიშნავია, რომ „პანათინაიკოსი“, შარშანდელი ევროლიგის ჩემპიონი, სუპროლიგაში პირველად მოექცა სათავეში ცხრილს.

სტამბოლის „ეფესმა“ და ბელგრადის „პარტიზანმა“ გამოტოვებული მატჩი ითამაშეს, რომელშიაც „ეფესმა“ 93:82 იმარჯვა. შეგახსენებთ, რომ შეხვედრა „პარტიზანის“ კალათბურთელის, ჰარის ბრკიჩის მკვლელობის გამო გადაიდო. იქიდან მოყოლებული „ეფესმა“ ზედიზედ ორი თამაში მოიგო, ხოლო „პარტიზანმა“ ორი წააგო. სტამბოლელებმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა, თუმცა ნაახალწლევს სერიოზული დანაკლისი განიცადეს: ფორვარდი მირსად თურქჯანი კლუბის ხელმძღვანელებს წაეჩხუბა და ამათაც მოთამაშეს კარისკენ მიუთითეს. თურქჯანი პირველი თურქი კალათბურთელია, რომელმაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ითამაშა. ამერიკიდან დაბრუნებულმა მირსადმა მშობლიურ „ეფესს“ მიაშურა, მაგრამ, როგორც ხედავთ, მალევე გაეყარა. თურქჯანის აყვანის სურვილი უკვე გამოთქვეს „ბარსელონამ“ და ბოლონიის „ფორტიტუდომ“, სამაგიეროდ „ეფესმა“ დისციპლინის და კონტრაქტის პირობების დარღვევისთვის 300 ათასი დოლარით დააჯარიმა კალათბურთელი და ამ თანხის მიღებას სასამართლოს გზით აპირებს.

B ჯგუფს კი ერთპიროვნულად ლიდერობს შარშანდელი ევროლიგის ფინალისტი, თელ ავივის „მაკაბი“. ებრაელებმა იოლად მოუგეს „პარტიზანს“ და გაჭირვებით — პეზაროს „სკავოლინის“. „მაკაბის“ ამერიკელი ცენტრი ნათანიელ ჰაფმანი კი სუპროლიგის დეკემბრის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

REUTERS სპლიტიდან

სპლიტი — ულქერი. ნიკოლა გუიჩიჩი ულქერელ ჰარუნ ერდენაის უფარებს

ევროლიგა

Euroleague — ჯგუფური ეტაპი. IX ტური. 10-11 იანვარი — Euroleague

A ჯგუფი

ჭალგირისი 105:89 ლუგანო

პერისტერი 92:73 ზადარი

ესტუდიანტესი 76:90 ფორტიტუდო

სატურნირო მდგომარეობა: პერისტერი 16 ქულა, ფორტიტუდო 16, ჭალგირისი 14, ესტუდიანტესი 13, ზადარი 11, ლუგანო 11

B ჯგუფი

კინდერი 106:87 შარლეროა

ტაუ 97:88 პეტერბურგი

ციბონა 72:81 აეკ

სატურნირო მდგომარეობა: კინდერი 17 ქულა, აეკ 16, ტაუ 15, ციბონა 12, პეტერბურგი 11, შარლეროა 10

C ჯგუფი

ოლიმპიაკოსი 101:67 ოვარენზე

ოლიმპია 95:68 პაპელი

ბენეტონი 87:88 რეალი

სატურნირო მდგომარეობა: ოლიმპიაკოსი 16 ქულა, ოლიმპია 16, რეალი 15, ბენეტონი 14, ჰაპელი 11, ოვარენზე 9

D ჯგუფი

ბარსელონა 82:76 ლონდონ თაუერზი

მიულერი 90:70 სკაილაინერზი

პაოკ 89:72 გუდუჩნოსტი

სატურნირო მდგომარეობა: ბარსელონა 16 ქულა, მიულერი 15, პაოკ 15, გუდუჩნოსტი 15, ლონდონ თაუერზი 10, სკაილაინერზი 10

TELEBASKET ტრაკი ბოდან

ბენეტონი — რეალი. ალექსანდრ ჯორჯევიჩი ბენეტონელ პეტარ ნაუმოსკის გაურბის

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

სტეფანიას ჯადო აარიდეს

11 იანვარი

ნიუ ჯერსი 87:101 ორლანდო

ნიუ ჯერსი: მარბერი (20), ჰარისი (6), ჯეკსონი (15), ვან ჰორნი (9 ქულა, 11 მოხსნა), მარტინი (14); ნიუმენი (11), ვილიამსი (10), დუგლასი (2)

ორლანდო: არმსტრონგი (20 ქულა, 14 პასი), მაკგრეიდი (36), მილერი (17), ოუთლოუ (8), დეკლერკი (2); გერიტი (7), ამაეჩი (5), ვილიამსი (4), დოლიკი (2), რობინსონი, ჰადსონი, რიდი



REUTERS მილუოკიდან

მილუოკი — დალასი. შონ ბრედლიმ მილუოკელ ტიმ ტომასს ჩატენვაში ხელი ვერ შეუშალა

უკვე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ვლადიმერ სტეფანია „ნიუ ჯერსი ნეთსში“ ჩაირიცხა. მან თითქმის ყველა თამაშში მიიღო მონაწილეობა, მხოლოდ ორლანდოელი შემთხვევაა გამონაკლისი. „ბადეთა“ გამწვრთნელი ბაირონ სკოტი რატომღაც ერიდება ქართველის მოედანზე შეშვებას, როდესაც მისი გუნდი „ორლანდო მეჯიქს“ ეთამაშება. ასე იყო 2 იანვარს, მაშინ სტეფანიამ თავისი პირველი შეხვედრა გამოტოვა. იგივე განმეორდა ცხრა დღის შემდეგაც, როცა „მეჯიქი“ „ნიუ ჯერსის“ სტუმრობდა. ორივე შემთხვევაში სკოტმა რვა-რვა კალათბურთელი გამოიყენა, დანარჩენებს კი წუთით თამაშიც არ აღირსა. მათ შორისაა ვოვა სტეფანიაც. აღსანიშნავია, რომ ამ ოქტეტში არც ერთხელ არ ერია ნომინალური ცენტრი და დიდ კალათბურთელთა უთამაშებლობა იქნებ იმითაც აიხსნება, რომ „ორლანდოს“ რიგებში ხერხიან ცენტრს ვერ მოძებნით. ასე რომ, სკოტი ალბათ არც მიიჩნევს საჭიროდ ცენტრის მოედანზე შეშვებას. რას ვიზამთ, მან უკეთ იცის, რა უნდა გააკეთოს. ისე, ფაქტია, „ნიუ ჯერსის“ საქმე კარგად ვერ მისდის, „ბადეებმა“ ბოლო 13 შეხვედრიდან 11 დათმეს.

სხვათა შორის, „ნიუ ჯერსიმ“ შვიდმატჩიან წაგებათა სერია სწორედ 2 იანვარს „ორლანდოში“ შეწყვიტა, სულ იოლად მოუგო „მეჯიქს“ და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „ჯადოთა“ ძლევა, მით უმეტეს, შინ არ გაუჭირდებოდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა.

მასპინძლებმა რიგიანად დაიწყეს. ლიდერი სტივენ მარბერი კარგად ირჯებოდა და „ნეთსმა“ პირველი ტაიმი შვიდი ქულის სხვაობით, 57:50 მოიგო. აი, მეორეში კი „ბადები“ მთლიანად აირივნენ. მეორე ტაიმში ამას ისიც დაერთო, რომ სტუმრებმა მოახერხეს მარბერის შეჩერება, მათ შორის გამორჩეულმა, მაკგრეიდიმ და არმსტრონგმა „ნიუ ჯერსის“ კალათი სულ მთლად მოაოხრეს, განსაკუთრებით სტუმართა 21 წლის ოქრო-ბიჭმა ტრეისი მაკგრეიდიმ აიწყვიტა, რომლის წყალობითაც ფლორიდელებმა სათამაშო უპირატესობა იოლად ასახეს ქულებში. სტუმართა წისქვილზე თავად მასპინძლებმაც დაასხეს წყალი, იმის ნაცვლად, რომ ძალები მოეკრიბათ და მეტოქისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ, მსაჯებსა და ორლანდოელებს გაუთავებლად ეკინკლავებოდნენ. ამისთვის მასპინძელთა ლიდერები — მარბერი, ვან ჰორნი და ჯეკსონი ტექნიკურებითაც დაისაჯნენ. სტუმრებს კი საქმე უფრო გაუიოლდათ და შეხვედრა აუღლვებლად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

ბაირონ სკოტმა, როგორც ყოველთვის, ახლაც გაკიცხა შეგირდები, თუმც ნამატჩევს მსაჯებსაც გადასწვდა და უვიცობაში დაადანაშაულა, მეორე ტაიმში მარბერის გასაჩერებლად მეტოქემ აკრძალული, ზონური დაცვა გამოიყენა და არბიტრებმა ამას თვალი აარიდესო.

ასე იყო თუ ისე, ვოვა სტეფანიას გუნდმა მორიგი მატჩი დათმო და არც მომდევნო შეხვედრაში 13 დეკემბერს აქვს მოგების დიდი შანსი — „მილუოკის“ სტუმრობს.

ფინიქსი 93:85 ინდიანა

ფინიქსი: მარიონი (27 ქულა, 17 მოხსნა), ჰარდეკი (16), კიდი (12 ქულა, 13 პასი, 9 მოხსნა)

ინდიანა: მილერი (24), ონილი (17)

მილუოკი 102:94 დალასი

მილუოკი: კასელი (21), რობინსონი (20 ქულა, 10 მოხსნა), ალენი (18), ტომასი (18)

დალასი: ფინლი (30), ნოვიცკი (23 ქულა, 11 მოხსნა), ლეიტნერი (16 ქულა, 12 მოხსნა)

ნიუ იორკი 75:76 პიუსტონი

ნიუ იორკი: ჯონსონი (18)

პიუსტონი: ფრენსისი (22), ანდერსონი (17), მობლი (16)

შარლოტი 70:83 პორტლენდი

შარლოტი: კემბელი (23 ქულა, 10 მოხსნა)

პორტლენდი: სტუდემაიერი (16)

ატლანტა 107:96 გოლდენ სტეიტი

ატლანტა: მუტომბო (20 ქულა, 10 მოხსნა), მაკლეოდი (18), ტერი (17)

გოლდენ სტეიტი: ჯეკსონი (22), ჯემისონი (19), სურა (18)

წარსულში ლეგენდარულ კალათბურთელს, აწ კი „ინდიანა პეისერზის“ მთავარ მწვრთნელს მარად მოღიმარ და მხიარულ კაცად იცნობენ. ახლა კი გამოჩნდა, რომ არც მთლად ასეა საქმე. ხუთშაბათს „ფინიქსთან“ შეხვედრაში ყველასგან პატივცემული ტომასი მსაჯებმა თამაშიდან გააგდეს, მათ მიმართ უკმაყოფილების არცთუ დასაშვებად გამოხატვის გამო. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა აიზია ტომასი მოედნიდან გააძევეს, არადა, მხოლოდ ორიოდ თვეა, რაც მან მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი.

ემოციური მწვრთნელის გაგდება „ინდიანას“ წაგებად დაუჯდა. შეხვედრის ბოლო წუთებზე დამრიგებლის გარეშე დარჩენილი ვიცე-ჩემპიონები მასპინძლებს ვეღარ გაუმკლავდნენ და დამარცხდნენ. არადა, სტუმრები მატჩის დამთავრებამდე ხუთნახევარი წუთითი ადრე რეჯი მილერის სამქულიანის შემდეგ 77:76 იგებდნენ და საბოლოო გამარჯვებაც არ ჩანდა მიუწვდომელი.

როგორც იქნა, გამოჩნდა გუნდი, რომელსაც „დალას მავერიქსმა“ სტუმრად ვერ მოუგო. „მილუოკი“ სრულ მზადყოფნაში დახვდა ტეხასელებს და ზედიზედ ოთხი საგარეო მოგების შემდეგ პირველად აგება მათ მარცხის სიმწარე, თავად კი შინაურ გამარჯვებათა სერია რვამდე გააგრძელა. „დალასი“ კი ის გუნდია, რომელიც ახლა ალმავლობის გზაზეა, მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელი შეეცვალა. ცნობილი დონ ნელსონის პოსტი, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ პროსტატის კიბო აღმოუჩინეს, მისმა ვაჟმა, დონი ნელსონმა ჩაიბარა და არცთუ ურიგოდ. „დალასი“ მილუოკიში მაინც დამარცხდა. „მავერიქსის“ ძლევით მასპინძლებმა ერთობ გაიხარეს. „ბაქსის“ მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა თქვა, გამარჯვებაში ისიც შეგვეშველა, მეტოქემ წინა ღამითაც რომ ითამაშა, დაიღალა და მთელი ძალით ვეღარ შეგვებრძოლა, თორემ ასე იოლად ვერ გადავრჩებოდითო. ისე კი აღსანიშნავია, რომ „დალასს“ არსებობის მანძილზე არ მოუგია „მილუოკის“ დარბაზ „ბრედლი სენთერში“.

„დალასის“ მსგავსად, ძალები მოზღვავებია მის თანაშტატელ „ჰიუსტონსაც“, მიუხედავად იმისა, რომ აღარ ჰყავს ლამის გუნდის თილისმად ქცეული ბებერი ხარი ჰაკიმ ოლაჯუონი. „რაკეტებმა“ „მედისონ სკვერ გარდენში“ „ნიუ იორკი“ დასცეს. კარგა ხანია, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ამ გუნდების შეხვედრებში თვალს იტაცებდა ორი მძლავრი ცენტრის — ოლაჯუონისა და პატრიკ იუინგის ჭიდილი. იუინგი ახლა „სიეტლშია“, ოლაჯუონს კი ტრავმა ტანჯავს, თუმც ეს შეხვედრა მაინც მეტად დაძაბული გამოდგა. ყველაფერი კი სტუმართა უკანასკნელის, კუტინო მობლის ბურთმა გადაწყვიტა, რომელიც მან თამაშის დამთავრებამდე ცხრა წამით ადრე ჩააგდო.

„შარლოტ ჰორნეთსს“ ზედიზედ თორმეტი შინაური თამაში ჰქონდა მოგებული, მაგრამ „პორტლენდს“ ვეღარაფერი მოუხერხა. უხეირო სტარტის შემდეგ „პორტლენდმა“ თავისი თამაში იპოვა, აგერ ზედიზედ მეათედ იმარჯვა და ნბა-ს დანარჩენ 28 გუნდზე მაღლა აღზევდა.

ირაკლი ფირაუმვილი

დეკემბრის საუკეთესო

კობი ბრაიანტი • ლეიკერსი •



ეროვნული ბიბლიოთეკა

შარშანდელ დეკემბერს არაერთი გამორჩეული მოთამაშე ჰყავდა, თუმც „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ 22 წლის მსროლელ კობი ბრაიანტს კონკურენტთა სიმრავლემ ხელი ვერ შეუშალა, თვის მოთამაშის ტიტული ერგუნა.

დღესდღეობით კობი „ლეიკერსის“ ლიდერია, მიუხედავად იმისა, რომ შაკილ ონილის, წინა სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გვერდით უწევს თამაში. გიგანტი შაკილის დაჩრდილვა კი, მოგეხსენებათ, იოლი საქმე არაა. ბრაიანტი მარტო იმიტომ როდია ლიდერი, რომ ონილზე მეტი ქულა მოაქვს გუნდისთვის. იგი „ლეიკერსის“ სული და გულია და მის გამარჯვებათა უპირველესი სულისჩამდგმელი.

კობი ბრაიანტი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თავის მეხუთე და საუკეთესო სეზონს ატარებს. მატჩში საშუალოდ 29,6 ქულას აგროვებს და ლიგის ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას. დეკემბერი ხომ მისი ტრიუმფის თვე იყო. „ლეიკერსის“ 16 თამაშში კობის შედეგიანობამ მატჩში საშუალოდ 32,3 ქულას უწია, მისმა გუნდმა კი 11 შეხვედრა მოიგო. ბრაიანტმა ოთხჯერ გადააბიჯა 40-ქულიან ზღვარს, 6 დეკემბერს „გოლდენ სტეიტთან“ შეხვედრაში კი 51 ქულას მოუყარა თავი და კარიერის რეკორდსაც გამოჰკრა ხელი. აღსანიშნავია, 1 დეკემბრის მატჩი მძლავრ „სან ანტონიოსთან“, სადაც ბრაიანტმა მეტოქის დაცვა აიკლო და მისი 43 ქულის წყალობით ჩემპიონმა 109:100 დასცა ექსჩემპიონი.

დეკემბერში მატჩში საშუალოდ მოგროვებული 32,3 ქულის გარდა, ბრაიანტი „ლეიკერსს“ 4,8 მოხსნითა და 4,9 პასითაც დეხმარა.

კობი ბრაიანტს თვის საუკეთესო მოთამაშის ტიტულში (ამაოდ) ეცილებოდნენ ალენ აივერსონი (ფილადელფია), გერი პეიტონი (სიეტლი), დირკ ნოვიცკი (დალასი), კრის ვებერი (საკრამენტო), გლენ რობინსონი (მილუოკი), დევიდ ვესლი (შარლოტი), სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი), ალან ჰიუსტონი (ნიუ იორკი), ანთაუნ ჯემისონი (გოლდენ სტეიტი), ჯამალ მაშბურნი (შარლოტი), ედი ჯონსი (მაიამი), ანტონიო მაკდაიესი (დენვერი) და ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო).

ლიგამ თვის საუკეთესო ახალბედაც დაასახელა. დეკემბრის ყველაზე გამორჩეული ახალბედა „გოლდენ სტეიტის“ 208-სანტიმეტრიანი ცენტრი მარკ ჯეკსონი გახლდათ და გამოკითხვაში პირველობაც მას ხვდა წილად. ამ ჯეელმა დეკემბერს გამართულ შეხვედრებში საშუალოდ 15,3 ქულა, 7,9 მოხსნა და 2,5 პასი მოინაგრა. აღსანიშნავია 19 დეკემბერს გამართული შეხვედრა „მინესოტასთან“, სადაც ჯეკსონმა ხუთი სტატისტიკური კომპონენტიდან ერთბაშად სამში კარიერის რეკორდები დაამყარა, 31 ქულა, ხუთი დაფარება და სამი ჩაჭრა მიითვალა და „მგლების“ 120:99 ძლევაში ლომის წილი დაიდო. ათი დღის შემდეგ კი „იუტას“ 20 ქულა ჩაუგდო და კიდევ ერთი რეკორდი, 14 მოხსნა ჩაიწერა აქტივში. „მეომრებმა“ „ჯაზი“ 100:89 დაამარცხეს.

დეკემბრის სხვა რჩეული ახალბედები იყვნენ ჩიკაგოელი ხალიდ ელ ამინი, დეტროიტელი მატენ კლივზი და ნიუჯერსელი კენიონ მარტინი.

კვირის მოთამაშე

ალენ აივერსონი • ფილადელფია •

„ფილადელფია სიქსერზის“ ლიდერმა ალენ აივერსონმა, მართალია, დეკემბრის საუკეთესო მოთამაშის ტიტული ლეიკერსელ კობი ბრაიანტს დაუთმო, მაგრამ ნაწყენი მაინც არ უნდა დარჩენილიყო, რადგან იანვრის პირველი კვირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. გასულ კვირაში „ფილადელფიამ“ სამივე თამაშში რომ იმარჯვა, ძირითადად სწორედ აივერსონს უნდა უმადლოდეს.

„სიქსერზმა“ და მისმა ლიდერმა კვირა „ატლანტას“ 98:90 ძლევით დაიწყეს. აქ აივერსონს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, სულ 21 ქულა გააკეთა, აი, მერე კი აიწყვიტა და მეტოქეები ერთმანეთის მიყოლებით გაამწარა. პარასკევს „ფილადელფიამ“ ალენის 41 ქულის წყალობით შინ „სიეტლი“ 121:89 გაანადგურა. კვირის დასკვნით შეხვედრაში „კლივლენდთან“ კი აივერსონმა ერთბაშად 54 ქულა დააგროვა, რითაც კარიერის რეკორდი დაამყარა და მიმდინარე სეზონის ლიგის საუკეთესო შედეგიც სამი ქულით გაუთანაბრა. ამ სამ შეხვედრაში ფილადელფიელმა საშუალოდ 38,7 ქულას, 4,33 პასი და 2,3 ჩაჭრაც მიუმატა.

იანვრის პირველ კვირამდე კი იყო დეკემბრის უკანასკნელი კვირა, რომლიც რჩეულის წოდებაც ფილადელფიელმა დაისაკუთრა. 25-31 დეკემბრის საუკეთესო მოთამაშედ აივერსონის თანაგუნდელი აარონ მაკკი მიიჩნიეს. „სიქსერზმა“ მაშინაც სამივე თამაში მოიგო, მაკკიმ კი მატჩში საშუალოდ 22,3 ქულა, 8,7 პასი და 6,0 მოხსნა გაახერხა. მან არა მარტო სეზონის, არამედ კარიერის საუკეთესო თამაში 30 დეკემბერს „საკრამენტოსთან“ ჩაატარა, სადაც კარიერაში პირველი სამმაგი დუბლი შეასრულა: 19 ქულა, 14 პასი და 10 მოხსნა.

სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. პრემიერლიგა. 23-ე ტური

13 იანვარი

19.00	001	არსენალი-ჩელსი	1,75	3,0	4,4
19.00	002	ასტონ ვილა-ლივერპული	2,4	3,0	2,7
19.00	003	ბრედფორდი-მანჩესტერი	5,6	3,4	1,5
19:00	004	ევერტონი-ტოტენჰემი	2,2	2,9	3,0
19.00	005	სიტი-ლიდსი	2,5	3,0	2,5
19.00	006	მიდლსბრო-დერბი ქაუნთი	1,85	3,0	3,8
19.00	007	ნიუკასლი-ქოვენთრი	1,5	3,5	6,0
19.00	008	საუთჰემპტონი-ჩარლტონი	1,9	3,0	3,8
19.00	009	ვესტ ჰემი-სანდერლენდი	2,0	2,9	3,4

14 იანვარი

20.00	010	იფსვიჩი-ლესტერი	2,0	2,9	3,4

ინგლისი. I დივიზიონი. 28-ე ტური

13 იანვარი

19.00	011	ბარნსლი-ბირმინგემი	2,5	3,0	2,5
19.00	012	ბლექბერნი-უენსდი	1,4	3,5	7,0
	013	ბლექბერნი-უენსდი 0:1	2,0	3,2	2,3
19.00	014	ბოლტონი-ტრანმერი	1,35	4,0	7,5
	015	ბოლტონი-ტრანმერი 0:1	1,9	3,2	2,6
19.00	016	ფულემი-ნორვიჩი	1,3	3,8	8,0
	017	ფულემი-ნორვიჩი 0:1	1,9	3,2	2,6
19.00	018	ჯილინგემი-ბარნლი	2,1	2,9	3,2
19.00	019	გრიმსბი-ქრიუ	1,8	3,0	4,2
19.00	020	ჰადერსფილდი-სტოკპორტი	1,9	3,1	3,6
19.00	021	ქუინზ პარკი-ვესტ ბრომვიჩი	2,9	3,0	2,3
19.00	022	შეფილდი-უოტფორდი	2,2	3,0	3,1
19.00	023	უიმბლდონი-პრესტონი	2,2	3,0	2,9
19.00	024	ვულვერჰემპტონი-პორტსმუთი	1,8	3,0	4,0

14 იანვარი

17.00	025	ნოტინგემი-კრისტალ პალასი	1,6	3,2	5,0

ინგლისი. II დივიზიონი. 27-ე ტური

13 იანვარი

19.00	027	როვერსი-ბრენტფორდი	2,3	3,0	2,9
19.00	028	კემბრიჯი-ნოტსი	2,4	3,0	2,7
19.00	029	მილუოლი-უიგანი	1,9	2,9	4,0
19.00	030	ნორთჰემპტონი-ბერი	1,6	3,2	5,0
19.00	031	ოლდემი-კოლჩესტერი	2,0	2,9	3,6
19.00	032	ოქსფორდი-უოლსოლი	4,4	3,2	1,65
19.00	033	როტერჰემი-ბრისტოლი	2,0	3,0	3,5
19.00	034	სტოკი-რედინგი	1,9	3,0	3,8
19.00	035	სუონსი-პიტერბრო	2,3	3,0	2,9
19.00	036	სუინდონი-პორტ ვეილი	2,0	3,0	3,5
19.00	037	რექსემი-ბორნმუთი	2,0	3,0	3,5

ინგლისი. III დივიზიონი. 27-ე ტური

13 იანვარი

19.00	038	ბარნეტი-იორკი	1,8	3,1	4,0
19.00	039	ბლეკპული-ტორკი	1,6	3,2	5,0
19.00	040	კარლაილი-შრიუსბერი	2,4	3,0	2,7
19.00	041	ჩელტენემი-ჰარტლპული	1,9	3,1	3,6
19.00	042	ჩესტერფილდი-სკანთორპი	1,5	3,5	6,0
19.00	043	ექსეტერი-ლეიტონი	2,9	3,0	2,3
19.00	044	კიდერმინსტერი-ბრაიტონი	2,5	3,0	2,5
19.00	045	ლინკოლნი-ჰალი	2,3	2,9	3,0
19.00	046	პლიმუთი-დარლინგტონი	1,75	2,9	4,7
19.00	047	როჩდეილი-ჰალიფაქსი	1,55	3,3	5,3
19.00	048	საუთენდი-კარდიფი	2,4	2,9	2,8

14 იანვარი

19.00	049	მაკლსფილდი-მენსფილდი	1,9	2,9	4,0

საფრანგეთი. I დივიზიონი. 23-ე ტური

13 იანვარი

20.15	051	ნანტი-ოსერი	1,65	3,0	5,6
23.00	052	გენგამი-ბორდო	2,5	2,9	2,6
23.00	053	ტრუა-ლილი	2,3	2,9	3,0
23.00	054	სენტ ეტიენი-პსჟ	2,2	2,9	3,2
23.00	055	მეცი-რენი	2,3	2,8	3,1
23.00	056	მონაკო-სედანი	1,9	2,9	3,8
23.00	057	ბასტია-სტრასბური	1,45	3,5	7,0
23.00	058	მარსელი-ტულუზი	1,45	3,3	7,0

საფრანგეთი. II დივიზიონი. 25-ე ტური

13 იანვარი

23.00	059	ლორიანი-აიაჩო	1,3	4,0	7,5
	060	ლორიანი-აიაჩო 0:1	1,9	3,2	2,6
23.00	061	ლე ავრი-ანჟე	1,35	3,6	7,5
	062	ლე ავრი-ანჟე 0:1	2,0	3,0	2,4
23.00	063	ლავალი-ბოვუა	1,35	3,8	7,0
	064	ლავალი-ბოვუა 0:1	2,0	3,0	2,4
23.00	065	კანი-შატორუ	2,3	2,9	3,0
23.00	066	მონპელიე-ლე მანი	1,5	3,2	7,5
23.00	067	სოშო-მარტიგი	1,35	3,8	7,0
	068	სოშო-მარტიგი 0:1	2,0	3,0	2,4
23.00	069	კრეტეი-ნიცა	1,7	2,7	5,6
23.00	070	ვასკეალი-ნიმი	2,4	2,6	3,1
23.00	071	გენიონი-ნიორი	2,3	2,8	3,1

14 იანვარი

21.00	072	ნანსი-კაენი	1,6	3,0	6,0

იტალია. სერია A. მე-14 ტური

13 იანვარი

18.00	073	ბრეშა-პერუჯა	2,2	2,9	3,2
23.30	074	ფიორენტინა-მილანი	2,3	2,8	3,1

14 იანვარი

18.00	075	იუვენტუსი-ბოლონია	1,4	3,3	8,0
18.00	076	ლეჩე-ვიჩენცა	1,9	2,9	4,0
18.00	077	რეჯინა-ატალანტა	2,5	2,8	2,7
18.00	078	რომა-ბარი	1,2	5,0	9,0
	079	რომა-ბარი 0:1	1,7	3,2	3,2
18.00	080	უდინეზე-ლაციო	2,9	2,8	2,4
18.00	081	ვერონა-ნაპოლი	2,2	2,8	3,3
23.30	082	ინტერი-პარმა	1,8	2,9	4,4

იტალია. სერია B. მე-18 ტური

14 იანვარი

18.00	084	კოზენცა-ტორინო	2,1	2,6	3,8
18.00	085	ჯენოა-ტრევიზო	1,7	2,7	6,0
18.00	086	მონცა-სამპდორია	3,3	2,6	2,3
18.00	087	პესკარა-კროტონე	2,2	2,6	3,5
18.00	088	პიაჩენცა-პისტოიეზე	1,5	3,2	7,5
18.00	089	სალერნიტანა-კიევო	2,2	2,6	3,5
18.00	090	სიენა-ჩიტადელა	1,65	2,7	6,5
18.00	091	ვენეცია-რავენა	1,4	3,2	8,0

15 იანვარი

23.45	092	ანკონა-ემპოლი	1,85	2,6	4,4

იტალია. სერია C1/ა. მე-18 ტური

14 იანვარი

17.30	093	ალბანო-ალბინოლეფე	2,3	2,5	3,4
17.30	094	ლივორნო-ალესანდრია	1,35	3,3	8,0
17.30	095	ლუკეზე-ბრეშელო	1,7	2,6	6,0
17.30	096	კომო-კარარეზე	1,55	3,0	7,0
17.30	097	რეჯანა-ლეკო	1,9	2,6	4,4
17.30	098	სპეცია-ლუმეცანე	1,8	2,5	5,0
17.30	099	სპალ-მოდენა	3,2	2,5	2,4
17.30	100	არეცო-პიზა	1,9	2,5	4,7
17.30	101	ჩეზენა-ვარეზე	1,75	2,5	6,0

იტალია. სერია C1/ბ. მე-18 ტური

14 იანვარი

17.30	102	ფანდრია-ატლეტიკო	1,9	2,5	4,4
17.30	103	პალერმო-დი სანგრო	1,65	2,7	5,6
17.30	104	აველინო-ფერმანა	1,55	2,9	7,0
17.30	105	სავოია-ჯულიანოვა	1,55	2,9	7,0
17.30	106	ბენევენტო-აკილა	2,7	2,5	2,7
17.30	107	ტორესი-ლოდიჯანი	1,6	2,7	6,5
17.30	108	ასკოლი-ნოჩერინა	1,9	2,5	4,7
17.30	109	კატანია-პეზარო	1,8	2,5	5,0
17.30	110	მესინა-ვიტერბეზე	1,75	2,6	5,3

ესპანეთი. I დივიზიონი. მე-18 ტური

13 იანვარი

24.00	111	დეპორტივო-ვალენსია	2,0	2,9	3,6
24.00	112	ბარსელონა-ვალიადოლიდი	1,2	5,0	9,0
	113	ბარსელონა-ვალიადოლიდი 0:1	1,7	3,2	3,2

14 იანვარი

20.00	114	სოსიედადი-ბილბაო	2,3	2,8	3,1
20.00	115	რასინგი-მალაგა	2,2	2,9	3,1
20.00	116	მალიორკა-ალავესი	1,8	2,9	4,4
20.00	117	ნუმანსია-რაიო ვალეკანო	2,5	3,0	2,5
20.00	118	ვილიარეალი-სელტა	1,9	2,9	3,6
20.00	119	სარაგოსა-ოსასუნა	1,6	3,1	6,0
21.00	120	ლას პალმასი-ესპანიოლი	2,0	2,9	3,6
23.00	121	რეალი-ოვიედო	1,2	5,0	9,0
	122	რეალი-ოვიედო 0:1	1,7	3,2	3,2

ესპანეთი. II დივიზიონი. მე-20 ტური

13 იანვარი

21.00	123	სევილია-ესტრემადურა	1,55	3,0	6,5
21.00	124	ლეიდა-ტენერიფე	2,9	3,0	2,2

14 იანვარი

14.30	125	ხეტაფე-ბადახოსი	2,6	2,8	2,6
15.00	126	ელჩე-მურსია	2,4	2,9	2,8
15.00	127	ლეგანესი-უნივერსიდადი	1,5	3,0	7,5
20.00	128	სალამანკა-ეიბარი	1,6	3,0	6,0
20.00	129	ალბასეტე-კორდობა	1,7	3,0	5,0
20.00	130	სპორტინგი-ატლეტიკო	2,3	3,0	2,7
20.00	131	ლევანტე-ფეროლი	1,6	3,0	5,6
20.00	132	უელვა-ბეტისი	2,6	2,8	2,6
20.00	133	ხაენი-კომპოსტელა	1,9	2,9	4,0

პორტუგალია. I ლიგა. მე-17 ტური

13 იანვარი

19.00	135	ამადორა-ბეირა მარი	2,4	3,0	2,7
20.00	136	კამპომაიორენსე-ალვერკა	1,9	3,1	3,4
20.00	137	ფერეირა-ჟილ ვისენტე	1,45	3,5	6,5
20.00	138	ბენფიკა-ავეში	1,15	5,6	10,0
	139	ბენფიკა-ავეში 0:1	1,5	3,5	3,5
20.00	140	ლეირია-ბრაგა	2,4	3,0	2,7
20.30	141	ფარენსე-გიმარაეში	2,0	2,9	3,6
23.00	142	ბოავიშტა-პორტუ	2,7	3,0	2,4

პორტუგალია. II ლიგა. მე-17 ტური

13 იანვარი

19.00	143	რიუ ავე-მარკუ	1,5	3,3	7,0
19.00	144	ლეცა-იმორტალი	1,4	3,5	7,0
19.00	145	ოვარენსე-ვარზიმი	3,2	2,9	2,1
19.00	146	ფელგეირაში-ფრეამუნდე	1,8	3,0	4,2
19.00	147	ნასიონალი-აკადემიკა	1,65	3,2	5,0
19.00	148	სანტა კლარა-ლამაში	1,4	3,5	7,0
19.00	149	შავეში-პენაფიელი	2,5	2,9	2,6
19.00	150	მაია-ესპინიუ	1,7	3,1	4,7
19.00	151	ნავალი-სეტუბალი	2,2	2,9	3,2

ბელგია. II დივიზიონი. მე-19 ტური

13 იანვარი

22.30	152	დესელი-დენდერლეუ	2,5	3,0	2,5
23.00	153	მაასლანდი-სტრომბეკი	2,0	2,9	3,6
23.00	154	ჰეკელგემი-ტინენი	2,9	3,0	2,3
23.00	155	ჰეუსდენი-მონსი	2,3	3,0	2,7
23.00	156	ლიეჟი-რუსელარე	1,9	2,9	3,6
23.00	157	ლომელი-სერკლი	1,65	3,1	4,2
23.00	158	დაინცე-ინგელმუნსტერი	2,5	3,0	2,5

14 იანვარი

17.30	159	მოლენბეკი-გეელი	2,3	2,9	3,0
17.30	160	ტურნჰაუტი-ოსტენდე	1,4	3,5	7,0

საბერძნეთი. მე-14 ტური

13 იანვარი

21.00	161	ქსანთი-იონიკოსი	2,0	2,8	3,8

14 იანვარი

19.00	162	იანინა-ოფი	1,8	3,0	4,0
19.00	163	პანაჰაიკი-პანათინაიკოსი	5,3	3,3	1,6
19.00	164	ირაკლისი-ეთნიკოსი	1,5	3,3	7,0
19.00	165	კალამატა-პანილიაკოსი	1,8	3,0	4,2
19.00	166	პანიონიოსი-არისი	2,5	2,9	2,6
21.00	167	პაოკ-აეკ	2,5	2,9	2,6

15 იანვარი

18.00	168	ათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი	6,0	3,6	1,45

კალათბურთი

13 იანვარი

02.30	809	ინდიანა-მაიამი	1,7	12,0	1,7
02.30	810	ნიუ იორკი-პორტლენდი	1,7	12,0	1,7
05.00	811	ატლანტა-კლიპერსი	1,3	12,0	2,8
05.00	812	დალასი-ფინიქსი	1,45	12,0	2,1
05.00	813	ორლანდო-გოლდენ სტეიტი	1,2	12,0	3,1
05.00	814	ფილადელფია-სან ანტონიო	1,4	12,0	2,3
05.30	815	ჰიუსტონი-საკრამენტო	1,7	12,0	1,7
05.30	816	მილუოკი-ნიუ ჯერსი	1,15	12,0	4,0
06.00	817	იუტა-ლეიკერსი	1,7	12,0	1,7
07.00	818	ვანკუვერი-კლივლენდი	1,9	12,0	1,55

14 იანვარი

02.30	819	ტორონტო-შარლოტი	1,7	12,0	1,7
04.00	820	დეტროიტი-პორტლენდი	2,3	12,0	1,4
04.30	821	მაიამი-ჩიკაგო	1,1	12,0	5,0
05.00	822	ფინიქსი-სიეტლი	1,15	12,0	4,0

15 იანვარი

22.00	823	ნიუ იორკი-სან ანტონიო	1,45	12,0	2,1
22.00	824	ვაშინგტონი-მილუოკი	2,3	12,0	1,35
23.00	825	ფილადელფია-შარლოტი	1,25	12,0	3,1
23.30	826	ატლანტა-ნიუ ჯერსი	1,3	12,0	2,8
24.00	827	დალასი-საკრამენტო	1,7	12,0	1,7
00.30	828	მინესოტა-ბოსტონი	1,15	12,0	4,0
01.00	829	გოლდენ სტეიტი-კლივლენდი	2,0	12,0	1,45
04.00	830	ინდიანა-კლიპერსი	1,1	12,0	5,0
04.30	831	ორლანდო-ჩიკაგო	1,1	12,0	5,0
05.00	832	ლეიკერსი-ვანკუვერი	1,05	12,0	7,5
06.00	833	დენვერი-სიეტლი	1,35	12,0	2,5
06.00	834	იუტა-ჰიუსტონი	1,3	12,0	2,8

ჰოკეი

13 იანვარი

22.00	911	ბოსტონი-რეინჯერსი	1,9	4,0	2,3
04.00	912	მონრეალი-ფინიქსი	2,3	4,0	1,9
04.00	913	ნიუ ჯერსი-ტორონტო	1,8	4,0	2,5
04.00	914	აილენდერსი-პიტსბურგი	2,8	4,0	1,65
04.00	915	ვაშინგტონი-ატლანტა	1,5	4,0	3,4
04.30	916	ფლორიდა-ფილადელფია	2,8	4,0	1,65
06.30	917	ლოს ანჯელესი-სენტ ლუისი	2,2	4,0	2,0
07.00	918	კალგარი-ოტავა	2,1	4,0	2,1
07.30	919	სან ხოსე-ნეშვილი	1,45	4,0	3,6

14 იანვარი

22.30	920	კაროლინა-ანაჰაიმი	1,45	4,0	3,6
03.00	921	ტამპა ბეი-დალასი	2,5	4,0	1,8
04.00	922	რეინჯერსი-მინესოტა	1,6	4,0	3,0
04.00	923	ჩიკაგო-კოლორადო	2,6	4,0	1,75
05.00	924	ედმონტონი-ოტავა	2,0	4,0	2,2
07.00	925	ვანკუვერი-კალგარი	1,55	4,0	3,2

15 იანვარი

23.00	926	პიტსბურგი-ანაჰაიმი	1,65	4,0	2,8
04.00	927	ფლორიდა-დალასი	2,8	4,0	1,65
04.00	928	კოლუმბუსი-მინესოტა	1,9	4,0	2,3
05.00	929	სან ხოსე-დეტროიტი	2,0	4,0	2,2
06.00	930	ფინიქსი-სენტ ლუისი	2,1	4,0	2,1

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. **რუსთავში** — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

მახო პრეზიდენტმა შეიწყალა

მალხაზ ურჯუკაშვილს (№14) შეცოდება აპატიეს

საქართველოს ეროვნული და შვიდკაცა ნაკრებების მობურთალი მალხაზ ურჯუკაშვილი რაგბის უბრუნდება და შესაძლოა იანვრის ბოლოს არგენტინის ქალაქ მარ დელ პლატაში გასამართ საშვიდკაცო მსოფლიოს თასზეც ითამაშოს. მოგეხსენებათ, ურჯუკაშვილი საქართველოს ჩემპიონატის დასაწყისში არმიული კლუბის ღირსებას იცავდა, მაგრამ „ყორ ებთან“ მატჩში მომხდარი უსიამოვნო ინციდენტის გამო რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა სამუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯა და მშობლიურ კლუბიდანაც და ნაკრებიდანაც მოკვეთა. ამის მიზეზი კი ფეხბურთელობით ცნობილი „მახოს“ საქციელი გახდა. ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში მატჩის მთავარი მსაჯის გუგა ბაბუნაშვილი გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა ურჯუკაშვილმა არც აცია, არც აცხელა და ცნობილი ფრანგი ფეხბურთელის, კანტონას დარად მატჩის მთავარ მსაჯს ცხვირ-პირში წიხლი ჩააზილა. ურჯუკაშვილი მოედნიდან გააძევეს, თუმც, როგორც მოსალოდნელი იყო, გაცილებით მკაცრი სასჯელი სადისციპლინო კომიტეტმა არგუნა. სამუდამო დისკვალიფიკაცია — ასეთი იყო დისციპლინარების განაჩენი, რომელიც მთელი განვლილი სეზონის მანძილზე ძალაში დარჩა და არმიულ კლუბსაც თავისი ძირითადი მოთამაშის გარეშე უწევდა ფონს გასვლა.

ურჯუკაშვილი მაინც ვარჯიშობდა და თან ჭაბუკ და ბავშვთა ლიგებში მსაჯობით ცდილობდა, დანაშაული გამოესყიდა. ახალგაზრდა მორაგბეს საქომაგო სიტყვა არც ქართული კლუბების ხელმძღვანელებმა დაამადლეს და რაგბის კავშირს მახოს შეწყალების თხოვნით მიმართეს. კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ გაითვალისწინა ურჯუკაშვილის ახალგაზრდული ასაკი, ისიც, რომ დანაშაულს ინანიებდა და იგი შეიწყალა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის სამუდამო დისკვალიფიკაციით შარშან ყინი სანდრო ჭელიძეც დაისაჯა, მაგრამ ქართული რაგბის მამებმა მას თამაშის ნება დართეს. განვლილ ჩემპიონატში სანდრო თავის მშობლიურ კლუბს სტუ — „ყორ ებს“ შეეშველა. ჰოდა, რაღა მალხაზ ურჯუკაშვილი უნდა ყოფილიყო გამონაკლისი?

ასე თუ ისე, ურჯუკაშვილს სამუდამო, პირობითი დისკვალიფიკაციით შეეცვალა.

გაჩო სვანიძე

გაუტანელი თანაც ჰაშეკს...

11 იანვარი

სან ხოსე — სენტ ლუისი 6:3

3:2 1:1 2:0

0:1 მაკინისი 4' 51 (10); 1:1 ფრიზენი 5' 19 (9); 2:1 მატო 6' 09 (6); 2:2 დრეივი 8' 19 (10); 3:2 კოროლიუკი 16' 4 (15); 4:2 მარჩმენტი 31' 46 (3); 4:3 მაკინისი 37' 11 (11); 5:3 რიჩი 42' 02 (9); 6:3 მატო 57' 56 (7)

ლოს ანჯელესი — ბუფალო 3:2

2:0 0:1 1:1

1:0 რაინრუხტი 2' 21 (10); 2:0 გრიმსონი 15' 20 (3); 2:1 კ. ბრაუნი 24' 44 (5); 3:1 სმოლინსკი 43' 31 (12); 3:2 გრეტონი 46' 10 (12)

კალგარი — ნეშვილი 2:1

1:1 1:0 0:0

1:0 სტილმანი 5' 10 (16); 1:1 გ. ჯონსონი 6' 47 (7); 2:1 ლოური 38' 55 (9)

სენტლუისელებმა, როგორც ჩანს, ვერაფერით მოინელეს ის ფიასკო, რომელიც პლეი ოფის პირველ რაუნდში განიცადეს სან ხოსესთან, ამიტომაც მასთან თამაში წამებად ექცათ. მძიმე მოგონებების კვალი განსაკუთრებით „ბლუზმენების“ მეკარეს ეტყობოდა. ძირითადად სწორედ მისმა სუსტმა თამაშმა განაპირობა დამარცხება. არადა, ბევრი რამ იყო მასზე დამოკიდებული. ჯერ ერთი, სტუმრებს ორი ლიდერი აკლდათ. პავოლ დემიტრას თვალი დაუზიანდა და ორი კვირით გამოეთიშა ასპარეზობას, პიერ ტარჯონი კი ჩხუბის დროს ანაჰაიმელმა ტონი ჰარკაჩმა დააზიანა. გარდა ამისა, სან ხოსემ საშინაო 7-მატჩიანი სერიის პირველი ორი თამაში მოიგო და კვლავ წარმატებისთვის იბრძოდა, რათა დამტკიცებინა, რომ წლეულს წყნარი ოკეანის დივიზიონს შემთხვევით არ ლიდერობს. მოკლედ სენტ ლუისმა მაინცდამაინც დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მეტოქეს და ბოლო სამი კვირის განმავლობაში უკვე მეოთხედ დამარცხდა. სენტლუისელთა რიგებში მხოლოდ ელ მაკინისი გამოირჩა, რომლის ორი უძლიერესი დარტყმის წინააღმდეგ მოწინააღმდეგის მეკარე ევგენი ნაბოკოვი უძლური აღმოჩნდა. სანხოსელთა რიგებში ერთბაშად თერთმეტმა მოთამაშემ მიითვალა ქულები, საუკეთესონი კი სტეფან მატო და უფრო თავისი ბინძური ძალისძიერი ილეთებით ცნობილი მცველი მარჩმენტი აღმოჩნდნენ.

როცა ჰაშეკის კარში გოლები ისეთ ხალხს გააქვს, როგორიც სტიუ გრიმსონია, ცხადია, ჩეხის გუნდს კარგი დღე არ დაადგება. მეტსახელად „კომბაინი“, ლოსანჯელესელი აგრესორი ხომ გაცილებით მეტ ჩხუბს ითვლის ვიდრე გოლებს. მან სეზონში მხოლოდ მესამედ შეაგდო და პირადი რეკორდი დაამყარა. თუმც ისე არავინ გაიგოს, თითქოს ჰაშეკი შეცდა. უბრალოდ, 105 კილოგრამიანი გოლიათი მცველებმა უყურადღებოდ დატოვეს და მანაც მართალია მოუხერხებლად მოიქნია ყვანჯი, მაგრამ მიზანს მიაღწია. ამის შემდეგ „ძეფეები“ 2:0-ს იგებდნენ და შანსი აღარც გაუშვეს ხელიდან. ისიც სათქმელია, რომ ის სამი თამაში, რომელშიც გრიმსონმა გაიტანა, ლოსანჯელესმა მოიგო.

კალგარიმ ტრადიციულად ცუდად დაიწყო, ახლა კი ჯიუტად ცდილობს, ვითარება გამოასწოროს. ბოლო 6 თამაშში მოპოვებული მეოთხე მოგების შემდეგ „ალები“ კონფერენციის მერვე გუნდს ედმონტონს სულ 5 ქულითღა ჩამორჩებიან.

სამგელ ღარიბიანი



ვერ დაიჭირა: დომინიკ ჰაშეკმა ლოსანჯელესელებისგან პირველი შაიბა გაუშვა

ზოგან თოვს, ზოგან დარია

თუ ახალი წლის დასაწყისი სპორტსმენთა უმეტესობა ისვენებს, იგივეს ნამდვილად ვერ ვიტყვით სამთო მოთხილამურეებზე. თოვლიანი მთების ფერდობებზე მათ „სარბიელის“ უქმობის პერიოდში მსოფლიოს თასის რამდენიმე ეტაპის გამართვა მოასწრეს, რომელთაგან ბოლოებზე გავამახვილებთ ყურადღებას, საერთო ჩათვლაში კი, თავისთავად, ყველა ეტაპის შედეგებია ასახული.

დავიწყოთ იმით, რომ სლოვენიურ მარიბორში კვირას გასამართი ქალთა სლალომი ჰაერის ტემპერატურის უეცარი მომატებისა და ძლიერი ქარის გამო გაუქმდა. 15 სანტიმეტრის სიდიდის თოვლის საფარიდან ჩვენებური შობის დღეს მილიმეტრიც აღარ დარჩენილიყო — 14 გრადუსამდე აწეულმა ტემპერატურამ რაც ვერ დაადნო, ქარს გადაუხვეტია. ეტაპის გაუქმების შესახებ ქალთა მსოფლიოს თასის ორგანიზატორმა კურტ ჰოხმა გამოაცხადა 7 იანვრის დილას. წინა დღეს კი გიგანტური სლალომის გამართვაც ეჭვქვეშ იყო, მაგრამ სხვა ადგილებიდან მოზიდული თოვლის საშუალებით სპორტსმენებმა მაინც ისრიალეს და ყველას სონია ნეფმა აჯობა.

კვირასვე გადიდო საფრანგეთის დაბა ლეზ არკში დაგეგმილი კაცთა სლალომიც და აქაც ამინდის ჭირვეულობის გამო, ოღონდ მარიბორისგან განსხვავებით იქ არც დამთბარა და არც ქარი ამოვარდნილა. მართლმადიდებელი ქრისტიანობა შობას რომ ხვდებოდა, ლეზ არკში ბარდნიდა. „ღამით დაახლოებით 15 სანტიმეტრის თოვლი მოვიდა (სად იყო საჭირო და სად მოვიდა!), რამაც ტრასა მთლიანად გააყუჩა. იმედი მაქვს, ეს არ იმოქმედებს თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციაზე და ის მომავალშიც მოგვცემს მსოფლიოს თასის მასპინძლობის შესაძლებლობას, რადგან ორგანიზატორებმა რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ ეტაპის მაღალ დონეზე ჩასატარებლად“ — განაცხადა ჟან-ჟაკ ლაპლასმა, რომელიც ლეზ არკის სპორტის კლუბის დირექტორია.

შაბათს კი აქაც გაიმართა გიგანტური სლალომი, რომელიც შვეიცარიელი მიქაელ ფონ გრუნიგენის გამარჯვებით დასრულდა. ამით მან დისციპლინის ჩათვლაში მდევრებთან სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა, თუმცა მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში ავსტრიელ ჰერმან მაიერს მაინც ძლიერ ჩამორჩებოდა. გიგანტური სლალომის ჩათვლაში მეცხრე ადგილზე მყოფი ავსტრიელი ანდრეას შიფერერისთვის კი პირველი დაშვება ტრაგიკულად დამთავრდა. იგი წაიქცა და საკმაოდაც დაშავდა. კვირას მას ინსბრუკში მარჯვენა მუხლის მყესებისა და მენისკის ოპერაცია ერთდროულად გაუკეთეს. 26 წლის სპორტსმენს, რომელსაც 1998 წელს სწრაფდაშვების მსოფლიოს თასი მოუგია, მინიმუმ სამი თვით მოუწევს უქმობა.

საფრანგეთის შემდეგ კაცმა სამთო მოთხილამურეებმა შვეიცარიაში გადაინაცვლეს და ადელბოდენში გაეჯიბრნენ ერთმანეთს გიგანტურ სლალომში. გამარჯვება „ჰერმინატორს“ დარჩა, რომელიც ამ სახეობაში მოგებებით ფონ გრუნიგენს (სამ-სამი) დაეწია. შვეიცარიელმა მეორე ადგილი დაიკავა, მესამეზე კი დისციპლინის საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე მყოფი შვედი ფრედერიკ ნიბერგი გავიდა, რითაც პოდიუმმა კლასიკური სახე მიიღო. მეოთხე ავსტრიელი კრისტოფ გრუბერი იყო, რომელმაც მეორე ცდისას საუკეთესო დრო აჩვენა (1 წთ 08,20 წმ). საინტერესოა, რომ მაიერისა და ფონ გრუნიგენის ბატონობის დამხობა ამ სეზონში მხოლოდ გრუბერმა შეძლო, როცა შობამდე (კათოლიკურ) იტალიურ ბორმიოში იმარჯვა.

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მაიერმა გამარჯვება, ფაქტობრივად, პირველივე ცდისას გამოჭედა, როცა ნიბერგს 0,39 წამით, მთავარ კონკურენტ ფონ გრუნიგენს კი ლამის წამით (0,91) ავჯობა. ეს მისი მეექვსე წარმატება იყო სეზონში, საერთოდ კარიერაში კი ავსტრიელს უკვე 34 მოგება დაუგროვდა.

„უკვე კარგა ხანია აღარ მეპირველა, მაგრამ ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ვალ დიზერში დისკვალიფიკაცია მომცეს, ბორმიოში (მე-10 ადგილი) გრიპი მქონდა, ლეზ არკში (მე-7) ძალები სრულად ვერ აღმედგინა და თანაც მეორე ცდისას ნისლში მომიწია სრიალმა. დღეს კი დავამტკიცე, რომ უძლიერესი ვარ“ — თქვა „ჰერმინატორმა“.

გაგი გულუა

მსოფლიოს თასი

კაცები

ლეზ არკი. საფრანგეთი. გიგანტური სლალომი

1. მიქაელ ფონ გრუნინგენი (შვეიცარია) 2.43,67 წთ
2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2.45,29
3. მარკო ბოეზლი (ლიხტენშტაინი) 2.45,80

ადელბოდენი. შვეიცარია. გიგანტური სლალომი

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 2.15,53 წთ
2. მიქაელ ფონ გრუნინგენი 2.16,06
3. ფრედერიკი ნუბერგი (შვედეთი) 2.16,25

ქალები

მარიბორი. სლოვენია. გიგანტური სლალომი

1. სონია ნეფი (შვეიცარია) 2.37,97 წთ
2. კარინ პუტცერი (იტალია) 2.38,21
3. რენატა გოეზლი (ავსტრია) 2.38,33

საერთო ჩათვლა

კაცები

1. ჰერმან მაიერი 793 ქულა
2. მიქაელ ფონ გრუნინგენი 592
3. ლასე კიუსი (ნორვეგია) 499

ქალები

1. იანიკა კოსტელიჩი (ხორვატია) 700
2. სონია ნეფი 644
3. მარტინა ერტლი (გერმანია) 634

სატურნირო ვითარება

ჩრდილო - აღმოსავლეთი

ოტავა	41	23	6	0	12	132:97	52
ტორონტო	43	20	6	3	14	133:109	49
ბუფალო	42	21	5	1	15	113:102	48
ბოსტონი	43	16	6	4	17	107:131	42
მონრეალი	43	12	4	2	25	104:128	30

ატლანტა

ნიუ ჯერსი	41	22	8	0	11	140:97	52
ფილადელფია	42	19	9	0	14	119:117	47
პიტსბურგი	42	19	6	1	16	126:127	45
რეინჯერსი	42	16	2	1	23	136:156	35
აილენდერსი	42	11	4	2	25	93:133	28

სამხრეთ - აღმოსავლეთი

ვაშინგტონი	44	19	8	1	16	115:112	47
კაროლინა	40	17	5	2	16	100:110	41
ატლანტა	42	15	8	1	18	120:139	39
ტამპა	41	13	5	2	21	110:143	33
ფლორიდა	42	8	7	6	21	92:129	29

ცენტრი

სენტ ლუისი	41	28	4	1	8	144:87	61
დეტროიტი	45	24	4	4	13	131:117	56
ნეშვილი	45	16	7	1	21	100:117	40
ჩიკაგო	42	17	3	2	20	115:121	39
კოლუმბუსი	44	13	4	2	25	99:140	32

ჩრდილო - დასავლეთი

კოლორადო	43	27	7	1	8	133:99	62
ვანკუვერი	43	22	4	4	13	140:124	52
ედმონტონი	45	20	6	1	18	123:125	47
კალგარი	43	15	8	4	16	102:118	42
მინესოტა	42	14	8	2	18	91:99	38

წყნარი ოკეანე

სან ხოსე	42	26	6	0	10	121:92	58
დალასი	41	24	4	1	12	117:88	53
ფინიქსი	41	18	11	1	11	101:89	48
ლოს ანჯელესი	43	19	7	1	16	145:130	46
ანაჰაიმი	44	14	6	4	20	108:134	38

შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.



ავთანდილ გურასაძვილის ფოტო

ბენზინდალეულები პეპელა შტანგაზე

თერგდალეულების ამბავი ყველას გაუგონია, ბენზინდალეულებისას კი ახლა გიამბობთ. მთავარი ბენზინდალეული საქართველოს 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენი, ძალოსანი გიორგი ასანიძეა, ყველაფერი კი დაიწყო „შერატონ მეტეხი პალასში“, სადაც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციული გამოკითხვის შედეგები საზეიმოდ შეჯამდა და საახალწლო ბანკეტიც გაიმართა. იქ გიორგი ასანიძეს, როგორც საქართველოს 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენს მთავრობის ჯილდოდ (ვახტანგ გორგასლის სახელობის მესამე ხარისხის ორდენი) გადაეცა, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრიზიც და იმ ღონისძიების სპონსორებისა და პარტნიორების საჩუქრებიც, მათ შორის შპს „იბერკომპანი ჰოლდინგისაც“.

მაგრამ „იბერკომპანი“ ამით არ დაკმაყოფილდა და თქვა, გიორგი ასანიძისთვის სიურპრიზი გვაქვს და ამა და ამ დღეს მასთან ერთად ჩვენს ოფისში გელითო.

ის „ამა და ამ დღეს“ გუშინ იყო. „იბერკომპანის“ ოფისში იყვნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი, ახლა კი საპატიო პრეზიდენტი ქალბატონი ნონა ფორინდაშვილი, იმავე ორგანიზაციის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, სპორტული ჟურნალისტები და, რა თქმა უნდა, მასპინძლები, მათივე პრეზიდენტის გოჩა ენუქიძის მეთაურობით, რომლის თხოვნითაც იმ საღამოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი წარუძღვა. სწორედ მან გვამცნო „იბერკომპანის“ ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება, თუ ვალდებულება: „დაენიშნოს გიორგი ასანიძის, როგორც წლის საუკეთესო სპორტსმენს, სტიპენდია 300 ლარი 2001 წლის განმავლობაში. მიენიჭოს ცალკე პრემიები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე წარმატებით გამოსვლის შემთხვევაში“.

ეს ამბავი გოჩა ენუქიძემ დაადასტურა არა მხოლოდ სიტყვით, არამედ სათანადოდ გაფორმებული „ვალდებულებითაც“, რომელიც გიორგი ასანიძეს გადასცა.

მაგრამ „იბერკომპანის“ პრეზიდენტი უფრო შორს, ათენისკენაც წავიდა და თქვა, სტიპენდია ოთხწლიანი იქნება. ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ერთად მოვემზადებითო, იქიდან ოქროს მედალსაც ერთად ჩამოვიტანთო, მანამდე კი ყველა შეჯიბრზე გიორგი ასანიძეს სულ მეტად და მეტად წავახალისებთო.

როგორ შეაფასა ეს ამბავი „იბერკომპანიში“ მყოფმა „ოფიციოზმა“?

ნონა გაფრინდაშვილი:

„ამ გაჭირვებულ ყოფაში საქართველოს სპორტი თქვენისთანა ხალხმა გადაარჩინა. ჩემი სეოკ-ის პრეზიდენტად ყოფნის წლებში საქართველოს სპორტსმენებს მეტი სპონსორები ჰყავდათ, მაგრამ კანონში ამ საქმის წახალისების მექანიზმის არარსებობის გამო ისინი თანდათან განზე გადგნენ. თუ სპორტის გადარჩენა გვინდა, შესაბამისი კანონი სასწრაფოდ უნდა მივიღოთ. სპორტი სწორედ თქვენისთანა ხალხმა უნდა გადაარჩინოს“...

ემზარ ზენაიშვილი:

„სახელმწიფო სპორტს დღეს ვერ მოუვლის ისე, როგორც ეს საჭიროა. ამიტომ თქვენ და თქვენისთანები უნდა დაეხმარონ ქართულ სპორტს, ჩვენს სპორტსმენებს. ვიმედოვნებთ, რომ დღევანდელ ამბის წყალი სხვა სპონსორებს, მეცენატებს, მეწარმეებს და ბიზნესმენებს გადაესხმება“.

თავად „იბერკომპანი ჰოლდინგის“ პრეზიდენტმა კი ბრძანა, თქვენთან თანამშრომლობა ჩვენთვისაც დიდი პატივია. ამ თანამშრომლობაში ჩვენთვის დიდი სტიმულია თქვენი აქ მობრძანებაც. ვიმედოვნებთ, ამგვარი მოძრაობა აგორდება და დიდ მასშტაბებს მიაღწევს. როცა ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ყოფილი ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებების ამბებს ვგებულობდით, გვეამაყებოდა და იმავდროულად გული გვტკიოდა, რადგან ისინი საქართველოდან გაჭირვების გამო გადაიხვეწნენ და სახელი და დიდება სხვათათვის მოჰქონდათ. გვინდა, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული სპორტის ისტორიაღა შეგვრჩება — საამაყო, მაგრამ უმომავლო ისტორიაო.

იქვე გიორგი ასანიძეს ჰკითხეს, სიდნეიში ოქროს მედლის მოპოვებაში ხელი რამ შეგიშალაო.

— ჩემს შტანგას პეპელა დააჯდა — იხუმრა ასანიძემ, მაგრამ ის უსაშველოდ მძიმე პეპელა იყო — ზოგადად ჩვენი სპორტსმენებისა და ქვეყნის ეკონომიკური გაჭირვება. ის პეპელა იყო ასანიძის ხელის ტრავმაც, რომელიც მრავალი წელია აწუხებს და შტანგის აწევისას მარჯვენას ბოლომდე ვერ მართავს. ამიტომაცაა, რომ ასანიძის ყველა ფოტოზე დაძლეული სიმძიმე მარჯვნივაა გადაქანებული.

— ტრავმა 12 წელიწადია მაწუხებს. სახსარში სითხე მხოლოდ 15 პროცენტი მაქვს — გვიამბობს გიორგი ასანიძე — გამოკვლევები ჩავიტარე საქართველოშიც, საბერძნეთშიც და პოლონეთშიც. სიდნეიდან ჩამოსვლის მერე შტანგას აქამდე არ გავკარებივარ. 29 ნოემბერს ოპერაცია გავიკეთე, ერთი კვირის წინათ კი შტანგას პირველად მოვკიდე ხელი. 160 კილოგრამი გაჭირვებით ავწიე. ხელი ისევ მტკივა, თუმცა ძველებურად აღარ მაწუხებს. თუ ბოლომდე ვერ გამოვჯანმრთელდი, ზამთრის მიწურულს სლოვაკეთში ევროპის ჩემპიონატს გამოვტოვებ. და მაინც, ვიმედოვნებ, რომ ტკივილს ვაჯობებ, ოქტომბერში კი მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამოვალ.

— ათენის ოლიმპიურ თამაშებს როგორი იმედით უყურებ?

— იქ შტანგაზე პეპელაც რომ დამიჯდეს, „იბერკომპანის“ დახმარებით მაინც ოქროს მოვიპოვებ.

— თქვენი ბერძენი მეტრეტე. საბერძნის ოლიმპიური ჩემპიონი ბორიკა დიმიტრი ათენშიც აპირებს გამოსვლას. როგორ ფიქრობთ, მას კიდევ ექნება რაიმე წარმატების შანსი? ძალოსნობაში ხომ ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი აქამდე არავინ გამხდარა.

— ვფიქრობ, რომ დიმასს ათენში გამარჯვებისთვისაც რეალური შანსი ექნება.

— საქართველოს 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენ რეფერენდუმში თქვენ მეორედ გაიმარჯვეთ. არადა, რეალური კონკურენტი ახლა მეტი გყავდათ, მათ შორის სიდნეის ოლიმპიური თამაშების თქვენსავით კიდევ ხუთი ბრინჯაოს პრიზიორი. ელოდით, რომ თქვენ კვლავ გახდებოდით საქართველოს №1 სპორტსმენი?

— საუკეთესოთა შორის რომ დამასახელებდნენ, დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ გულის სიღრმეში პირველობაც მეიმედებოდა. მართალია, სიდნეიში სხვებმაც მოიპოვეს ბრინჯაოს მედალი, მაგრამ მე ევროპის ჩემპიონატის „ოქრო“ და მსოფლიოს რეკორდიც მიმაგრებდა ზურგს.

აქ ემზარ ზენაიშვილმა ნახევრად ხუმრობით გვითხრა, მთელი მსოფლიოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების აღმასკომებიდან მხოლოდ ჩვენ გვყავს მოქმედი ოლიმპიური პრიზიორი. ის ერთადერთი გამონაკლისი გიორგი ასანიძეა და იგი ამ მხრივაც მსოფლიოს რეკორდსმენიაო.

საერთოდ კი, გუშინდელ ხალისიან და სასიამოვნო საღამოს ოხუნჯობა არ აკლდა. ამ საქმეში პრიზი რომ დაეწესებინათ, მას ალბათ ასანიძე მოიპოვებდა, თავისი პეპლის წყალობით, თუმცა, არც ელგუჯა ბერიშვილისა იყო ნაკლები, როცა თქვა, აქამდე სპორტის ძრავა ბიზნესმენებზე მუშაობდა, ახლა კი ბენზინზე მუშაობსო.

კაცმა რომ თქვას, ეს პირდაპირი მნიშვნელობით ნათქვამიც გამოდგა — „იბერკომპანიმ“ ასანიძეს არა მხოლოდ სტიპენდია დაუნიშნა, არამედ 400 ლიტრზე გათვალისწინებული ბენზინის ტალონებიც გადასცა.

„იბერკომპანიმ“ არც სხვა იქ მყოფნი დაგვივიწყა და საფირმო ნიშნებით დამშვენებულ საჩუქრებთან ერთად შამპანურის ჭიქების წკრიალითა და ბენზინის ტალონებით გამოგვისტუმრა, მათ შორის უმანქანოებიც.

ასე რომ, ჩვენ ბენზინდალეულებიც ვართ.

ისე, სპორტის ძრავის დაქოქვა ბენზინის გარდა ღვინოსაც შეუძლია, კონიაკსაც, შამპანურსაც და ლუდსაც, თუმცა გოგი თოფაძის „ყაზბეგი“ დიდი ხანია შეუფერხებლად ქოქავს...

ავთანდილ გურასაძვილი

იბერკომპანიელები და მათი სტუმრები

გადრე ალეფლაძის ფოტოები

ნონა გაფრინდაშვილი და გიორგი ასანიძე

მოტოციკლეტიანი

ანვარ მირზას მიერ გადაღებულ ამ ფოტოზე სახელგანთქმული იაპონელი მოტომხედარი ტაკაჰისა ფუიჯინა მორიგ საჩემპიონო ტიტულს ეჭიდება. ამბავი დუბაიშია „ფორტუნას“ ჭერქვეშა მსოფლიო პირველობაზე.

REUTERS დუბაიდან

REUTERS სიდნეიდან

დიდი ამბების წინ

ჩვენთან აცივდა. ავსტრალიაში კი იმგვარად ცხელა, რომ კორტიდან სკამამდე თუ მიაღწიე თავ-პირი ყინულით უნდა გაიგრილო. სიდნეის ტურნირის ნახევარფინალამდე მისულ ორ შვედს, იონას ბიორკმანს (ზედა ფოტოზე) და მაგნუს ნორმანს თავიანთი ჩრდილოური სიცივე 35 გრადუსიანმა მზემ დაუდნო. ნორმანი ფინალში გავიდა, ბიორკმანმა კი ავსტრალიის კარსმომდგარ ღია პირველობაზე განაგრძო ფიქრი. მელბურნის კორტზე შეყრილი ამერიკელები კი პიტ სამპრასს ამხნევებდნენ, დღევანდელი სავარჯიშო მოგება ხვალინდელის საწინდარია. პიტმაც ნიკოლას კიფერი დაამარცხა და „მელბურნ კლასიკის“ შემდეგ ასევე ავსტრალიის ღია პირველობისთვის ემზადება. წლის პირველი დიდი სლემის ტურნირი ორშაბათს დაიწყება.

კვლავ ძველ ადგილას

„ფერარის“ ავტოგუნდი ჩვეულ ზამთრის არდადეგებზე ასულა სამთო კურორტ მადონა დი კამპილიოში. მრბოლთა თოვლში ლაღობის და თხილამურებით სრიალის ამსახველი ფოტოები შარშან ამ დროსაც გამოვაქვეყნეთ ამ ბოლო გვერდზე, მაგრამ რას იზამ? მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო თოვლში კოტრიალობენ და თურმე ნუ იტყვით, თხილამურებზე ღამითაც დგებიან. სწორედ ამიტომ ირგებს შუმახერი ქუდზე საგანგებო ფარანს, რომელიც ღამის მოთხილამურეთა განუყრელი ნივთია.

REUTERS მადონა დი კამპილიოდან

REUTERS მადონა დი კამპილიოდან

REUTERS მელბურნიდან

ახალი ფორმა

ველოსპორტს უყვარს პრეზენტაციები. შვეიცარიელი ოსკარ კამენზინდი თავისი გუნდის „ლამბრ — დაიკინის“ ახალ, ცისფერ მაისურას წარუდგენს მედიას მოხდენილ მოდელთან ერთად.

REUTERS ვილვორდიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დეკაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge